

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
ნათია მიროტაძე

“პირველი მეფეთას” საკითხავები ქართულ ლექციონარებში: მიმართება
ქართულ და ბერძნულ წყაროებთან

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

დისერტაციის ხელმძღვანელი: პროფ. ანა ხარანაული
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2021 წელი

აბსტრაქტი

ლექციონარის ქართული ხელნაწერები „პირველი მეფეთას“ ცხრა საკითხავს შეიცავენ. სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულია ხუთი საკითხავი. ამათგან ოთხი – დიდმარხვის მეორე კვირის ორშაბათის (1 მეფ. 1:1-2:11a), სამშაბათისა (1 მეფ. 2:11b-3:21) და ხუთშაბათის (1 მეფ. 4:1-6:18) და 2 ივლისისა (1 მეფ. 6:19-7:2a) – ლექციონარის უძველეს სტრუქტურულ შრეს მიეკუთვნება, რადგან აკმაყოფილებს ტექსტუალური ფენის განსაზღვრისათვის საჭირო ორ კრიტერიუმს: სხვა წყაროებთან (სომხურთან) საერთოობისა და უწყვეტი კითხვისას (Lectio Continua).

გარდა ჩამოთვლილი ოთხისა, რომლებიც კვლევის ძირითადი ობიექტია და ლექციონარის უძველეს შრეს წარმოადგენს, შესწავლილ საკითხავთა შორისაა ასევე დიდმარხვის მეოთხე კვირის სამშაბათის საკითხავიც (1 მეფ. 2:11b-3:21), რომელიც ლექციონარის ქართულ და სომხურ წყაროთაგან მხოლოდ პარიზის ლექციონარშია დაცული და, შესაბამისად, ლექციონარის შედარებით გვიანდელ ფენას მიეკუთვნება. ლექციონარის ადრული და შედარებით გვიანდელი შრეების საკითხავთა შესწავლა ლექციონარის სხვადასხვა ქრონოლოგიური შრეების შედარების საშუალებას იძლევა.

დასახელებული ხუთი საკითხავი მოიცავს პირველი მეფეთას უწყვეტ ტექსტს პირველი თავის პირველი მუხლიდან მეშვიდე თავის მეცამეტე მუხლის ჩათვლით. ხუთივე მათგანი შესრულებულია პირველი მეფეთას ბერძნული თარგმანის *L* ტიპის ტექსტებიდან, კერძოდ, ლექციონარის ადრული ტექსტუალური შრის საკითხავები შესრულებულია მისი იმაზე ადრული და ნაკლებებრაიზებული ფორმიდან, ვიდრე ბერძნულ ხელნაწერ წყაროებშია წარმოდგენილი. ლექციონარის შედარებით გვიანდელი შრის პერიკოპი კი ნათარგმნია მკვეთრად ებრაიზებული ბერძნული დედნიდან. ლექციონარის ქართული პერიკოპები *L* ტექსტუალური ტრადიციის განვითარების სხვადასხვა საფეხურის არსებობაზე მიუთითებს და, როგორც ასეთი, სეპტუაგინტას ტექსტის ისტორიის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

ნაშრომში წარმოდგენილია პირველი მეფეთას ლექციონარის საკითხავთა პირველი კრიტიკული გამოცემა, რომლის მომზადებაც სწორედ ქართული თარგმანის წარმომავლობის გარკვევისა და მისი ბერძნული დედნის ტექსტუალური ტიპის დადგენის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ტექსტის გამოცემას ერთვის ორი კრიტიკული აპარატი და ვრცელი ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური კომენტარები.

The Pericopes of 1 Kingdoms in the Georgian Lectionaries: Their Relation to the Georgian and Greek Sources

Abstract

The Georgian sources of the Lectionary contain nine pericopes of 1 Kingdoms, while the dissertation deals with only five of them. Four of which – the pericopes of the Second Monday (1 King. 1:1-2:11a), of the Second Tuesday (1 King. 2:11b-3:21), and of the Second Thursday (1 King. 4:1-6:18) of Lent and of the July 2nd (1 King. 6:19-7:2a) – belong to the ancient structural layer of the Lectionary, as they meet the two criteria: universality (are shared by other sources (e.g., Armenian)) and *Lectio Continua*.

In addition to the four listed pericopes, which are the main object of research and represent the oldest layer of the Lectionary, among the studied Lectionary readings is also the pericope of the Fourth Tuesday of Lent (1 King. 2:11b-3:21). Out of all the Georgian and Armenian sources, it is preserved only in Paris Lectionary and, therefore, belongs to the relatively late layer of the Lectionary. Studying the pericopes of the earlier and later layers of the Lectionary allows comparing the different chronological layers.

These five pericopes include the continuous text of the 1 Kingdoms, from 1:1 to 7:13. All five of them are rendered from the *L*-text types of the Greek translation of the 1 Kingdoms. The pericopes of the early textual layer of the Lectionary are translated from the earlier, less Hebraised text form of *L* than it is witnessed in the Greek manuscript sources. The pericope of the later layer of the Lectionary is translated from a very Hebraised Greek original. Georgian pericopes of the Lectionary indicate the existence of different stages in the development of the *L* textual tradition and therefore is an important source for the history of the Septuagint.

The Ph.D. thesis includes the very first critical edition of the Georgian Lectionary pericopes of 1 Kingdoms. Preparation of this edition became possible after establishing the Greek Vorlage.

The edition features two critical apparatuses and extensive philological and text critical commentaries.

პირობითი აღნიშვნები და შემოკლებანი

პირობითი აღნიშვნები

] – ლემის ნიშანი

| – ლემის დასრულება

° – აღნიშნავს ერთსა და იმავე მუხლში გამეორებული სიტყვის რიგითობას

* – თავდაპირველი (კორექტირებამდელი) იკითხვისი

° – კორექტირებული იკითხვისი

> კლება (აკლია მთლიანად ლემა)

+ – დამატება ლემის შემდეგ

LXX – სეპტუაგინტა

MT – მასორეტული ტექსტი

App(aratus) – კრიტიკული აპარატი

Da – ლექციონარის დანელიასეული გამოცემის იკითხვისი

om(isit) – კლება (აკლია ლემის რომელიმე სეგმენტი)

pr(aemittit) – დამატება ლემის წინ

post – შემდეგ

Ra – რალფსის გამოცემის იკითხვისი

rel(iqui) – დანარჩენი ხელნაწერები

sed hab – sed habet (habent) – ასევე შეიცავს (შეიცავენ)

s nom – sine nomine – სახელის გარეშე

tr(ansponit), tr(ansponunt) – გადაადგილებულია, გადაადგილებულნი არიან

პირველი მეფეთას ხელნაწერი წყაროები და ტექსტუალური ჯგუფები

ებრაული

4QSam^a – პირველი-მეორე მეფეთა წიგნების შემცველი ფრაგმენტული ხელნაწერი (4Q51), რომელიც ყუმრანშია აღმოჩენილი

ბერძნული

ე.წ. ჰექსაპლური ტექსტუალური ფორმის ხელნაწერები

O = 247-376

L ჯგუფის / *L* ტექსტუალური ფორმის (ე.წ. ლუკიანური) ხელნაწერები:

L = 19-82-93-108-127

19' = 19-108

C (კატენური) ჯგუფის ხელნაწერები:

CI = 98-(243)-379-731

98' = 98-379

CII = 46-52-236-242-313-328-530

46' = 46-52

242' = 242-328

$C' = CI + CII$

ქართული

ტექსტუალური ფორმები და ხელნაწერები

Ge^o — ოშკური ვერსია

Ge^o / O – Ath.-1; 978 წ. ე.წ. ოშკის ბიბლია

Ge^F / F – თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-646; XV–XVI სს.

Ge^S / S – თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-51; XVII–XVIII სს. ე.წ. საბას ბიბლია, მცხეთის ბიბლია, მცხეთური ხელნაწერი

Ge^J — იერუსალიმური ვერსია

Ge^{Ja} / Ja – იერუსალიმი, ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, Jer-113; XIII – XIV სს.

Ge^L — ლექციონარის ვერსია

Ge^{Lp} / P – პარიზი, საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა, Géorgien 3; X ს. ე.წ. პარიზის ლექციონარი.

Ge^{Ll} / L – მესტია, საქართველოს ეროვნული მუზეუმი № 621 (ძველი M-51): IX-X სს. ე.წ. ლატალის ლექციონარი.

Ge^{Lk} / K – თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Q-1653, IX-X სს. ე.წ. კალას ლექციონარი.

Ge^B — ბაქარის ვერსია

Ge^B / B – ბაქარის ნაბეჭდი ბიბლია, მოსკოვის ბიბლია, 1743 წ.

ალტერნატიული ბერძნული თარგმანები

ა' – აკვილა

σ' – სვიმაქოსი

θ' – თეოდოტიონი

თარგმანები

Arm – სომხური

Ge (Ge^O + Ge^L) – ქართული

Gr – ბერძნული

La (La^M + La¹¹⁵) – ძველი ლათინური

Sa (Sa^M + Sa^A) – საპიდური

Syh – სიროპექსაპლა

ESV (English Standard Version) – სტანდარტული ინგლისური ვერსია

NETS (New English Translation of the Septuagint) – სექტუაგინტას ახალი ინგლისური თარგმანი

მეორეული წყაროები

Chr Matth – John Chrysostom, *Homiliae in Matthaenum*

Ruf Or Num – Rufinus, *Origenis in Numeros homiliae*

გამოცემები

Ald(ina)

BH – Biblia Hebraica

Compl(utensa)

სარჩევი

შესავალი	1
კვლევის ობიექტი	3
კვლევის მიზნები	12
კვლევის მეთოდოლოგია	13
სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი	19
სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დასკვნები და შედეგები	22
I თავი. პირველი მეფეთა — ბიბლიის ისტორიული წიგნი	24
I.1 პირველი მეფეთა ებრაულ და ბერძნულ ტრადიციებში	24
I.1.1 სათაური და წიგნებად დაყოფა	24
I.1.2 პირველი მეფეთას ადგილი ებრაული ბიბლიისა და ქრისტიანულ კანონში	26
I.2 პირველი მეფეთას წყაროები და ტექსტის ისტორია	27
I.2.1 ებრაული პირველი მეფეთას ტექსტუალური ტიპები და წყაროები	27
I.2.1.1 მასორეტული ტექსტი (MT)	27
I.2.1.2 სეპტუაგინტა — როგორც ებრაული დედნის წყარო	27
I.2.1.3 ყუმრანი	28
I.2.2 ბერძნული პირველი მეფეთას ტექსტუალური ტიპები და წყაროები	29
I.2.2.1 სეპტუაგინტა	29
I.2.2.2 სეპტუაგინტას პირველი მეფეთას ტექსტის ისტორია	29
I.2.2.2.1 სეპტუაგინტას ტექსტის ცვლილება ებრაულ ტრადიციაში	31
I.2.2.2.1.1 აკვილას წინამორბედთა რეცენზია: <i>καίτε</i>	31
I.2.2.2.1.2 ალტერნატიული (უმცროს მთარგმნელთა) ვერსიები	33
I.2.2.2.2 სეპტუაგინტას ტექსტის ცვლილება ქრისტიანულ ტრადიციაში	35
I.2.2.2.2.1 პირველი მეფეთას <i>O</i> ტექსტუალური ფორმა	35
I.2.2.2.2.2 პირველი მეფეთას <i>L</i> ტექსტუალური ფორმა	42
I.2.2.2.2.3 პირველი მეფეთას <i>C</i> ტექსტუალური ფორმა	48
I.2.2.2.3 სეპტუაგინტას პირველი მეფეთას წყაროები	48
I.2.2.2.3.1 ხელნაწერები	49
I.2.2.2.3.2 ციტატები	50

I.2.2.2.3.3 თარგმანები.....	51
I.2.2.2.3.4 პოლიგლოტური გამოცემები: ალდინა, სიქსტინა, კომპლუტენზა.....	53
I.2.2.2.3.5 სეპტუაგინტას პირველი მეფეთას სამეცნიერო გამოცემები.....	54
I.2.2.2.4 სეპტუაგინტას ხელნაწერთა ჯგუფები (© ანელი ემელეუსი)	55
II. თავი. პირველი მეფეთას ძველი ქართული ვერსიები	57
II.1. პირველი მეფეთას ძველი ქართული წყაროები	57
II.1.1 ბიბლიის ხელნაწერები.....	57
II.1.2 ლექციონარის ხელნაწერები	63
II.1.3 პირველი მეფეთას ქართული ვერსიების გამოცემები.....	72
II.1.3.1 ბიბლიის გამოცემები	73
II.1.3.2 ლექციონარის გამოცემები.....	75
II.2. პირველი მეფეთას ძველ ქართულ ვერსიათა ტექსტუალური ტიპები	81
II.2.1 GE^O – ოშკური ტიპი	81
II.2.2 GE^I – იერუსალიმური ტიპი	84
II.2.3 GE^B – ბაქარის ბიბლია.....	85
II.2.4 GE^L – ლექციონარის ვერსია	86
II.3 პირველი მეფეთას ძველი ქართული ვერსიების როლი სეპტუაგინტას ტექსტის ისტორიისათვის.....	87
III. თავი. პირველი მეფეთას ქართულ ლექციონარებში შესული საკითხავების მიმართება ბერძნულ წყაროებთან.....	88
III.1. პირველი მეფეთას ვარიანტული იკითხვისების ხასიათი (MANUSCRIPTA PONDERANTUR NON NUMERANTUR – ვარიანტები უნდა აიწონოს და არა დაითვალოს)	88
III.2. პირველი მეფეთას ლექციონარში შესული საკითხავების ტექსტოლოგიური დახასიათება.....	95
III.2.1. გამოცემის სამეცნიერო აპარატი	95
III.2.2. ტექსტი. კომენტარები. კვლევა.	103
1:1–2:11a (№ 367).....	103

2:11b–3:21 (№ 373)	138
4:1–6:18 (№ 382)	160
6:19–7:2a (№ 1070)	186
7:2b–13 (№ 445)	201
დასკვნა	210
ბიბლიოგრაფია	212

შესავალი

ლექციონარი – ქართული ნათარგმნი წერილობითი კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლი – ქართულად თარგმნილ უძველეს ტექსტთა შორისაა საგულვებელი, რადგან ქრისტიანობის გავრცელება აპრიორულად გულისხმობს მისი მთავარი წიგნის – ბიბლიის – თარგმნასა და ღვთისმსახურების (ლიტურგიის) გაჩენას. ამ, ისედაც აქსიომურ ჭეშმარიტებას, რომელზეც ჯერ კიდევ კორნელი კეკელიძემ გაამახვილა ყურადღება (კეკელიძე 1980: 571), მე-5-6 ს-ების წყაროები – ლექციონარის ხანმეტი და ჰემეტი პალიმოფსესტური ფრაგმენტებიც – ამტკიცებენ და უეჭველს ხდიან.

ლექციონარის ქართული ხელნაწერები მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი: ქართული ლექციონარის ხუთსაუკუნოვანმა ტრადიციამ, ხანმეტი და ჰემეტი ხელნაწერებიდან მოყოლებული, შემოინახა ლიტურგიის აღსრულების წესის – ტიპიკონის, არა მხოლოდ უძველესი ფორმა, არამედ მისი განვითარების ისტორიაც და მისი ლოკალური ფორმებიც. ამას ისიც ემატება, რომ იერუსალიმური კანონი ბერძნულ ხელნაწერ ტრადიციაში სრული სახით არ არის დაცული, ფრაგმენტულია სირიული წყაროებიც, სომხური ლექციონარები კი ბერძნული ლექციონარის განვითარების მხოლოდ ერთ, უძველეს ეტაპს, ასახავენ. ეს ყოველივე ქართულ ლექციონარს, როგორც ლიტურგიის ისტორიის წყაროს, ფასდაუდებელ ღირებულებას სძენს, რაც, თავის მხრივ, ლექციონარის ქართული ვერსიისადმი როგორც ქართველ, ასევე უცხოელ ლიტურგისტთა ცხოველ ინტერესს აღძრავდა და აღძრავს (Renoux 1969: 22-24, 179-181; Renoux 1971: 201-201; Renoux 1999: 135-140; უტიე, 1973: 173-175; უტიე, 1983: 27-33; მეტრეველი et al 1980: 662-684; ხევსურიანი, 2016, 7-30; Tarkhnishvili 1959-1960; თარხნიშვილი 1994: 151-173).

ქართულ ლექციონარს, რომელიც საკითხავების სახით, ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებსაც შეიცავს, არც ბიბლიოლოგთა ყურადღება მოჰკლებია (ნინო მელიქიშვილი (1973, 1974ა, 1974ბ), უჩა ცინდელიანი (1967ა), კორნელი დანელია (1987, 1997), ქეთევან ლომთათიძე (1956)). თუმცა მათი ყურადღება უფრო ლექციონარში შესულ საკითხავებსა და ბიბლიის ხელნაწერებში წარმოდგენილ ტექსტებს შორის ურთიერთმიმართებასა და ქართული ლექციონარის საკითხავთა ენობრივ ასპექტებზე იყო მიმართული¹.

¹ იხ. ქართულ ლექციონართან დაკავშირებული ბიბლიოგრაფია: კეკელიძე 1980: 573-586; შანიძე 1923: 354-388; შანიძე 1927: 125-152; შანიძე 1944; დანელია et al 1987: 463-563; მელიქიშვილი 2012: 68-78; მელიქიშვილი 1973: 119-133; მელიქიშვილი 1974ა: 90-105; მელიქიშვილი 1974ბ; ცინდელიანი 1967ა: 46-49.

პირველი მეფეთას ქართული ვერსიები უჩა ცინდელიანმა შეისწავლა თავის დისერტაციაში – „მეფეთა“ პირველი ორი წიგნის ძველი ქართული რედაქციები. დისერტაციაში ძირითადად შესწავლილია პირველი და მეორე მეფეთას ქართული თარგმანის ბიბლიის ხელნაწერებში დაცული ტექსტუალური ფორმები, თუმცა ერთი მოკლე თავი, „ქართული რედაქციების მიმართებისათვის ლექციონარებთან“ (ცინდელიანი 1967ა: 46-49), ლექციონარში შესულ საკითხავებსაც ეთმობა. უჩა ცინდელიანისეული შეფასებით, პირველი მეფეთას ლექციონარებში შესული საკითხავები ქართული ბიბლიის ხელნაწერებში დაცულ ვერსიათაგან განსხვავებული, სეპტუაგინტადან შესრულებული, თარგმანია (ცინდელიანი 1967ა: 47). მკვლევრის ინტერესის ძირითადი ობიექტი ბიბლიის ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტია, შესაბამისად იგი ლექციონარის საკითხავთა ტექსტუალურ თავისებურებებს გამონვლილვით არ იკვლევს.

ლექციონარის ქართულ წყაროებში, პარიზის, ლატალის, კალისა და სინის ლექციონარებში, შეტანილი ხუთწიგნეულის საკითხავები ნინო მელიქიშვილმა შეისწავლა თავის დისერტაციაში – *მოსეს ხუთწიგნეული ძველი ქართული ლექციონარების მიხედვით (ტექსტი და გამოკვლევა), საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაბეჭდი, თბილისი, 1974 წ.* მკვლევარი ძირითადად განიხილავს ლექციონარის ქართულ წყაროებში შესულ ხუთწიგნეულის პერიკოპებთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:

- ლექციონარის ხელნაწერთა ურთიერთმიმართება საკითხავთა მიხედვით;
- ქართული ბიბლიის ტექსტის ისტორიაში იმ ტექსტუალური ფორმის იდენტიფიცირება, რომელსაც მიეკუთვნება ხუთწიგნეულის საკითხავთა უმეტესი ნაწილი;
- ამ ძირითადი ნაწილის მიმართება ხუთწიგნეულის ოშკის ბიბლიის ვერსიასთან;
- ლექციონარის ქართულად თარგმნისა და გადაწერის პრაქტიკა და მასთან დაკავშირებული რედაქტორული, კოდიკოლოგიური თუ პალეოგრაფიული ასპექტები.

საკითხავთა უცხოურ და მათ შორის ბერძნულ წყაროებთან მიმართება ნინო მელიქიშვილის ძირითადი საკვლევი თემა არაა. მკვლევარს იმ საკითხავების მიმართება აინტერესებს ბერძნულთან, რომლებიც განსხვავდებიან ძირითადი შტოსგან და ცვლილებათა მიზეზს სეპტუაგინტას ტექსტში (თავდაპირველ თარგმანში, რომელიც რალფსის გა-

მოცემაშია დადგენილი) ეძებს, თუმცა დაასკვნის, რომ სეპტუაგინტას ტექსტს ლექციონარის პერიკოპების სწორედ ძირითადი ნაწილი ჰგავს, რომელიც, თავის მხრივ, ოპკურ ვერსიას მიეკუთვნება.

როგორც ვთქვით, ქართველი ბიბლიოლოგები ქართულ ლექციონარებში შესულ საკითხავებს, უმეტესწილად, უშუალოდ ბიბლიის ქართულ ხელნაწერებში დაცულ ტექსტებთან მიმართებით იკვლევდნენ, ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი კი ლექციონარში შესული პირველი მეფეთას საკითხავებს, უპირველესად, ბერძნულ წყაროებთან მიმართებით სწავლობს, საკითხავების წარმომავლობას იკვლევს და საჭიროების შემთხვევაში, შიდაქართულ მიმართებებსა და თარგმანის ტექნიკის საკითხებსაც ეხება. თემის შერჩევა განაპირობა იმის მტკიცე რწმენამ, რომ ქართული ბიბლიის თარგმანების ამა თუ იმ კუთხით კვლევა თარგმანის დედნის განსაზღვრისა და მასთან მიმართების შესწავლის გარეშე შეუძლებელია.

კვლევის ობიექტი

კოლაციონირების – ბერძნული² და ქართული ვერსიების სიტყვასიტყვითი შედარების – პირველადმა შედეგებმა გვიჩვენა, რომ ბიბლიის ხელნაწერებში დაცული პირველი მეფეთას ქართული ვერსიები, ნარევ ტექსტებს წარმოადგენს, რომლებიც სრულიად სხვადასხვა მიმართულებით – როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი წყაროების მიხედვით – არის ნასწორები. ასეთია უჩა ცინდელიანის დასკვნაც: „შესწორება სხვადასხვა ნუსხებს სხვადასხვა ზომით შეხება; ამ მხრივ გვიანდელ ნუსხებში დიდი არეულობა სუფევს, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ არა მარტო გვიანდელ, არამედ უძველეს ხელნაწერებშიც კი შესაძლებელი ხდება სულ ცოტა ორი განსხვავებული ფენის გამოყოფა მაინც (ცინდელიანი 1067ა: 51).“

სრულიად სხვაგვარია სურათი პირველი მეფეთას ლექციონარის საკითხავების შემთხვევაში. უჩა ცინდელიანის თქმითვე: „საკითხავების უმრავლესობა ახალი თარგმანია (ე.ი. ბიბლიის ხელნაწერებში დაცულ ვერსიათაგან განსხვავებული ნ.მ.). თითქმის

² პირველი მეფეთას edicio maior-ი გეტინგენის პროექტის ფარგლებში ახლა მზადდება გამოსაცემად, ტექსტის გამომცემელმა, ანელი ემელეუსმა, კვლევისათვის უშურველად გაგვიზიარა გამოცემის სამუშაო ვერსია, ტექსტი და კრიტიკული აპარატი, ხელნაწერთა რეცენზიული ჯგუფებითურთ, რისთვისაც განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით მას.

სიტყვა-სიტყვით მისდევს სეპტუაგინტას ძირითად ტექსტს და ცალკე რელაქციად უნდა გამოიყოს“ (ცინდელიანი 1967ა: 47). ჩვენი აზრით, რომელიც პირველი მეფეთას ქართული ვერსიების ბერძნულთან სიტყვასიტყვით შედარებისას ჩამოგვიყალიბდა, უჩა ცინდელიანის დასკვნა რელატიურია. ბიბლიის ხელნაწერებში (კერძოდ: ოშკის ბიბლიაში³, ჯანაშვილისეულ ხელნაწერში⁴, საბას ბიბლიაში⁵, მეფეთა წიგნების იერუსალიმურ ხელნაწერსა⁶ და ბაქარის ბიბლიაში⁷) დაცული პირველი მეფეთას ვერსიები (ნარევი, კონტამინირებული, მრავალგზის ნასწორები), იმდენად სხვაობს ბერძნულისაგან, რომ მათ ფონზე ლექციონარის ვერსია ბერძნულის კრიტიკული ტექსტის სიტყვასიტყვით თარგმანად აღიქმება, თუმცა განსხვავებები ბერძნული პირველი მეფეთას კრიტიკულ ტექსტსა და ლექციონარის ქართულ წყაროებში შესულ საკითხავებს შორისაც არსებობს. ასეთ შემთხვევებში ლექციონარის საკითხავები ძირითადად *L* ტექსტუალური ტიპის ვარიანტებს მისდევნენ, ოღონდ მის მხოლოდ ერთ ნაწილს.

პირველი მეფეთას ლექციონარის საკითხავები უმეტესწილად თავისუფალია ქართული ბიბლიის ხელნაწერებში დაცულ ტექსტუალურ ფორმათა გავლენისაგან, თუმცა ეს უკანასკნელი დროდადრო გარკვეულ ლექსიკურ სიახლოვეს ავლენენ ლექციონარის საკითხავებთან, შესაბამისად, სავარაუდოა, რომ პირველი მეფეთას ბიბლიის ხელნაწერებში დაცულ ვერსიათა კონტამინაციის წყაროებს შორის ლექციონარის საკითხავებიც იყო. ამიტომ მათი შესწავლა საინტერესოა პირველი მეფეთას ბიბლიის ხელნაწერებში დაცული ტექსტის ისტორიისთვისაც.

ამჟამად ქართული ლექციონარის ხელნაწერ წყაროებში ცხრა საკითხავის სახით *პირველი მეფეთას* ტექსტის თითქმის ნახევარია შესული: 1 მეფ. 28:1- 29:11; 31:1-13 (№ 303⁸), 1 მეფ. 1:1–2:11a (№ 367), 1 მეფ. 2:11b–3:21 (№ 373), 4:1–6:18 (№ 382), 1 მეფ. 16:1–23

³ O – Ath.-1; 978 წ. ე.წ. ოშკის ბიბლია.

⁴ F – თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-646; XV–XVI სს.

⁵ S – თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-51; XVII–XVIII სს. ე.წ. საბას ბიბლია, მცხეთის ბიბლია, მცხეთური ხელნაწერი.

⁶ Ja – იერუსალიმი, ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, Jer-113; XIII – XIV სს.

⁷ B – ბაქარის ნაბეჭდი ბიბლია, მოსკოვის ბიბლია, 1743 წ.

⁸ ლექციონარის საკითხავების აღსანიშნად ვიყენებთ მიქელ თარხნიშვილის მიერ საკითხავებისთვის მინიჭებულ ნუმერაციას: თარხნიშვილმა, ქართული ლექციონარის სტრუქტურის (რომელსაც კალენდარი აყ-

(№ 410), 1 მეფ. 7:2b–13 (№ 445), 1 მეფ. 17:1–18:9 (№ 488), 1 მეფ. 23:25–24:23 (№ 554), 1 მეფ. 6:19–7:2a (№ 1070).

ცხრა საკითხავიდან რვა დიდმარხვის პერიოდისაა, გამონაკლისს მხოლოდ 1070-ე საკითხავი წარმოადგენს, რომელიც 2 ივლისს, შჯულის კიდობნის კარიათიარიმში დაბრუნების დღესასწაულზე, იკითხება.

ქართული ლექციონარის ძირითად ხელნაწერ წყაროთაგან – ლატალის⁹, კალისა¹⁰ და პარიზის¹¹ ხელნაწერთაგან¹² – ცხრავე საკითხავს ყველაზე ნაკლებ დაზიანებული და ვრცელი – პარიზის ლექციონარი – შეიცავს, თუმცა, მაგ., 382-ე საკითხავის ტექსტი სრულად მხოლოდ კალის ლექციონარითაა მოღწეული, ლატალისა და პარიზის ლექციონარებში კი ამ საკითხავს, ხელნაწერთა დაზიანების გამო, დასაწყისი აკლია. კალის ლექციონარი ძალიან ხარვეზიანია, რის გამოც აკლია 303-ე, 445-ე და 1070-ე საკითხავები. დასაწყისი აკლია ლატალის ლექციონარსაც და 303-ე საკითხავი არც მასშია წარმოდგენილი. 445-ე საკითხავი არაა არც ლატალის ლექციონარში, მაგრამ არა ლაკუნის

აღიბებს და კალენდარშივე განხორციელებული ცვლილებები გარდაქმნის) ერთ-ერთმა პირველმა გამოცემელმა, თავის გამოცემაში — Tarkhishvili, M., (1959-1960). Le grand lectionnaire de l'Église de Jérusalem (Ve-VIIIe siècle), Corpus scriptorum Christianorum orientaliū; Scriptores Iberici t. 9-10, 13-14, Secrétariat du CorpusSCO, Louvain — განგებათა თითოეულ სტრუქტურულ ერთეულსა და, შესაბამისად, მასში შემავალ ბიბლიის თითოეულ პერიკოპს დამოუკიდებელი ნომერი მიაკუთვნა.

⁹ L – მესტია, საქართველოს ეროვნული მუზეუმი № 621 (ძველი M-51): IX-X სს. ე.წ. ლატალის ლექციონარი.

¹⁰ K – თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Q-1653, IX-X სს. ე.წ. კალის, ანუ ლაგურკის, ლექციონარი.

¹¹ P – პარიზი, საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა, Géorgien 3; X ს. ე.წ. პარიზის ლექციონარი.

¹² მათ გარდა, პირველი მეფეთას საკითხავებს კიდევ ოთხი ფრაგმენტული ხელნაწერი, მათ შორის ორი პალიმფსესტური, შეიცავს, რომლებიც მხოლოდ თითო საკითხავს, ისიც არასრულად, წარმოგვიდგენენ:

Ge^f – იერუსალიმი, სომხური საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, № 207. **საკითხავი: (488)** – 17:1-16

Ge^c – კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, MS. Add. 1890.1 (GEORGIAN MS. 3) **საკითხავი: (554)** – 23:26-24:11

Ge^{A-1695-1} – თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, პალიმფსესტი A-1695-1, X ს. **საკითხავი: (410)** – 16:2-8

Ge^{A-1390-2} – თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, პალიმფსესტი A-1390-2 X ს. **საკითხავი: (488)** – 17:26-35.

გამო. ლატალის ლექციონარში დიდმარხვის მეოთხე კვირის სამშაბათის განგება 445-ე საკითხავის კითხვას არ გულისხმობს.

ლექციონარის საკმაოდ ადრეული სტრუქტურული ფორმაა დაცული ლექციონარის სომხურ წყაროებშიც. ქართულ და სომხურ ლექციონართა სტრუქტურული შედარება საკითხავთა ქრონოლოგიის განსაზღვრის საშუალებას იძლევა:

ქართული ლექციონარი ¹³	სომხური ლექციონარი
1:1-2:11a (№ 367): დიდმარხვის მეორე კვირის ორშაბათი P (1:1-2:11a): 58rb-60rb L (1:1-2:11a): 81/42ra-86/44va K (1:1-2:11a): 2ra-3vb	1:1-23a: დიდმარხვის მეორე კვირის ორშაბათი LA (1:1-23a): გვ. 240-241/[102-103] Arm ^d - (1:1-23a): გვ. 166/[80] Arm ^{dC} ————— Arm ^T (1:1-23a): 51v-54r

¹³ ცხრილში წარმოდგენილია პირველი მეფეთას საკითხავების ნუსხა ქართული და სომხური ლექციონარების მიხედვით. ქართულ ლექციონარში შესული პირველი მეფეთას საკითხავებისთვის მითითებულია ტექსტის მონაკვეთი, თარხნიშვილისეული ნომერი, ხელნაწერები (ლიტერებით), რომლებშიც ეს საკითხავები დასტურდება. მითითებულია ხელნაწერთა გვერდებიც.

სომხური ლექციონარისათვის ვისარგებლეთ სომხური ლექციონარის შარლ (ათანასე) რენუს გამოცემებით: **Le codex arménien Jérusalem 121**. 1. Introduction. Aux origines de la liturgie hiérosolymitaine. Lumières nouvelles, PO 35/1 (1969); 2. Édition comparée du texte et de deux autres manuscrits, introduction, textes, traduction et notes, PO 36/2 (1971). **Le lectionnaire de Jérusalem en Arménie. Le čaşoc**. 1. Introduction et liste des manuscrits, PO 44 /4(1989); 2. Édition synoptique des plus anciens témoins, PO 48/2 (1999); 3. Le plus ancien lectionnaire cilicien: le Erevan 832, PO 49/5 (2004).

რენუსეული კლასიფიკაციით გამოცემებში ასახულია სომხური ლექციონარის განვითარების სხვადასხვა საფეხურის ტექსტუალური ფორმები: 1. უძველესი LA (= Le „*Lectonnaire arménien*“), Arm-Jer-121-თან ერთად, დაცულია Arm.-Par.-44-სა და Arm.Erev.-985-ში; 2. მეორე ტიპი, შედარებით გვიანდელი — ჭაშოცი (Ճաշոց) (ცხრილში პირობითად Arm^d-ითაა აღნიშნული) და 3. ჭაშოცის კლიკური ვერსია (ცხრილში აღნიშნულია Arm^{dC}-ით). მითითებულია გამოცემის გვერდები.

გარდა ამისა, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხურ ხელნაწერთა კოლექციაში ნომრით Arm-8 დაცულია ლექციონარი, რომელიც ხათუნა გაფრინდაშვილმა აღწერა და ხელნაწერში არსებული პირველი მეფეთას საკითხავთა ნუსხაც, ასევე დასაწყისისა და დასასრულის მითითებით, მოგვანოდა. ცხრილში ხელნაწერი Arm^T-ითაა აღნიშნული და მასში შესული პირველი მეფეთას საკითხავები გვერდების მითითებითაა წარმოდგენილი.

ქართული ლექციონარი ¹³	სომხური ლექციონარი
<p>2:11b–3:21 (№ 373): დიდმარხვის მეორე კვირის სამშაბათი</p> <p>P (2:11b–3:21): 62vrb-64rb</p> <p>L (2:11b–3:10): 109/56ra-112/57vb; 273/137ra-274/137va</p> <p>K (2:11b–3:21): 4rb-6rb</p>	<p>1:23b-2:26: დიდმარხვის მეორე კვირის სამშაბათი</p> <p>LA (1:23b-2:26): გვ. 242-243/[104-105]</p> <p>Arm^Δ(1:23b-2:26): გვ. 166/[80]</p> <p>Arm^{ΔC} —————</p> <p>Arm^T (1:23b-2:26): 54r-57r</p>
<p>4:1–6:18 (№ 382): დიდმარხვის მეორე კვირის ხუთშაბათი¹⁴</p> <p>P (5:9–6:18): 70ra-71rb</p> <p>L (4:15–6:18): 287/144ra-288/144vb; 113/58ra-114/58vb; 89/46ra- 90/46va</p> <p>K (4:1–6:18): 9ra-11vb</p>	<p>3:21c-4:18: დიდმარხვის მეორე კვირის ხუთშაბათი</p> <p>LA (3:21c-4:18): გვ. 244-245/[106-107]</p> <p>Arm^Δ(3:21c-4:18): გვ. 167/[81]</p> <p>Arm^{ΔC} —————</p> <p>Arm^T (3:21c-4:18): 58v-61v</p>
<p>6:19–7:2a (№ 1070): 2 ივლისი, შჯულის კიდობნის დღესასწაული¹⁵</p> <p>P (6:19–7:2a): 260vb-261ra</p> <p>L (6:19–7:2a): 484/244vb-485/245rb</p> <p>K (6:19–7:2a): lac</p>	<p>6:19–7:2: 2 ივლისი, შჯულის კიდობნის დღესასწაული</p> <p>LA (6:19–7:2): გვ. (348-349/[210-211])</p> <p>Arm^Δ(6:19–7:2): გვ. 216/[130]</p> <p>Arm^{ΔC}(6:19–7:2): გვ. 620/[102]</p> <p>Arm^T (6:19–7:2): 320v-321v</p>
<p>7:2b–13 (№ 445): დიდმარხვის მეოთხე კვირის სამშაბათი</p> <p>P (7:2b–13): 102vb -103va</p> <p>L: om</p>	

¹⁴ პარიზისა და ლატალის ლექციონარები ხარვეზიანია და კალენდარულ მითითებას მხოლოდ კალის ხელნაწერი შეიცავს.

¹⁵ შჯულის კიდობნის დღესასწაული 2 ივლისსაა დადებული სინა 34-ის კალენდრიოთაც (Garitte 1958: 30, 76, 267).

ქართული ლექციონარი ¹³	სომხური ლექციონარი
K: lac	
	<p>15:34-35, 25:1: 10 იანვარი, ძველი ალექსის პატრიარქთა ხსენება¹⁶ LA ——— Arm^ა ——— Arm^აC (15:34-35, 25:1): გვ. 589/[71] Arm^T (15:34-35, 25:1): 344r-348r</p>
<p>16:1–23 (№ 410): დიდმარხვის მესამე კვირის სამშაბათი P (16:1–23): 81vb-82vb L (16:1–23): 324v¹⁷; 115/59ra-116/ 59vb K (16:1–23): 18va-19va A-1695-1# (16:2–8): 114r</p>	
<p>17:1–18:9 (№ 488): დიდმარხვის მეხუთე კვირის სამშაბათი P (17:1–18:9): 120va-124ra L (17:1–18:9): 167/84ra-174/87va K (17:1–18:9): 35ra-38rb f# (204): 17:1-16 A-1390-2#: 61v/col.a: 17:26-28; 60r/col. b: 17:33-35</p>	
<p>23:25–24:23 (№ 554): დიდმარხვის მეექვსე კვირის ხუთშაბათი P (23:25–24:23): 149rb-150va L (23:25–24:23): 211/106ra-213/107 rb</p>	

¹⁶ სინა 34-ის მიხედვით, ქართულ ტრადიციით, აღინიშნებოდა 24 დეკემბერს (Garitte 1958: 112).

¹⁷ ფურცელი დეფექტურია და კალენდარული მითითება ჩამოხეულია.

ქართული ლექციონარი ¹³	სომხური ლექციონარი
K (23:25–24:23): 54ra-55rb c#: r/col. a: 23:26-24:1; r/col. b: 24:3-4 v/col. a: 24:6-8 v/col. b: 24:9-11	
28:1- 29:11; 31:1-13 (№ 303): ყველიერის კვირის პარასკევი P (28:1- 29:11; 31:1-13): 25va-28ra L: lac K: lac	

ლექციონარის თავისებურებიდან გამომდინარე, საკითხავთა წარმომავლობის კვლევისას, ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია გასათვალისწინებელი. როგორც ვიცით, მისი ჩამოყალიბება ერთბაშად არ მომხდარა, ტიპიკონი მუდმივად ივსებოდა. ერთი მხრივ, ემატებოდა დღესასწაულები, მეორე მხრივ კი, უკვე არსებულის განგებები სულ უფრო-დაუფრო იტვირთებოდა ახალ-ახალი თემატური საკითხავებით. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ მე-9–მე-10 საუკუნეების წყაროებში დაცულ ლექციონარის ფორმაში, საკითხავები სხვადასხვა დროს იყოს თარგმნილი ან ბიბლიის არსებული თარგმანიდან გადმოტანილი, და, შესაბამისად, სხვადასხვა დედნიდან მომდინარეობდეს. არც ისაა გამორიცხული, რომ ლექციონარში არსებული საკითხავებიც განიცდიდნენ სწორებას, ამიტომ ლექციონარში შესული საკითხავების შემთხვევაშიც (როგორც საკითხავების შემადგენლობაში, ისე ცალკეულ საკითხავში) უნდა გაირჩეს სხვადასხვა პერიოდის ქრონოლოგიური შრეები.

სადისერტაციო ნაშრომის თარგმლებში მხოლოდ იმ ხუთი საკითხავის ტექსტი შევისწავლეთ, რომლებშიც პირველი მეფეთას 1:1-7:13 მონაკვეთია წარმოდგენილი გაბმულად. ეს მონაკვეთი საკითხავთა მიხედვით ასე ნაწილდება:

1. 1 მეფ. 1:1-2:11a – 367
2. 1 მეფ. 2:11b-3:21 – 373
3. 1 მეფ. 4:1-6:18 – 382
4. 1 მეფ. 6:19-7:2a – 1070

5. 1 მეფ. 7:2b-7:13 – 445

აღნიშნული საკითხავების შერჩევა, ერთი მხრივ, იმან განაპირობა, რომ ოთხი მათგანი, 367, 373, 382 და 1070, ლექციონარის უძველესი შრეების (მე-5 – მე-6 საუკუნეების) კუთვნილებაა და, შესაბამისად, ადრეულ თარგმანს უნდა წარმოადგენდეს, შესაძლოა, ერთი მთარგმნელის მიერ ერთი და იმავე ტიპის დედნიდან შესრულებულს. 445-ე საკითხავი კი ლექციონარის განვითარების მომდევნო ეტაპს უნდა ეკუთვნოდეს, რაც ლექციონარის ადრეული და გვიანდელი შრეების შედარება-შეპირისპირების საშუალებას გვაძლევს.

დიდმარხვის განგება და, შესაბამისად, ამ პერიოდში განწესებული საკითხავებიც, ლექციონარის უძველეს შრეს მიეკუთვნება, თუმცა, თუ ერთმანეთს შევუდარებთ, ერთი მხრივ, ქართული ლექციონარის ხელნაწერებს და, მეორე მხრივ, ქართულ და სომხურ ლექციონარებს, გამოჩნდება, რომ თითოეულ მათგანში განგების ამ უძველეს შრესაც კი განსხვავებული სახე აქვს. მიუხედავად ამისა, გარკვეული კრიტერიუმების გამოყენებით მკვლევარნი მაინც ახერხებენ უძველესი ფენის გამოყოფას. ეს კრიტერიუმებია: 1. Lectio Continua, ანუ უწყვეტი კითხვის პრინციპი და 2. წყაროებში წარმოდგენილი ტექსტების საერთოობის პრინციპი.

მიჩნეულია, რომ ადრეულ ეტაპზე წმინდა წერილი ღვთისმსახურების დროს Lectio Continua-ს, ანუ უწყვეტი კითხვის წესით იკითხებოდა: ბიბლიის ამა თუ იმ წიგნის კითხვას ზუსტად იქიდან აგრძელებდნენ, სადაც წინა დღეს შეწყვიტეს, ამგვარად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მთლიანი წიგნი ან მისი რომელიმე მონაკვეთი სრულად იკითხებოდა. მიიჩნევა, რომ ქრისტიანობამ ბიბლიის წიგნთა კითხვის ასეთი წესი ებრაული ლიტურგიკული ტრადიციისაგან იმეკვიდრა და ქრისტიანული ღვთისმსახურების უძველეს საფეხურს ასახავს.

საერთოობის კრიტერიუმის შესაბამისად კი, თავდაპირველია ის, რაც საერთოა სხვადასხვა პერიოდისა თუ ლოკალური ტრადიციის ლექციონარში.

ქართულ ლექციონარში შესული პირველი მეფეთას ცხრა საკითხავი აღნიშნული კრიტერიუმებით შევაფასეთ.

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, უწყვეტად კითხვის პრინციპს აკმაყოფილებს პირველი მეფეთას მხოლოდ სამი საკითხავი, რომლებიც პირველი მეფეთას 1:1-6:18 მონაკვეთს შეიცავენ გაბმულად:

1. 367-ე (1 მეფ. 1:1-2:11a)

2. 373-ე (1 მეფ. 2:11b-3:21)

3. 382-ე (1 მეფ. 4:1-6:18)

სამივე მათგანი იკითხება დიდმარხვის მეორე კვირის ორშაბათს, სამშაბათსა და ხუთშაბათს. მათ ქართული ლექციონარის სამივე სრული ხელნაწერი შეიცავს. სამივე მათგანი ამავე დღეებში, ოღონდ ტექსტის მეტ-ნაკლებად განსხვავებული დანაწილებით (დიდმარხვის მეორე კვირის ორშაბათი: 1 მეფ. 1:1-23a; დიდმარხვის მეორე კვირის სამშაბათი: 1 მეფ. 1:23b-2:26; დიდმარხვის მეორე კვირის ხუთშაბათი: 1 მეფ. 3:21-4:18)¹⁸ შესულია სომხურ ლექციონარებშიც, რომელშიც საკუთარი განგება დიდმარხვის მხოლოდ მეორე კვირის სადავ დღეებს აქვთ. მაშ, ეს სამი საკითხავი აკმაყოფილებს ორივე პრინციპს და შეიძლება ლექციონარის უძველეს შრეს მივაკუთვნოთ.

ყველა სრული ლექციონარისათვის საერთოა, ანუ საერთოობის პრინციპს აკმაყოფილებს, 1070-ე (1 მეფ. 6:19-7:2a) საკითხავიც¹⁹, რომელიც როგორც ქართული, ასევე სომხური ლექციონარების მიხედვით, 2 ივლისს, შჯულის კილობნის კარიათიარიმში დაბრუნების დღესასწაულზე, იკითხებოდა. რადგანაც ეს საკითხავი არის როგორც სომხურ, ისე ყველა ქართულ ლექციონარში, ლექციონარში იუდეური კალენდრიდან გადმოღებულ დღესასწაულთან დაკავშირებით შეტანილი ერთ-ერთი უძველესი საკითხავია.

445-ე საკითხავი (1 მეფ. 7:2b-7:13), რომელიც დიდმარხვის მეოთხე კვირის სამშაბათს სრულდებოდა, არც უწყვეტი კითხვის კრიტერიუმს აკმაყოფილებს და არც საერთოობისას. იგი სომხურ ლექციონარებში არაა და ლექციონარის ქართულ წყაროთაგანაც მხოლოდ პარიზის ხელნაწერშია. შესაბამისად, ლექციონარის შედარებით გვიანდელი სტრუქტურული შრის ნაწილია, რამაც განსაზღვრა კიდევ მისდამი ჩვენი ინტერესი:

¹⁸ როგორც ვხედავთ, სომხურში სამშაბათისა და ხუთშაბათის საკითხავებს შორის წყვეტაა, რაც ათანასე რენუს მეორეულად მიაჩნია. მისი ფრთხილი ვარაუდით, ის, რაც აკლია, შესაძლოა, ოთხშაბათის საკითხავად ყოფილიყო განწესებული და ამას იმ პერიოდს მიაკუთვნებს, როდესაც დიდმარხვა ზუსტად ორმოცდღიანი იყო და ამჟამინდელი მეორე კვირა დიდმარხვის პირველ კვირას წარმოადგენდა, სწორედ ამის გამო შემორჩა კიდევ მხოლოდ ამ კვირას საკუთარი განგება სომხურში, თუმცა როდესაც დიდმარხვა კვლავ რვაკვირიანობას დაუბრუნდა, ოთხშაბათი საკითხავებით დანარჩენი კვირების ოთხშაბათებს დაუკავშირდა და პირველი მეფეთა-იგავთა-იერემიას საკითხავები გამოსვლათა-იოელ-მიქეას საკითხავებით ჩანაცვლდა. თუ რენუს ვარაუდი სწორია, დიდმარხვის მეორე კვირის ორშაბათ-სამშაბათ-ხუთშაბათის საკითხავები ლექციონარის კიდევ უფრო ძველ შრეს ეკუთვნიან.

¹⁹ ლაკუნის გამო აკლია მხოლოდ კალის ლექციონარს.

ამ სხვადასხვა ქრონოლოგიური შრის საკითხავების ტექსტების შეპირისპირებითი ანალიზი ლექციონარის შედგენის ისტორიას ჰფენს ნათელს.

დანარჩენი საკითხავები არც საერთოობის პრინციპს აკმაყოფილებენ (არ არიან სომხურ ლექციონარში) და არც უწყვეტი კითხვისა, შესაბამისად, სავარაუდოდ, შედარებით გვიანდელი უნდა იყვნენ. დისერტაციაში ისინი განხილული არ არის²⁰.

კვლევის მიზნები

სადისერტაციო ნაშრომის მიზნებია:

1. პირველი მეფეთას ლექციონარის ქართულ ხელნაწერებში შესული საკითხავების მიმართების დადგენა ბერძნულ წყაროებთან.

თუმცა, ცალკეულ ბერძნულ წყაროსთან ქართულის მიმართების გარკვევამდე, შევისწავლეთ მიმართება სომხურთანაც:

ლექციონარების შედარებისას ორი ღონეა გასათვალისწინებელი: განგების სტრუქტურა და ტექსტი. ქართული და სომხური ლექციონარების სტრუქტურების მეფეთა წიგნების საკითხავთა ფარგლებში შედარებამ აჩვენა, რომ ქართულ ლექციონარებში პირველი მეფეთას სულ 9 საკითხავია (P:9, L:7, K:6), სომხურში კი – 5 (LA და Arm^დ: 4, Arm^ა: 2, Arm^ტ: 5). ქართულისა და სომხურის საერთო 4 საკითხავიდან მოცულობით იდენტური მხოლოდ 2 ივლისის საკითხავია, დანარჩენი სამი კი სომხურში გაცილებით მოკლეა (იხ. ცხრილი გვ. 10-13). სომხური ლექციონარის ძველი აღთქმის საკითხავთა ტექსტები გამოცემული არ არის, თუმცა რენუს გამოცემებში მითითებულია საკითხავის დასაწყისი და დასასრული, რომლებიც ზოჰრაბის გამოცემისას ემთხვევა. საკითხავთა დასაწყისების მიხედვით, ასეთივეა სურათი ლექციონარის გვიანდელ თბილისურ ხელნაწერშიც (Arm.-8). ეს გვაგვარაუდებინებს, რომ ლექციონარების ხელნაწერებშიც პირველი

²⁰ საკითხავების გარკვეული (ამ შემთხვევაში სიძველის) პრინციპით შერჩევის კიდევ ერთი მიზეზი ის იყო, რომ პირველი მეფეთას ბერძნული ტექსტის კრიტიკული გამოცემა ყველა წყაროს მიხედვით ახლა მზადდება გეტინგენის პროექტის ფარგლებში. ტექსტის გამომცემლის, ანელი ემელეუსისაგან, მიმდინარე სამუშაო პროცესის გამო, ვერ მივიღეთ 1 მეფ. 17:39-58 (488-ე საკითხავის ნაწილი) და 1 მეფ. 23:25-24:23 (554-ე საკითხავი სრულად). შესაბამისად, რადგანაც საკვლევ მასალას სრულად ვერ მოვიცავდით, საკითხავები გარკვეულ ლოგიკას დაუქვემდებარეთ და ისინი შევარჩიეთ, რომლებიც ლექციონარის უძველეს ქრონოლოგიურ შრეს უნდა მიეკუთვნებოდნენ.

მეფეთას იგივე ტექსტია დაცული, რაც ზოჰრაბის ბიბლიის გამოცემაში. შესაბამისად, სომხური ტექსტისათვის შედარებისას ზოჰრაბის გამოცემით ვისარგებლეთ. პირველი მეფეთას ქართულ ლექციონარებში შეტანილ საკითხავთა ვარიანტულ იკითხვისებს სომხურში პარალელები არ დაეძებნა. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ლექციონარის პირველი მეფეთას საკითხავები არაა თარგმნილი სომხურიდან (არც ლექციონარიდან და არც ბიბლიის ხელნაწერებში დაცული ტექსტიდან).

პირველი მეფეთას ლექციონარებში შესულ საკითხავთა ქართული ვერსიების ბერძნულთან მიმართების გარკვევა იმის დადგენას გულისხმობს პირველი მეფეთას ბერძნული თარგმანის რომელ ტექსტუალურ ფორმასთან და მისი ტექსტის ისტორიის რომელ ეტაპთან აქვს პარალელები ლექციონარის ქართული პერიკოპების ტექსტებს.

2. საღისერტაციო ნაშრომის მომდევნო მიზანს წარმოადგენს *პირველი მეფეთას* ლექციონარში შესულ საკითხავთა მიმართების დადგენა *პირველი მეფეთას* ბიბლიურ ხელნაწერებში წარმოდგენილ ძველ ქართულ ვერსიებთან. ამ შემთხვევაში გავარკვიეთ: ა. პირველი მეფეთას ქართული თარგმანების ბიბლიურ ხელნაწერებსა და ლექციონარის წყაროებში ერთი და იგივე ვერსიაა წარმოდგენილი თუ სხვადასხვა; ბ. თუ სხვადასხვა ვერსიაა წარმოდგენილი, როგორია მათი ურთიერთგავლენა.

3. შემდეგი მიზანი იყო პირველი მეფეთას ლექციონარის ქართულ ხელნაწერებში შესული საკითხავების გამოცემა, რადგან ტექსტის დადგენა მისი წარმომავლობისა და ტექსტის ისტორიის გარკვევის პარალელური, თანმხლები, პროცესია.

კვლევის მეთოდოლოგია

დასახული მიზნების განსახორციელებლად, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა კვლევის სწორი მეთოდოლოგიით წარმართვას ენიჭება.

თითოეული საკითხავის შესწავლისას მივმართეთ **კვლევის ემპირიულ, კომპარატიულ, ანალიზისა და სინთეზის** (ანუ მასალის ინტერპრეტირების) მეთოდებს.

კვლევის ემპირიული მეთოდი: ქართული ტექსტი, როგორც ბიბლიის ასევე ლექციონარის ვერსიები, ჩვენ მიერ იქნა გადმოწერილი ხელნაწერებიდან. პალიმფსესტური ფრაგმენტების შემთხვევაში, ვისარგებლეთ კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვ-

ნული ცენტრის მეცნიერთა მიერ მომზადებულ პალიმფესესტო კატალოგში (ქაჯაია, ლ., გაფრინდაშვილი, ხ., გულედანი, ც., მროტაძე, ნ., ჩიტუნაშვილი, დ., & ხოსიტაშვილი, ი., (2017). *ქართული პალიმფესესტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – კატალოგი, ტექსტები, ალბომი*. თბილისი) შესული გაშიფრული ტექსტით, თუმცა ჩვენ კიდევ ერთხელ შევუდარეთ ხელნაწერს და, ბერძნულის გათვალისწინებით გამოვლენილი მცდარი ნაკითხვები შევასწორეთ. ემპირიულმა შესწავლამ ტექსტის ისტორიის ისეთ ასპექტებზეც შეგვიქმნა აზრი, როგორებიცაა: გადამწერთა ენა, ორთოგრაფია თუ კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული რეალიების გავლენა ტექსტუალურ მონაცემებზე.

შედარების მეთოდი: თითოეული საკითხავი სიტყვასიტყვით შევუდარეთ პირველი მეფეთას შესაბამისი მონაკვეთის ქართულ, ბერძნულ და სომხურ წყაროებს. შევადგინეთ ტექსტების მიმართების ამსახველი სინოპტიკური ცხრილები. მათში შევიტანეთ შემდეგი წყაროები:

პირველი მეფეთას **ქართული** ვერსიების აქამდე გამოვლენილი ყველა (როგორც სრული, ასევე ფრაგმენტული) წყაროს ტექსტი სინოპტიკური ცხრილების ცალკეულ სვეტებში შევიტანეთ. ხელნაწერთა ურთიერთმიმართება თვალსაჩინო რომ ყოფილიყო, თუკი მომდევნო ნაკითხვები წინას იდენტურია, იკითხვისი აღარ გავიმეორეთ და ამა თუ იმ წყაროსთან მსგავსება ტოლობით ვაჩვენეთ.

ბერძნულისათვის ვისარგებლეთ პირველი მეფეთას edicio maior-ით, რომელიც გზას გვიხსნის არა მხოლოდ ბერძნული ხელნაწერებისაკენ, არამედ ტექსტის ისტორიასაც წარმოაჩენს და ამ ისტორიაში ქართული თარგმანის ადგილის განსაზღვრას აადვილებს.

ქართული ვერსიების ბერძნულთან შედარებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კრიტიკული აპარატში განთავსებული ცალკეულ წყაროთა ვარიანტების მონაცემთა გათვალისწინებას, რადგან სწორედ ისინი ასახავენ რეალურ ტექსტებს, ტექსტუალურ ფორმებსა და მათი განვითარების ეტაპებს, რომლებიც კონკრეტული ხელნაწერების სახით, ხელთ ჰქონდათ ბერძნული ლექციონარის შემდგენელ-შემავსებელთ თუ მათს ქართველ მთარგმნელთ.

ბერძნული პირველი მეფეთას ისტორიაში სამი მთავარი ტექსტუალური ფორმა, ე.წ. ჰექსაპლური (O), ლუკიანური (L) და კატენური (C) ტიპის ტექსტები, გამოიყოფა.

როგორც ზემოთვე ვთქვით, პირველი მეფეთას ქართული ვერსიები, ბერძნულის გარდა, სომხურსაც შევუდარეთ, როგორც ტექსტს, რომელიც ტრადიციულად ქართული

თარგმანის პოტენციურ დედნად არის ხოლმე მიჩნეული. კოლაციონირებისას სომხური ტექსტისათვის გამოვიყენეთ ზოჰრაბის გამოცემა და მხედველობაში მივიღეთ გეტინგენის გამოცემის სამუშაო ვარიანტის კრიტიკულ აპარატში შეტანილი კითხვასხვაობანიც, რომელიც, გარდა ზოჰრაბის გამოცემისა, რამდენიმე დამატებით ხელნაწერსაც ეყრდნობა.

ანალიზის მეთოდი: მასალის გაანალიზება კომპარატიული მეთოდით გამოვლენილი მასალის ამოკრებას, მსგავსება-განსხვავებათა მაგალითების შეფასებასა და სტატისტიკურ ანალიზს მოიცავს:

მასალის ამოკრება: ტექსტების შედარებისას, უპირველეს ყოვლისა, დავაფიქსირეთ ყველა ის შემთხვევა, როდესაც ქართული დაშორდა გამომცემლის მიერ დადგენილს) კრიტიკულ ბერძნულ ტექსტს და რომელიმე ხელნაწერის ან ხელნაწერთა ჯგუფის ვარიანტს გაჰყვა. ცხადი გახდა, რომ ხშირად ის ვარიანტი, რომელსაც ქართული მიჰყვებოდა, უმეტესწილად L ტექსტუალური ფორმისა იყო, თუმცა არც ამ უკანასკნელის ყველა კითხვასხვაობას იზიარებდა. პირველი მეფეთას ლექციონარში შესული საკითხავებისა და L -ის მიმართების სწორად შესაფასებლად ამოვწერეთ მათი როგორც მსგავსების, ასევე განსხვავების ყველა მაგალითი.

მსგავსება-განსხვავებათა მაგალითების შეფასება ტექსტოლოგიური ღირებულების თვალსაზრისით: მასალა დიფერენცირებულად იქნა გაანალიზებული, რადგან ყველა მსგავსება და ყველა განსხვავება ტექსტუალური მიმართების დასადგენად თანაბრად მნიშვნელოვანი არ არის. გარდა გენეტიკური კავშირისა, მსგავსებები ბერძნულენოვან წყაროებთან შესაძლოა იყოს: ა. პარალელიზმით გამოწვეული; ბ. თარგმანის ტექნიკით განპირობებული ან გ. შიდაქართული ტრანსმისიის პროცესში წარმოქმნილი. ბერძნულსა და ქართულს შორის არსებულ განსხვავებასაც შეიძლება ჰქონდეს ობიექტური მიზეზი, მაგ., ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურა ბერძნულის გრამატიკულ ცვლილებებს ვერ ასახავს (მაგ., სქესის ცვლილება, აორისტის კონინეს ფორმების ატიკური დიალექტისათვის დამახასიათებელი ფორმებით ჩანაცვლება). შესაბამისად, ტექსტუალური მიმართების დასადგენად ამგვარი მასალა დეზინფორმაციულია.

ტექსტუალურ მიმართებაზე მსჯელობისას როგორც თანხმობის, ისე განსხვავების შემთხვევაში განსაკუთრებულად ფასეული მატებები და ლექსიკური შენაცვლებებია, რომელთა ასახვა-არასახვა არც ენის შესაძლებლობებზეა დამოკიდებული და არც მთარგმნელის სტილსა თუ გემოვნებაზე. შესაბამისად, პირველი მეფეთას ლექციონარში

შესული საკითხავების ბერძნულ წყაროებთან მიმართებაც სწორედ მატებებსა და ლექსიკურ შენაცვლებებზე დაყრდნობით გავარკვიეთ.

სტატისტიკური ანალიზი: მასალის ამონერისა და შეფასების შემდეგ, მომდევნო საფეხური უკვე გენეტიკური კავშირის მაჩვენებელი მასალის **სტატისტიკური ანალიზია**. პირველი მეფეთას ქართული ვერსიების ბერძნულთან შედარების პროცესშივე ჩვენთვის აშკარა გახდა, რომ პირველი მეფეთას ქართული ვერსიები და, მათ შორის, ლექციონარის საკითხავები, ყველაზე ხშირად L ჯგუფის ხელნაწერთა ვარიანტებს იზიარებდნენ.

ვარიანტების ხასიათის გათვალისწინება აუცილებელია სწორი სტატისტიკური სურათის მისაღებად. L ტიპის ტექსტში, გარდა თავდაპირველი იკითხვისებისა, გამოიყოფა მეორეული ვარიანტებიც, რომლებიც ორ პრინციპულად ურთიერთსაპირისპირო ჯგუფს ქმნის: 1. შიდაბერძნული, ეგზეგეტიკურ-სტილისტური ხასიათის ცვლილებები, რომლებიც ბერძნული ტექსტის გასაუმჯობესებლადაა განხორციელებული; 2. მანერაიზებული²¹ ცვლილებები, განსაკუთრებით, ასტერიზებული მატებები და ლექსიკური შენაცვლებები, რომლებიც თავდაპირველი ბერძნული თარგმანის ებრაულთან დაახლოებას ემსახურება.

კვლევის შემდგომი ეტაპი დაეთმო იმის დადგენას, ამ ორი ურთიერთსაპირისპირო ტიპის (არამანერაიზებული და მანერაიზებული) ცვლილებებიდან, რომლებიც L -ს ტექსტუალური ფორმას ქმნიან, რომელნი არიან მეტი ინტენსივობით ასახულნი ლექციონარის საკითხავთა ტექსტებში.

ქართულ ლექციონარში ასახული მიმართებები ბერძნულ რეცენზიათა როგორც მანერაიზებულ (\neq cf MT), ისე არამანერაიზებულ (\neq MT) ვარიანტებთან ასე დავაჯგუფეთ:

	\neq MT	\neq cf MT
L	$Ge^L \neq$ cf $L (\neq OC)$	$Ge^L \neq$ cf $L (\neq OC)$
	$Ge^L [=$ Lemma] $\neq L (\neq OC)$	$Ge^L [=$ Lemma] $\neq L (\neq OC)$
LOC	$Ge^L \neq$ cf LOC	$Ge^L \neq$ cf LOC
	$Ge^L [=$ Lemma] $\neq LOC$	$Ge^L [=$ Lemma] $\neq LOC$
LO	$Ge^L \neq$ cf LO	$Ge^L \neq$ cf LO

²¹ მანერაიზებულია ცვლილება, რომელიც თავდაპირველ ბერძნულ თარგმანს მასორეტულთან აახლოებს (\neq cf MT).

	$Ge^L [= Lemma] \neq L O$	$Ge^L [= Lemma] \neq L O$
$L C$	$Ge^L =//cf L C$	$Ge^L =//cf L C$
	$Ge^L [= Lemma] \neq L C$	$Ge^L [= Lemma] \neq L C$

ვარიანტების ხასიათის შეფასებაზე დაფუძნებული (და არა მგავსება-განსხვავებების მექანიკური აღნუსხვით მიღებული) სტატისტიკური ანალიზით გამოჩნდა არა მხოლოდ ის, თუ რომელ ტექსტულურ ფორმას ენათესავება (OG L O C) პირველი მეფეთას ლექციონარში შესული საკითხავები, არამედ ისიც, თითოეული მათგანის რა ტიპის ვარიანტებს ასახავენ, ანუ თითოეული ტექსტულური ფორმის განვითარების რომელ ეტაპს წარმოადგენენ, ეს უკანასკნელნი.

შედეგები:

ბერძნულთან მიმართება

1. ლექციონარში შესულ პირველი მეფეთას საკითხავთა ბერძნულ წყაროებთან სიტყვასიტყვითი შედარება-შეპირისპირების გზით განვსაზღვრეთ ხუთი საკითხავის (367, 373, 382, 445, 1070) ტექსტულური ფორმა და ხასიათი. როგორც დადგინდა, ხუთივე საკითხავი L ტექსტულურ ფორმას ასახავს, ხშირად (367-ე, 373-ე, 382-ე, 1070-ე საკითხავების შემთხვევაში) L -ის იმაზე ადრეულ სახეს, ვიდრე თავად ბერძნულ ხელნაწერებშია შემონახული. 445 საკითხავის შემთხვევაში კი ქართული ბერძნულ წყაროებში დაცულ ფორმაზე გვიანდელს ინახავს: 445 საკითხავის ტექსტში ინტეგრირებულია ის მანერაზე-ებელი ვარიანტები, რომლებიც L -ის ბერძნულ წყაროებში (განსაკუთრებით 108-ე ხელნაწერში) ჯერ კიდევ აშიებზეა განთავსებული.

2. სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილი ხუთი საკითხავის ფარგლებში გამოჩნდა, რომ ლექციონარის საკითხავებად შემორჩენილი პირველი მეფეთას ფრაგმენტებს არ განუცდია შემდგომი სწორება ბერძნულ წყაროთა მიხედვით და საკმაოდ კარგად ინახავს თავდაპირველ თარგმანს და მისი სარწმუნო წყაროა.

3. იმ ფაქტმა, რომ ლექციონარში შესული პირველი მეფეთას 367-ე, 373-ე, 382-ე, 1070-ე საკითხავები როგორც ბერძნული, ასევე ქართული ტექსტის ისტორიის ადრეულ საფეხურს ინახავენ, განსაკუთრებული ღირსება შესძინა ლექციონარის ხელნაწერებში დაცულ საკითხავებს და ცხადად აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი გამოყენება ქართული და ბერძნული ბიბლიის ტექსტის ისტორიის კვლევისას. ამ მნიშვნელობის

გამო, პირველი მეფეთას ქართული ვერსიებისა და მათ შორის, ლექციონარში შესული საკითხავების სეპტუაგინტას ტექსტის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ვარიანტები პირველი მეფეთას გეტინგენის გამოცემის კრიტიკულ აპარატში იქნება დოკუმენტირებული.

სომხურთან მიმართება

4. ლექციონარის ქართულ და სომხურ სტრუქტურათა და ტექსტთა შედარებამ მათ შორის გენეტიკური კავშირი არ გამოავლინა. ქართული და სომხური ლექციონარები სტრუქტურულად მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან: ქართული ლექციონარები (კალისა და ლატალისაც კი) პირველი მეფეთას საკითხავთა რაოდენობითაც აღემატება სომხურს და საერთო საკითხავთა მოცულობითაც. აქედან გამომდინარე, არც სომხური და ქართული საკითხავების ტექსტუალური მსგავსება იყო მოსალოდნელი. ეს წინასწარი აზრი ტექსტების შედარებამაც დაადასტურა. შესაბამისად, დისერტაციაში წარმოდგენილ მაგალითებში სომხურის წაკითხვები დემონსტრირებული არ არის და არც პირველი მეფეთას საკითხავთა ფარგლებში ქართულ-სომხური ლექციონარების ტექსტობრივ მიმართებაზე ვმსჯელობთ.

ბიბლიის ქართულ ხელნაწერებში დაცულ ვერსიებთან მიმართება

5. გამოჩნდა, რომ *პირველი მეფეთას* ლექციონარში შესული ის 5 საკითხავი, რომლებიც დისერტაციის ფარგლებში შევისწავლეთ, უმეტესწილად განსხვავდება *პირველი მეფეთას* ბიბლიურ ხელნაწერებში წარმოდგენილი ძველი ქართული ვერსიებისაგან და განსხვავებულ თარგმანს წარმოადგენს, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნა ბიბლიის ტექსტების რედაქტირებისას. საერთოა მხოლოდ ანას გალობის ტექსტი, რომელიც ლიტურგიკულ პრაქტიკაში გამოიყენებოდა უძველესი დროიდან.

6. 1070-ე საკითხავის სხვადასხვა ვერსიას დაცული პარიზისა და ლატალის ლექციონარებში (კალის ლექციონარს მთელი დღის განგება აკლია ლაკუნის გამო). პარიზის ლექციონარის ტექსტი ბიბლიურ წყაროთაგან განსხვავებულია, ლატალის ლექციონარში კი ოშკურ ვერსიას (ზოგჯერ ოშკის ბიბლიის მცდარ წაკითხვებსაც კი) ემსგავსება. ეს გვაფარაუდებინებს, რომ ლატალის ლექციონარის დედანი ხარვეზიანი იყო და გადამ-

წერმა ნაკლული ტექსტი ოშკური ტიპის ტექსტით შეავსო²². ეს კონკრეტული შემთხვევა ლექციონართა კოპირებისას გავრცელებულ პრაქტიკაზე გვიქმნის წარმოდგენას და გვაჩვენებს, თუ როგორ ივსებოდა ლექციონარებში ხარვეზისა თუ სხვა მიზნების გამო ნაკლული ადგილები.

გამოცემა

7. დისერტაციის ფარგლებში ქართული ლექციონარის ყველა წყაროს გათვალისწინებით მომზადდა პირველი მეფეთას ლექციონარის ვერსიის ხუთი საკითხავის ტექსტის (1:1-7:13) კრიტიკული გამოცემა, რომელიც აღჭურვილია ორი კრიტიკული აპარატითა და ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური კომენტარებით. კრიტიკული აპარატები შედგენილია გეტინგენის სეპტუაგინტას გამოცემებში აპრობირებული პრინციპების შესაბამისად, ბერძნული ბიბლიის გამოცემებში გამოყენებული პირობითი აღნიშვნებით, რაც შესაძლებელს ხდის, რომ გამოცემით ქართულის არმცოდნე უცხოელმა ბიბლიოლოგებმაც ისარგებლონ.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომი შედგება სამი თავისაგან.

I თავი. პირველი მეფეთა — ბიბლიის ისტორიული წიგნი.

პირველი თავის პირველ ქვეთავში – I.1 პირველი მეფეთა ებრაულ და ბერძნულ ტრადიციებში – მიმოხილულია ისეთი ფილოლოგიური საკითხები, როგორებიცაა: მეფეთა წიგნების შინაარსი, სათაური და წიგნებად დაყოფა; პირველი მეფეთას შექმნისა და ბერძნულ თარგმანთან დაკავშირებული ქრონოლოგიურ-გეოგრაფიული რეალიები; პირველი მეფეთას ადგილი ბიბლიის წიგნთა შორის, ერთი მხრივ, ებრაულ და, მეორე მხრივ, ბერძნულ ტრადიციაში.

მეორე ქვეთავის — I.2 პირველი მეფეთას წყაროები და ტექსტის ისტორია — პირველი ნაწილი – I.2.1. ებრაული პირველი მეფეთას ტექსტუალური ტიპები და წყაროები

²² ნაკლული მუხლების განსხვავებული ტიპის ტექსტებით შევსების შემთხვევებს ნიწო მელიქიშვილიც გამოყოფს ხუთწიგნულის საკითხავებში.

– ეხება წიგნის ებრაულ ხელნაწერ ტრადიციას, მათ შორის, ყუმრანის გრაგნილებს; ასევე მოკლედ და დახასიათებული პირველი მეფეთას ებრაული ტექსტუალურ ფორმები: მასორეტული ტექსტი, სეპტუაგინტას ებრაული დედანი და ყუმრანის გრაგნილებში დაცული ტექსტუალური ფორმები.

მეორე ნაწილი – I.2.2 პირველი მეფეთას ბერძნული თარგმანის ტექსტუალური ტიპები და წყაროები – ბერძნულ ტრადიციას ეთმობა, რომელშიც დანვრილებითაა მიმოხილული პირველი მეფეთას ბერძნული ხელნაწერი ტრადიცია, ტექსტის თარგმნისა და რეცენზირების ისტორია. დახასიათებულია როგორც სეპტუაგინტას ებრაული (καίγε, აკვილას, თეოდოტიონისა და სვიმაქოსის ვერსიები), ასევე ქრისტიანული (L, O და C) რეცენზიები და ტექსტუალური ფორმები, ხელნაწერი წყაროები, გამოცემები და სეპტუაგინტას თარგმანები.

II. თავი. პირველი მეფეთას ძველი ქართული ვერსიები.

მეორე თავი ეთმობა პირველი მეფეთას ქართული წყაროებისა და ტექსტუალური ტიპების მიმოხილვას. პირველი ქვეთავის – II.1 პირველი მეფეთას ძველი ქართული წყაროები – პირველ და მეორე ნაწილებში წარმოდგენილია პირველი მეფეთას ქართული ვერსიების შემცველი ბიბლიისა (II.1.1 ბიბლიის ხელნაწერები) და ლექციონარის (II.1.2 ლექციონარის ხელნაწერები) ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, სადაც მიმოხილულია ხელნაწერის გადანერის თარიღი და შენახვის ადგილი, რა სათაურით არის წარმოდგენილი მეფეთა წიგნები და როგორია მათში მეფეთა წიგნების მიმდებარე ტექსტების თანმიმდევრობა, რომელ გვერდებს მოიცავს თითოეულ ხელნაწერში პირველი მეფეთა და რა სისრულითაა წარმოდგენილი ტექსტი ხელნაწერ წყაროებში. მესამე ნაწილში – II.1.3 პირველი მეფეთას ქართული ვერსიების გამოცემები – კი ჩამოთვლილი და მოკლედ დახასიათებულია პირველი მეფეთას ქართული ვერსიების ბეჭდური და ელექტრონული მეცნიერული გამოცემები.

მეორე ქვეთავში – II.2 პირველი მეფეთას ძველ ქართულ ვერსიათა ტექსტუალური ტიპები – გამოყოფილი და მოკლედ აღწერილია პირველი მეფეთას ძველ ქართულ ვერსიათა ტექსტუალური ტიპები, რომლებიც ბიბლიის ხელნაწერებშია შესული.

მესამე ქვეთავში – II.3 პირველი მეფეთას ძველი ქართული ვერსიების როლი სეპტუაგინტას ტექსტის ისტორიისათვის – მოკლედ და აღმოსავლური თეორიული წანამძღვრები იმისა, თუ რატომაა საინტერესო სეპტუაგინტას ტექსტოლოგიათვის ბიბლიის

წიგნთა ძველი ქართული ვერსიები და რა როლი აქვს პირველი მეფეთას ძველ ქართულ ვერსიებს ამ წიგნის ბერძნული ტექსტის ისტორიის ინტერპრეტაციისათვის.

III. თავი. პირველი მეფეთას ქართულ ლექციონარებში შესული საკითხავების მიმართება ბერძნულ წყაროებთან.

მესამე თავი სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ნაწილია. მის პირველ ქვეთავში – III.1. პირველი მეფეთას ვარიანტული იკითხვისების ხასიათი (*manuscripta ponderantur non numerantur* – ხელნაწერები უნდა აიწონოს და არა დაითვალოს) – დახასიათებულია პირველი მეფეთას ბერძნულ ტრადიციაში არსებული ვარიანტები შემდეგი ჯგუფების მიხედვით: გრამატიკული ცვლილებები (სახელის ბრუნვა და რიცხვი, ზმნური ფორმები (პირი, რიცხვი, დრო-კილო...), ლექსიკური სინონიმია, ტრანსპოზიცია, იკითხვისთა შენაცვლება და რაოდენობრივი ცვლილებები. ქართული და ბერძნული ენების თავისებურებათა გათვალისწინებით შეფასებულია თითოეული მათგანის მნიშვნელობა თარგმანის წარმომავლობის კვლევისათვის.

მეორე ქვეთავი – III.2. პირველი მეფეთას ლექციონარში შესული საკითხავების გამოცემა – გაყოფილია ორ ნაწილად.

მეორე ქვეთავის პირველ ნაწილია III.2.1. **გამოცემის სამეცნიერო აპარატი**, რომელშიც აღწერილია ტექსტის გამოცემის მეთოდოლოგიური საფუძვლები, დანვრილებითაა გადმოცემული ტექსტის დადგენის პრინციპები, დახასიათებულია ტექსტისთვის დართული ორი კრიტიკული აპარატი და ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური კომენტარები. აქვეა წარმოდგენილი გამოცემაში გამოყენებული პირობითი ნიშნები და მათი განმარტებანი. გამოწვლილვითაა მიმოხილული მესამე თავის მეორე ქვეთავის მეორე ნაწილის სტრუქტურა.

მეორე ქვეთავის მეორე ნაწილი – III.2.2. **ტექსტი. კომენტარები. კვლევა.** – წარმოადგენს დისერტაციის ფარგლებში შესწავლილი პირველი მეფეთას ხუთი საკითხავის ტექსტის გამოცემას. აქვეა გაანალიზებული პირველი მეფეთას ლექციონარის საკითხავთა ქართულ და ბერძნულ წყაროებთან მიმართება. თითოეული საკითხავი, ლექციონარის თავისებურებიდან გამომდინარე, მიჩნეული გვაქვს დამოუკიდებელ ტექსტად. თითოეული საკითხავის (ე.ი. ტექსტის) გამოცემა და ტექსტოლოგიური ანალიზი შედგება სამი სტრუქტურული ერთეულისაგან.

ამათგან **პირველ ნაკვეთში** მიმოხილულია, თუ რა ადგილი უჭირავს ამა თუ იმ საკითხავს ლექციონარის სტრუქტურაში, რადგანაც სწორედ ეს ასპექტი მეტყველებს იმაზე, ესა თუ ის საკითხავი ლექციონარის უძველეს, ე.ი. საერთო, ფენას მიეკუთვნება თუ ლექციონარის გარკვეული, ლოკალურად თუ ქრონოლოგიურად განსხვავებული ფორმიდანაა ინტეგრირებული ქართულ ლექციონარში. **მეორე ნაკვეთი** წარმოადგენს კრიტიკულად დადგენილი ტექსტის გამოცემას ორი კრიტიკული აპარატით. განსაკუთრებით საყურადღებო შემთხვევებში ამა თუ იმ მუხლს ერთვის ვრცელი ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური კომენტარები. **მესამე ნაკვეთში** მოცემულია მატება-შენაცვლების შემთხვევათა სტატისტიკური ანალიზი თითოეული საკითხავის ტექსტის ბერძნულ წყაროებთან მიმართების საჩვენებლად. სტატისტიკური ანალიზის შედეგები მოკლედაა თავმოყრილ-შეჯამებული **დასკვნაში**.

დისერტაციის ბოლო ნაწილია **ბიბლიოგრაფია**, რომელიც შედგენილია APA-ს ციტირების სტილის მე-7 გამოცემის შესაბამისად. მასში წარმოდგენილია გამოყენებული წყაროები და გამოცემები, სამეცნიერო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დასკვნები და შედეგები

1. დადგინდა პირველი მეფეთას ლექციონარში შესულ საკითხავთა ერთი ნაწილის (367-ე, 373-ე, 382-ე, 445-ე და 1070-ე) მიმართება უცხოურ წყაროებთან: ამ საკითხავთა ტექსტები წარმოადგენენ ბერძნულ *L* ტექსტუალური ტიპის თარგმანს. ამასთან, ოთხი მათგანი (367, 373, 382 და 1070) ასახავს *L*-ის ადრეულ, ნაკლებბრაიზებულ, ფორმას და მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს ბერძნული ტექსტის ისტორიის ინტერპრეტირებისათვის.

2. პირველი მეფეთას ქართულ ვერსიათა კითხვასხვაობები აისახება ბერძნული პირველი მეფეთას სეპტუაგინტას გამოცემის კრიტიკულ აპარატში.

3. პირველი მეფეთას აღნიშნული მონაკვეთის კვლევამ აჩვენა, რომ პირველი მეფეთას ლექციონარის საკითხავების ტექსტის მიმართება პირველი მეფეთას ქართულ ბიბლიურ წყაროებში დაცულ ვერსიებთან ყოველთვის ერთგვაროვანი არაა. ეს, ერთი მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, ლექციონარის რომელ შრეს მიეკუთვნება ესა თუ ის საკითხავი, ხოლო, მეორე მხრივ, თარგმანის ხასიათს თავად ტექსტის ხასიათიც შეიძლება განსაზღვრავდეს (როგორცაა მაგ., ანას გალობის შემთხვევა). სტრუქტურულად შედა-

რებით ძველი შრის საკითხავები, 367, 373, 382, ასევე 445 და 1070, ბიბლიის ვერსიათაგან დამოუკიდებელი თარგმანია. ამასთან, ანას გალობა (ქართულ ლექციონარში 367-ე საკითხავის ნაწილია), რომელიც პოეტური ტექსტია, იდენტურია ყველა ვერსიაში.

კიდევ ერთი ასპექტი, რაც 1070-ე საკითხავის მაგალითზე გამოჩნდა, არის ის, რომ ხელნაწერის მექანიკური დაზიანება, დედნისეული ხარვეზი, შეიძლება სხვა ტიპის ხელნაწერით შეივსოს. 1070-ე საკითხავის შემთხვევაში ლატალის ლექციონარის დედნის ლაკუნა შევსებულია არა ლექციონარის მეშვეობით, არამედ ბიბლიის ხელნაწერებში დაცული ტექსტით.

4. ტექსტის შედარებით ადრეული ფორმა დაცულია ლექციონარის ადრეულ სტრუქტურულ შრეში, ანუ სწორედ იმ ნაწილში, რომელიც საერთოა როგორც ქართული, ასევე ქართული და სომხური ლექციონარებისათვის და ამავე დროს, მისდევს *Lectio Continua*-ს პრინციპს. ორივე ეს გარემოება – ლექციონარის უძველეს კრებულებში (სომხური და ქართული) გამოვლენილი მსგავსებები და ტექსტის უწყვეტად კითხვის ტრადიცია – შეიძლება გამოყენებულ იქნას ლექციონარის სტრუქტურისა და მისი საკითხავების უძველესი შრეების გამოსაყოფად.

5. გამოჩნდა, რომ ბიბლიური პერიკოპების ტექსტუალური ფორმა ლექციონარის შედგენის ქრონოლოგიური ფენების განმსაზღვრელ ერთ-ერთ კრიტერიუმადაც შეიძლება გამოდგეს: სტრუქტურულად გვიანდელი საკითხავი, 445 (არ არის სომხურ ლექციონარში და ლექციონარის ქართულ წყაროთაგანაც მხოლოდ პარიზულ ხელნაწერშია შესული), ტექსტუალურადაც განსხვავდება დანარჩენი საკითხავებისაგან და *L*-ის მკვეთრად ებრაიზებულ, მარგინალური წარმოშობის ვარიანტებით დატვირთულ, ფორმას წარმოადგენს.

6. დისერტაციის ფარგლებში ქართული ლექციონარის ყველა წყაროს გათვალისწინებით მომზადდა პირველი მეფეთას ლექციონარის ვერსიის ხუთი საკითხავის ტექსტის (1:1-7:13) კრიტიკული გამოცემა, რომელიც აღჭურვილია ორი კრიტიკული აპარატითა და ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური კომენტარებით. კრიტიკული აპარატები შედგენილია გეტინგენის სეპტუაგინტას გამოცემებში აპრობირებული პრინციპების შესაბამისად, ბერძნული ბიბლიის გამოცემებში გამოყენებული პირობითი აღნიშვნებით, რაც შესაძლებელს ხდის, რომ გამოცემით ქართულის არმცოდნე უცხოელმა ბიბლიოლოგებმაც ისარგებლონ.

I თავი. *პირველი მეფეთა* — ბიბლიის ისტორიული წიგნი

I.1 პირველი მეფეთა ებრაულ და ბერძნულ ტრადიციებში

I.1.1 სათაური და წიგნებად დაყოფა

პირველი მეფეთა ბიბლიის იმ ოთხწიგნიანი ჯგუფის ნაწილია, რომელშიც აღწერილია ებრაელთა პირველი მეფეების, საულის, დავითისა და სოლომონის მეფობა, სოლომონის ტაძრის აშენება, ისრაელის ორ სამეფოდ დაშლა და ებრაელთა ბაბილონში წარტყუევნა. უშუალოდ *პირველი მეფეთა* კი მოგვითხრობს ებრაელი ერის ისტორიას სამოელის, უკანასკნელი მსაჯულისა, და ებრაელთა პირველი ორი მეფის, საულისა და დავითის, მოღვაწეობას. *პირველ მეფეთაში* დავითის მეფობა-აღზევების მხოლოდ დასაწყისია აღწერილი, უმთავრესი ნაწილი კი მოთხრობილია *მეორე მეფეთაში*, რომელიც სრულდება კიდევ დავითის გარდაცვალებით. *პირველ მეფეთაში* ამბის თხრობა სამოელის დაბადებით იწყება და საულის გარდაცვალებით სრულდება, რომელსაც ტახტზე დავითი ანაცვლებს.

ებრაულ და მასზე დამყარებულ ტრადიციებში (ე.ი. ებრაულიდან შესრულებულ თარგმანებში), წიგნს, რომელსაც ქართულში, როგორც სეპტუაგინტას თარგმანში, *პირველი მეფეთას* სახელწოდებით ვიცნობთ, *სამოელის პირველი წიგნი*²³ ეწოდება²⁴.

როგორც ჩანს, წიგნის სათაურად სამოელი იმიტომ შეირჩა, რომ იგი განვითარებული ამბისა თუ ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული და ძირითადი ფიგურაა. 25-ე თავის პირველივე მუხლში სამოელი გარდაიცვლება, შესაბამისად, იგი მეორე წიგნში, რომელიც ასევე მისი თანამოსახელეა, ნახსენებაც არაა. შესაძლოა, შინაარსსა და სათაურს შორის არსებულმა ასეთმა დიდმა აცდენამ გააჩინა თალმუდურ ტრადიციაში აზრი, რომ სამოელი, გარდა მოქმედი პირისა, მისი სახელის მატარებელი ტექსტის ავტორიც იყო (Ackroyd 1971: 1; McCarter 1980: 3-4; Grillet et al 1997: 23-24; Smith 1899: xi-xii; Klein 1983:

²³ ქვემოთ *პირველი მეფეთას* ებრაულ ტრადიციაზე მსჯელობისასაც სამოელის პირველ წიგნს *პირველ მეფეთად* მოვიხსენიებთ.

²⁴ სწორედ ამ სათაურით – 1 Samuel – მოიხსენიება იგი როგორც ევროპულ თარგმანებში, ასევე წიგნის მრავალრიცხოვან კომენტარსა თუ მეორეულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

xxv). ეს ლოგიკური შეესაბამება სეპტუაგინტას მთარგმნელმა უფრო ადეკვატური სათაურით აღმოფხვრა და წიგნს Βασιλειῶν (ე.ი. მეფობათა) უწოდა.

სათაური არ არის ერთადერთი, რაც ბერძნულსა და ებრაულ ტრადიციებს განასხვავებდა. ბერძნულში ცვლილება წიგნებად დაყოფასაც შეეხო.

ტრადიციულად, ებრაულში ტექსტი, რომელიც მოიცავს ებრაელთა ისტორიას საულის გამეფებიდან იუდეა-ისრაელის დაცემამდე და ბაბილონში წარტყვევებამდე, ორ წიგნად იყო გაყოფილი. პირველ მათგანს ეწოდებოდა სამოელის წიგნი და სრულდებოდა დავითის გარდაცვალებით, ხოლო მეორეს – წიგნი მეფეებისა, რომელიც მოიცავდა სოლომონის მეფობას, ტაძრის მშენებლობას, ორი ებრაული სამეფოს — იუდეა-ისრაელის — წარმოქმნასა და ამ სამეფოთა დაცემას. ამას მოწმობს სამოელის მეორე წიგნის ბოლოს მასორეტულ ტექსტში შემორჩენილი შენიშვნა, რომლის მიხედვითაც, სამოელის წიგნის შუა (ცენტრალური) მუხლია 1 სამოელი 28:24 (Ackroyd 1971: 1-2; McCarter 1980: 3; Smith 1899: xi-xii).

ოთხ წიგნად დაყოფის პრაქტიკა სეპტუაგინტას ტრადიციაში გაჩნდა, საიდანაც მე-16 საუკუნეში ებრაულშიც შეაღწია და ფეხიც მოიკიდა. მიიჩნევა, რომ ბერძნულში ოთხ წიგნად დაყოფის მიზეზი ტექნიკური ხასიათისა იყო: რადგანაც წიგნის ფორმა გრაგნილი გახლდათ, მისი ზომა გარკვეულ სტანდარტებს შეესაბამებოდა, რაც, ერთი მხრივ, განპირობებული იყო გრაგნილების გადამწერთა ანაზღაურებისა და გრაგნილების აღებ-მცემასთან დაკავშირებით შემუშავებულ საფასო სტანდარტით, ხოლო, მეორე მხრივ, შეზღუდული იყო გრაგნილის ზომა, წიგნის ფორმის თავისებურებიდან გამომდინარე. შესაბამისად, თითოეული წიგნი (ე.ი. სამოელისა და მეფეებისა) დაახლოებით თანაბარი ზომის ორ წიგნად გაიყო, თუმცა გაყოფისას გარკვეული შინაარსობრივი პრინციპით მაინც იხელმძღვანელებს და, მაგალითად, მეფეთა პირველ ორ წიგნს შორის საზღვარი საულის სიკვდილით დაადგინეს. ოთხ წიგნად დაყოფის სისტემა ბერძნულიდან ჯერ ლათინურ ტრადიციაში გავრცელდა, საიდანაც ებრაული ბიბლიის პირველ გამოცემებში (1517 წლის პირველ რაბინულ ბიბლიასა და 1524/1525 წლების მეორე რაბინულ ბიბლიაში) შეაღწია (McCarter 1980: 3; Grillet et al 1997: 24; Smith 1899: xi-xii; Klein 1983: xxv). მაშასადამე, ტრადიციულად, ებრაულში იყო **სამოელისა და მეფეების** წიგნები, რომელთაც სეპტუაგინტასა და მის შვილობილ ვერსიებში (ე.ი. თარგმანებში) მეფეთა (Βασιλειῶν) ოთხი (α, β, γ, δ) წიგნი შეესაბამებოდა, მე-16 საუკუნიდან, ბერძნულის გავლენით, ებრაულ ტრადიციაშიც ორი წიგნი ოთხად დაიყო. თვალსაჩინოებისათვის საჭიროდ გვესახება ებ-

რაულ-ბერძნულ-ქართული სახელწოდებები ინგლისური თარგმანებითურთ ერთმანეთის გვერდიგვერდ წარმოვადგინოთ:

სახელწოდება ებრაულსა და მასზე დამყარებულ ტრადიციებში		სახელწოდება ბერძნულსა და მასზე დამყარებულ ტრადიციებში ²⁵		
ა ზჯომჴ	1 Samuel	Βασιλειῶν α	1 Kingdoms	პირველი მეფეთა
ბ ზჯომჴ	2 Samuel	Βασιλειῶν β	2 Kingdoms	მეორე მეფეთა
ა ძიჯჴ	1 Kings	Βασιλειῶν γ	3 Kingdoms	მესამე მეფეთა
ბ ძიჯჴ	2 Kings	Βασιλειῶν δ	4 Kingdoms	მეოთხე მეფეთა

1.1.2 პირველი მეფეთას ადგილი ებრაული ბიბლიისა და ქრისტიანულ კანონში

ებრაულ და ქრისტიანულ კანონში პირველ მეფეთას (მთლიანად მეფეთა წიგნებს) სხვადასხვა ადგილი უჭირავთ.

ქრისტიანულ კანონში მეფეთა წიგნები, ისუ ნავეს, მსაჯულთას, რუთის, ნემტთას, ებრა-ნეემიასა და ესთერის წიგნებთან ერთად, **ისტორიულ წიგნთა** (მოსდევს რვანეგნეულს) ჯგუფში ერთიანდება (ცინდელიანი 1967ა: 1; Jellicoe 1993: 278-297).

მეფეთა წიგნები ებრაული ბიბლიის კანონიკური წიგნებია, ოლონდ **წინასწარმეტყველთა ჯგუფს** (ნევიიმს) მიეკუთვნება და ისუ ნავესა და მსაჯულთა წიგნებთან ერთად **პირველწინასწარმეტყველთა** ქვეჯგუფს ქმნის. წინასწარმეტყველთა ჯგუფში კიდევ ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: შემდგომი ხანის წინასწარმეტყველთა (ესაია, იერემია, ეზეკიელი) და მცირე წინასწარმეტყველთა წიგნები (აერთიანებს ე.წ. თორმეტ მცირე წინასწარმეტყველს, ოლონდ, რადგანაც თორმეტივეს ტექსტი ერთ გრაგნილში ეტეოდა, ერთ წიგნად მიიჩნევდნენ) (Ackroyd 1971: 2-4; Grillet et al 1997: 23).

²⁵ ჩვენი დისერტაციის ინგლისურენოვან ნაწილებში (სათაური, აბსტრაქტი, მაცნე), პირველი მეფეთა სწორედ 1 Kingdoms ეკვივალენტითაა თარგმნილი

I.2 პირველი მეფეთას წყაროები და ტექსტის ისტორია

I.2.1 ებრაული პირველი მეფეთას ტექსტუალური ტიპები და წყაროები

I.2.1.1 მასორეტული ტექსტი (MT)

ებრაული ტრადიციის ძირითადი ტექსტუალური ფორმა მასორეტულია (MT), მის ძირითად წყაროებს შუა საუკუნეების ხელნაწერები წარმოადგენენ, რომელთაგან ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანი ალექსანდრის (MT^A, 925 წ.) და ე.წ. ლენინგრადის²⁶ (MT^L, 1009 წ.) კოდექსებია. სწორედ ამ კოდექსებს ემყარება ებრაული ბიბლიის ყველა თანამედროვე გამოცემა. როგორც ვხედავთ, ძალიან ძველი ტექსტები ძალიან გვიანდელი ხელნაწერებითაა მოლწეული და ტრანსმისიის ისტორიაში ამხელა ჩავარდნის გამო მხოლოდ მასორეტული ტექსტის წყაროებზე დაყრდნობით ტექსტის ისტორიისა და ტექსტის რეკონსტრუირება შეუძლებელია. პირველი მეფეთას ტექსტის მასორეტული ფორმა ძალიან დაზიანებულია, მასში მრავლადაა გადამწერთა უყურადღებობით დაშვებული შეცდომები, განსაკუთრებით, მსგავსი კიდურწერილობის გამო წარმოქმნილი გამოტოვებები. გარდა უნებლიე შეცდომებისა, პირველი მეფეთას მასორეტული ტექსტი გვიანდელი რედაქტორული შემოქმედების მკვეთრ კვალსაც ატარებს (Aejmelaeus 2021c: 217; McCarter 1980: 5, 8-9; Jellicoe 1993: 283; Lange et al 2017: 332-333).

I.2.1.2 სეპტუაგინტა — როგორც ებრაული დედნის წყარო

პირველი მეფეთა ებრაულიდან ბერძნულად ძველი წელთაღრიცხვის მესამე-მეორე საუკუნეებში უნდა თარგმნილიყო (Aejmelaeus 2021c: 218; Lange et al 2017: 307). შესაბამისად, სეპტუაგინტას მეშვეობით, შემორჩენილ მასორეტულ წყაროებზე 12 საუკუნით უფრო ძველ ტექსტზე შეიძლებოდა წარმოდგენის შექმნა. ებრაული ბიბლიის მკვლევარ-გამომცემლები სეპტუაგინტას უკუთარგმანს იყენებდნენ კიდევ მასორეტული ტექსტის გამოტოვებული ადგილების აღსადგენად. მსგავსი მიდგომა განსაკუთრებით მყარ მეცნიერულ საფუძველზე ველჰაუზენის პირველ მეფეთაზე დაწერილმა მონოგრაფიამ დააყ-

²⁶ მართალია, პეტერბურგი ლენინგრადად მხოლოდ საბჭოთა პერიოდში (1924-1991 წწ.) მოიხსენიებოდა, ტრადიციის წაყოლით, ებრაული ბიბლიის მკვლევართა შორის, ებრაული ბიბლიის ამ უმნიშვნელოვანეს ხელნაწერს მაინც ეს ანაქრონული სახელი შემორჩა.

ენა (Wellhausen 1871). თუმცა ამგვარ მიდგომას სკეპტიკოსებიც ჰყავდა და სეპტუაგინტასა და მასორეტულ ტექსტს შორის არსებულ განსხვავებებს სეპტუაგინტას მთარგმნელთ მიანერდნენ (McCarter 1980: 5-7).

ველჰაუზენისა და სეპტუაგინტას ავტორიტეტი საბოლოოდ და შეურყევლად ყუმრანის აღმოჩენებმა გაამყარეს.

I.2.1.3 ყუმრანი

მეფეთა წიგნები ებრაული ბიბლიის იმ ილბლიან წიგნთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა ტექსტების შემცველი ხელნაწერები ყუმრანის გრაგნილთა შორისაც აღმოჩნდა.

1952 წელს დაიწყო არქეოლოგიური გათხრები ყუმრანის მე-4 გამოქვაბულში, სადაც აღმოჩნდა პირველი და მეორე მეფეთას ფრაგმენტები, რომლებმაც მთლიანად შესცვალა და, ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ გადაატრიალა მეფეთა პირველი ორი წიგნის ტექსტუალური კრიტიკა და, ზოგადად, ბიბლიის ტექსტოლოგიური კვლევებიც. ძალიან ფრაგმენტულ ხელნაწერებში ამოკითხულმა ტექსტებმა დაადასტურა, რომ სეპტუაგინტასა და მასორეტულ ტექსტს შორის არსებული განსხვავებები მთარგმნელის მიერ გამოვლენილი თავისუფლების შედეგი არ იყო და ამ სხვაობებს ებრაულშივე უნდა ჰქონოდა სათავე (McCarter 1980: 6-7; Cross et al 2005: 24-27). უფრო დაწვრილებით ყუმრანის ფრაგმენტების ტექსტოლოგიურ მიმართებაზე სეპტუაგინტას ტექსტუალურ ფორმებთან ქვემოთ (*L* ტექსტის დახასიათებისას) ვისაუბრებთ.

ყუმრანის გრაგნილებში პირველი და მეორე მეფეთას (ე.ი. 1-2 სამოელის) წიგნები დაუყოფლად, ერთ წიგნადაა შეტანილი, ამიტომ ქვემოთ სამოელის წიგნის შემცველ ფრაგმენტებს დავასახელებთ: 1QSam (1Q7), 4QSam^a (4Q51), 4QSam^b (4Q52), 4QSam^c (4Q53), MS Schøyen 4612/10, MS Schøyen 5480, MS Schøyen 5233/1. ამათგან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, თარიღისა თუ ტექსტის თვალსაზრისით, მე-4 გამოქვაბულის ფრაგმენტებია, ამიტომ მათ რამდენიმე სიტყვით აღვწერთ (Cross et al 2005; Lange et al 2017: 302-304, 319-329).

4QSam^a (4Q51): პალეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით, ძველი წელთაღრიცხვის 50-25 წლების შუალედით ათარიღებენ. იგი ყუმრანის ფრაგმენტთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი ტექსტის შემცველი ფრაგმენტია, რომელიც 1-2 მეფეთა ტექსტის დაახლოებით 15%-ს ინახავს (Cross et al 2005: 1-28; Lange et al 2017: 320-323).

4QSam^b (4Q52): პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ეს ფრაგმენტული ხელნაწერი დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის 250 წლითაა დათარიღებული. ხელნაწერი მნიშვნელოვანია განსაკუთრებული სიძველის გამო. (Cross et al 2005: 219-224; Lange et al 2017: 323-325).

4QSam^c (4Q53): ფრაგმენტი ასევე პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვით 100-75 წლებითაა დათარიღებული. (Cross et al 2005: 247-254; Lange et al 2017: 325-326).

I.2.2 ბერძნული პირველი მეფეთას ტექსტუალური ტიპები და წყაროები

I.2.2.1 სეპტუაგინტა

სხვადასხვა ტრადიციით, სეპტუაგინტას თარგმანი ან მთელ ძველ აღთქმას შეიცავდა, ან მხოლოდ ხუთწიგნულს და ბიბლიის დანარჩენ წიგნთა თარგმანები ეტაპობრივად ემატებოდა. ისინი, ვინც მეორე მოსაზრებას იზიარებს, შედარებით გვიან თარგმნილ ტექსტებს *მეფეთა წიგნებსაც* მიაკუთვნებენ, რომლებიც ებრაულიდან ბერძნულად ქრისტემდე მეორე საუკუნეში უნდა გადმოეღოთ. სეპტუაგინტას პირველი მეფეთას ებრაული დედანი უნდა ყოფილიყო მასორეტულისაგან განსხვავებული ტრადიციის ტექსტი. პირველი მეფეთას ძველი ბერძნული ვერსიის თარგმანის ტექნიკის მკვლევართა აზრით, იგი თავისი დედნის სიტყვასიტყვითი თარგმანია²⁷ (Aejmelaeus 1993: 132; Aejmelaeus 2021c: 218; Lange 2017: 349; Perttilä 2017).

I.2.2.2 სეპტუაგინტას პირველი მეფეთას ტექსტის ისტორია

ტექსტის გავრცელების თანმხლები აუცილებლობაა ტექსტის ცვლილება. თუ ტექსტს მკითხველ-გადამწერი ჰყავს, თუ პოპულარულია, მისი ცვლილებაც გარდაუვალია. ამ წესიდან გამონაკლისს არც სეპტუაგინტა წარმოადგენს. სეპტუაგინტასაც აქვს ტექსტის, ანუ ცვლილებების, ისტორია.

²⁷ სეპტუაგინტას პირველი მეფეთას თარგმანის სიტყვასიტყვითობა ტექსტის ისტორიის გათვალისწინების შემთხვევაში შესაძლებლობას იძლევა, სეპტუაგინტას მეშვეობით აღდგეს მასორეტული ტექსტის დაზიანებული ადგილები და გასწორდეს მრავალრიცხოვანი შეცდომები.

ცვლილებები ორი ტიპისაა, გადამწერთა მიერ გადანერის პროცესში დაშვებული შეცდომები და ფილოლოგთა მიერ გარკვეული პრინციპის შესაბამისად განხორციელებული სწორებები.

როგორც წესი, შეცდომების იდენტიფიცირება და ტექსტის მათგან განმეინდა შედარებით იოლია. გაცილებით რთულადაა საქმე წინასწარ აღებული პრინციპების მიხედვით განხორციელებული ცვლილებების შემთხვევაში, რომლებიც ტექსტს მნიშვნელოვნად ცვლიან. ტექსტის კრიტიკა სწორედ ამ პრინციპების იდენტიფიცირება, შემდეგ ამ პრინციპთა საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების გამოყოფა და ტექსტის მათგან განმეინდაა, რათა იგი თავდაპირველ ფორმას დაუბრუნდეს. სეპტუაგინტას ტექსტის ისტორიასაც სწორედ ამგვარი, პრინციპული, ცვლილებები ქმნიან.

ძირითადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც სეპტუაგინტას ტექსტი სწორდებოდა, დედანთან დაახლოება იყო. ზემოთვე აღვნიშნეთ, რომ მეფეთა წიგნების სეპტუაგინტას ვერსიას ლიტერალიზმით გამორჩეულ თარგმანად მიიჩნევენ. მაშ, რაღა საჭირო უნდა ყოფილიყო დედანთან დაახლოება?

ამის რამდენიმე მიზეზი არსებობდა: ერთი ის, რომ თავად მკითხველის გემოვნება შეიცვალა და საზოგადოებაში უფრო ლიტერალური თარგმანის მოთხოვნილება გაჩნდა, მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ ებრაული ბიბლიის ტექსტი, რომელმაც ებრაელთა შორის ფეხი მოიკიდა, ავტორიტეტი მოიპოვა და Textus receptus-ად იქცა, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სეპტუაგინტას ებრაული დედნისაგან.

სეპტუაგინტას დედნის მიხედვით ასწორებდნენ, დედანთან აახლოებდნენ, როგორც მისი ებრაელი, ასევე ქრისტიანი მკითხველები. ოღონდ, განსხვავებული იყო მათი მოტივაცია. პირველთ სურდათ დედნის ზუსტი ასლი ჰქონოდათ ხელთ, მეორენი კი ცდილობდნენ, ებრაელის დახმარებით გაეწმინდათ სეპტუაგინტა ტრანსმისიის პროცესში წარმოქმნილი შეცდომებისაგან²⁸.

²⁸ სანამ პირველი მეფეთას ძველი ბერძნული თარგმანის ტექსტუალურ ფორმებსა თუ რეცენზია-ვერსიებზე ვისაუბრებთ, მანამ საჭიროდ მიგვაჩნია განვმარტოთ ზოგიერთი ტერმინი:

ვერსია არის თარგმანის სინონიმი და ჩვენც ამ მნიშვნელობით ვიყენებთ.

ტექსტის ფორმა არის ნეიტრალური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ნიშანთა გარკვეული ერთობლიობით გამორჩეულ ტექსტს.

I.2.2.2.1 სეპტუაგინტას ტექსტის ცვლილება ებრაულ ტრადიციაში

I.2.2.2.1.1 აკვილას წინამორბედთა რეცენზია: *αίγυ*

ყუმრანის გათხრების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დამსახურება, იმ ტექსტუალური ფორმის სწორი ინტერპრეტირებაა, რომელსაც ქრისტესით მეორე საუკუნის მოღვაწე თეოდოტიონის სახელთან აკავშირებდნენ და მისეულ თარგმანად მიიჩნევდნენ.

1952 წელს ბართელემეის ხელთ აღმოჩნდა მცირე წინასწარმეტყველთა ბერძნული ტექსტის შემცველი ფრაგმენტები ნახალ ხევერიდან (8HevXIIgr), რომელთა შესწავლის შემდეგ ბართელემეიმ გამოყო მთელი რიგი მახასიათებლები, რომლებიც ახალაღმოჩენილ ტექსტს სეპტუაგინტას თარგმანისაგან განასხვავებდა. ამათგან ერთ-ერთი იყო ებრაული מג-סא და מג-י -ის *αίγυ* ეკვივალენტით გადმოტანა. სწორედ ამ თავისებურების გამო მიიღო ახლად აღმოჩენილმა ტექსტუალურმა ფორმამ *αίγυ*-ს სახელი. გარდა თვისობრივი სწორებისა, *αίγυ* რეცენზია რაოდენობრივი სწორებითაც ხასიათდება: ანუ აკლებდნენ იმ ელემენტებს, რომლებიც ძველ თარგმანს შესაძარებელ ტექსტთან მიმართებით მეტი ჰქონდა და ამატებდნენ იმას, რაც აკლდა (Aejmelaeus 2017b; Aejmelaeus 2021c: 221; Aejmelaeus: Accepted/In press; Lange 2017: 359).

ბართელემეიმ ნახალ ხევერის მცირე წინასწარმეტყველთა გრაგნილი ქრისტემდე პირველი საუკუნით დაათარილა.

მაშასადამე, ამ აღმოჩენით ფაქტობრივი მასალით დაფიქსირდა, რომ არსებობდა სეპტუაგინტას რეცენზირების წინარექრისტიანული პრაქტიკა²⁹, რომლის ძირითადი

რეცენზია არის ტექსტის ფორმა, რომელიც მიღებულია ტექსტის სწორებით წინასწარ აღებული პრინციპის შესაბამისად. ეს პრინციპი შეიძლება იყოს ტექსტში მოქვეყნებული გრამატიკული ფორმების ახლით ჩანაცვლება, ტექსტის დაახლოება სათარგმნ წყაროსთან და ა.შ.

რევიზია არის ტექსტის ფორმა, რომელიც მიღებულია ტექსტის **მსუბუქი** სწორებით წინასწარ აღებული პრინციპის შესაბამისად.

რედაქცია არის ტექსტის ფორმა, რომელიც მიღებულია ტექსტის სტრუქტურის ცვლილების შედეგად.

²⁹ ნახალ ხევერის აღმოჩენებამდე ებრაულ წრეებში სეპტუაგინტას სწორების საჭიროებას იმით ხსნიდნენ, რომ სეპტუაგინტა ქრისტიანობის წმინდა ტექსტად იქცა, რამაც ებრაელთა შორის მისი ავტორიტეტი შეარყია და განსხვავებული ტექსტის ქონის აუცილებლობა წარმოქმნა. ნახალ ხევერის აღმოჩენებმა აჩვენა, რომ ტექსტის სწორება ებრაელის მიხედვით ამას არ განუპირობებია და გაცილებით ხანგრძლივი ისტორია აქვს.

პრინციპი თარგმანის დედანთან, ამ შემთხვევაში პროტომასორეტულ ტექსტთან, დაახლოება იყო.

როგორც ანელი ემელეუსი აღნიშნავს, ბართელემის გენიალობა და განსაკუთრებული დამსახურება *მცირე წინასწარმეტყველთა* ახლად აღმოჩენილი ტექსტის აღწერა-დახასიათება კი არ იყო, არამედ ის, რომ მან ეს ნიშნები ბიბლიის სხვა წიგნებსა და ზოგიერთი წიგნის გარკვეულ მონაკვეთშიც (*მსაჯულთას B ტექსტი, მეორე მეფეთა 10:6/11:2 – მესამე მეფეთა 2:11, მესამე მეფეთა 22 – მეოთხე მეფეთა 25; იერემიას ვოლუბა, ქებათა ქება, ეკლესიასტე, მეორე ეზრა (2 Esdras), რუთი, თედოტიონის დანიელი და იობის წიგნის* მატებანი) დაინახა (Aejmelaeus: Accepted/In press).

καίγε რეცენზიული საქმიანობა დაკავშირებულია სეპტუაგინტასაგან განსხვავებული მთარგმნელობითი ფილოსოფიის სკოლასთან. თუკი პირველმთარგმნელთა მიზანი იყო სათარგმნი ტექსტის არსი მიეტანათ მკითხველამდე, *καίγε* რეცენზენტთა მიზანი კი პირიქით, მკითხველთა ებრაულ დედნამდე მიყვანა იყო (Aejmelaeus: Accepted/In press).

καίγε სკოლის წარმომადგენელთა შორის, რომელსაც შემდეგ რაბინული ტრადიცია დაემყარა, უპირატესობა ებრაული ბიბლიის პროტომასორეტულ, მოგვიანებით კი მასორეტულ ფორმას მიენიჭა.

პირველი მეფეთას (და ზოგადად *მეფეთა წიგნების*) სწორება-ებრაულ წყაროსთან დაახლოებას რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება განაპირობებდა:

1. სეპტუაგინტას ებრაული დედანი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა *მეფეთა წიგნების* პროტომასორეტული ფორმისაგან.

2. მიუხედავად თარგმანის სიტყვასიტყვითობისა, ძველ მთარგმნელს ზოგჯერ არ ჰყოფნიდა ცოდნა და გამოცდილება ადეკვატურად გაეგო და უშეცდომოდ ეთარგმნა ტექსტი.

3. განსხვავდებოდა *καίγε* სკოლის თეოლოგიაც, რომელიც ბიბლიის ლიტერატურად განმარტების ტრადიციებს მისდევდა და, შესაბამისად, მათთვის მნიშვნელოვანი იყო თარგმანიდან გამოეხშირათ ისეთი შემთხვევები, რომლებიც ტექსტის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობას იძლეოდა (Aejmelaeus: Accepted/In press).

მეფეთა წიგნებში *καίγε* რეცენზია არათანაბარი ინტენსივობითაა წარმოდგენილი. *καίγε* რეცენზიული მონაკვეთები ჯერ კიდევ მანამ გამოყო თეკერეიმ, სანამ მისი რაობა განისაზღვრებოდა და სახელი დაერქმეოდა:

მან ტექსტის საფუძველზე მეფეთა ოთხი წიგნი სექციებად დაყო:

αα = პირველი მეფეთა

ββ = მეორე მეფეთა 1:1–11:1

βγ = მეორე მეფეთა 11:2 – მესამე მეფეთა 2:11

γγ = მესამე მეფეთა 2:12–21:43

γδ = მესამე მეფეთა 22 – მეოთხე მეფეთა

თეკერეის აზრით, βγ და γδ სექციები, როგორც იდეურად მიუღებელი ტექსტი, პირველმა მთარგმნელებმა გამოტოვეს, არ თარგმნეს. მოგვიანებით, ეს გამოტოვებები შენიშნეს და თარგმნეს კიდევ. მაშასადამე, თეკერეის აზრით, ძველი ბერძნული ფორმით βγ და γδ სექციებს არასოდეს უარსებია (Thackeray 1907: 263). ნახალ ხევერის გრაგნილის აღმოჩენისა და *καίγε* რეცენზიის დადგენის შემდეგ, ამ სექციებში მოქცეული ტექსტი *καίγε* რეცენზიად შეფასდა.

καίγε რეცენზია მეფეთა წიგნების დანარჩენ სექციებში არ გამოიყოფოდა. თუმცა რაც უფრო მეტი ხდება ცნობილი ამ რეცენზიის შესახებ და რაც უფრო მეტი მახასიათებელი აღინერება, მეფეთა წიგნების არაკაიგე სექციებშიც ჩნდება *καίγε*-ს ტიპის სპორადული სწორებები – მასორეტული ტიპის ტექსტთან ლექსიკურ-გრამატიკულ-რაოდენობრივი დაახლოების შემთხვევები (Aejmelaeus: Accepted/In press).

I.2.2.2.1.2 ალტერნატიული (უმცროს მთარგმნელთა) ვერსიები

სეპტუაგინტას სწორება ებრაულ ტრადიციაში ქრისტესშემდგომ პერიოდშიც არ შეწყვეტილა და შეიქმნა აკვილას, თეოდოტიონისა და სვიმაქოსის ვერსიები. ერთი მხრივ, გაგრძელდა *καίγε* ტრადიცია და მათი მემკვიდრის, აკვილას, ხელში ლიტერალიზმმა სრულყოფილებას მიაღწია (ამავე სკოლის ტრადიციებს იზიარებდა თეოდოტიონი, თუმცა *καίγε* რეცენზენტთა და თეოდოტიონის საქმიანობის გარჩევა ვერ ხერხდება), სვიმაქოსმა კი ლიტერალიზმი სტილს დაუქვემდებარა. მოკლედ დავახასიათებთ, აკვილას, თეოდოტიონისა და სვიმაქოსის ვერსიებს.

აკვილა

აკვილა იყო ქრისტესით მე-2 საუკუნეში მოღვაწე პონტოელი პროზოელიტი, რომელმაც დაახლოებით 125-130 წლებში ხელახლა თარგმნა ბიბლია და მათ შორის პირველი მეფეთა ებრაულიდან ბერძნულად. აკვილას ვერსია ხასიათდება უკიდურესი სიტყვასიტყვითობით, ეკვივალენტთა რეგულარული, ლექსიკონური, შესატყვისობით, სიტ-

ყვათა ეტიმოლოგიური თარგმანით. აკვილა ზედმინწევნით ასახავდა ებრაულის გრამატიკულ თავისებურებებსაც. ყოველივე ამის შედეგად, აკვილასეული თარგმანის გაგება ებრაულის ცოდნის გარეშე შეუძლებელი იყო (Cox 1996: 5; Jellicoe 1993: 76-83; Labendz 2009: 353-388).

თეოლოტიონი

გაცილებით ნაკლებია ცნობილი თეოლოტიონის შესახებ. იგი მეორე საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწედ მიიჩნევა. მის თარგმანს ახასიათებს ზმნური ფორმების ეკვივალენტთა სიმყარე და ძნელად სათარგმნი ლექსემების ტრანსლიტერაციით გადმოტანა. ტექსტის ის მახასიათებლები, რომლებიც სეპტუაგინტას ხელნაწერი ტრადიციის მარგინალური ვარიანტების მიხედვით თეოლოტიონის ტექსტს ახასიათებდა, *καίτε* რეცენზიის თავისებურებებსაც წარმოადგენს. შესაბამისად, იმას რასაც ნახალ ხევერის აღმოჩენბამდე თეოლოტიონის ვერსიად მიიჩნევდნენ, ნახალ ხევერის შემდეგ უკვე *καίτε* -თეოლოტიონად მოიხსენიებენ³⁰ (Cox 1996: 4; Jellicoe 1993: 83-94).

სვიმაქოსი

სვიმაქოსი მოღვაწეობდა, სავარაუდოდ, მეორე-მესამე საუკუნეების მიჯნაზე პალესტინის კესარიაში, სადაც შეასრულა კიდევ თავისი თარგმანი, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიებენ როგორ „ელევანტურს“ (Thackeray 1923: 14), „ელიტურს“ (Cox 1996: 5), „ცხადი და გასაგები ბერძნულით შესრულებულს, რომელიც განსაკუთრებული სიზუსტით ასახავდა ებრაული დედნის შინაარსობრივ მხარეს“ (Salvesen 1991: 263). სვიმაქოსი ზედმინწევნით იცნობდა რაბინისტულ ეგზეგეტიკას და თარგმნისას განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა სეპტუაგინტას, ამასთანავე იყენებდა აკვილასა და თეოლოტიონის ვერსიებსაც, ოღონდ, აკვილასაგან განსხვავებით, ეკვივალენტების სიმყარეს მხოლოდ მსგავს კონტექსტებში იცავდა (Cox 1996: 5; Jellicoe 1993: 94-99; Salvesen 1991: 263, 294-297; Salvesen 1998: 177-198).

³⁰ მის ვერსიას თეკერეი ასე ახასიათებს: „წარმატებული პლაგიატორი ... რომელიც ხშირად მიმართავდა ტრანსლიტერაციას, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უგულვებლყოფდა მთარგმნელის უმთავრეს ფუნქციას“ (a successful plagiarist . . . best known for his habit of transliteration, in other words for the evasion of the translator's function) (Thackeray 1923: 14)

სამივე თარგმანმა ჩვენამდე ფრაგმენტულად, ციტატებით, ბიბლიის ხელნაწერთა მარგინალიებით, ფრაგმენტული და პალიმფსესტური ხელნაწერებით მოაღწია.

I.2.2.2.2 სეპტუაგინტას ტექსტის ცვლილება ქრისტიანულ ტრადიციაში

ტექსტუალურ ფორმათა მრავალფეროვნება სეპტუაგინტას ქრისტიანულ ტრადიციასაც ახასიათებს. ამ მრავალფეროვნებაზე ჯერ კიდევ იერონიმე საუბრობდა და სამ ტექსტუალურ ფორმას სამ სხვადასხვა დიდ ქრისტიანულ ცენტრსა და პიროვნებას, ჰესუსხიოსს, ორიგენესსა და ლუკიანეს, უკავშირებდა. მისი თქმით, ჰესუსხიოსის ტექსტი ალექსანდრია-ეგვიპტეში იყო გავრცელებული, კონსტანტინოპოლიდან ანტიოქიამდე – ლუკიანეს ტექსტი, ხოლო პალესტინაში – ორიგენესი.

ამჟამად ჰესუსხიოსის ტექსტის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება (Brock 1996: 32-34), ორიგენესსა და ლუკიანეს სახელებთან ასოცირებული ტექსტები და მათი ხელნაწერები კი კარგადაა ცნობილი და შესწავლილი.

მეექვსე საუკუნეში, ბიბლიის კატენური კრებულების შექმნასთან ერთად, კიდევ ერთი ტექსტუალური ფორმა ჩამოყალიბდა, რომელსაც კატენურადვე მოიხსენიებენ.

რადგანაც პირველი მეფეთას ისტორიაში ორიგენეს (*O* ტექსტუალური ფორმა), ლუკიანესა (*L* ტექსტუალური ფორმა) და კატენური (*C* ტექსტუალური ფორმა) ტექსტები გამოიყოფა, ქვემოთ სამივე მათგანს დავახასიათებთ მოკლედ.

I.2.2.2.2.1 პირველი მეფეთას *O* ტექსტუალური ფორმა

სეპტუაგინტას *O* ტექსტუალური ფორმა მესამე საუკუნეში მოღვაწე ფილოლოგისა და თეოლოგის, ორიგენესს, სახელთანაა დაკავშირებული. ამავე ტექსტუალურ ფორმას ტრადიციულად ორიგენესს რეცენზიას ან ჰექსაპლურს უწოდებენ, რადგან მისი შექმნა ორიგენესს ისეთ ფუნდამენტურ შრომასთანაა დაკავშირებული, როგორცაა ჰექსაპლა.

დღევანდელი კრიტერიუმებით თუ შეფასებით, ჰექსაპლა ებრაულ-ბერძნული ბიბლიის პარალელური კორპუსია, რომელშიც ტექსტები სიტყვის დონეზე შეთანადებული.

ორიგენემ მის ხელთ არსებული ბიბლიის ებრაული და ბერძნული ტექსტების იმ დროისათვის ინოვაციური გამოცემა მოამზადა (Kharanauli 2020: 46), რომელშიც ებრაულთან ერთად, უმცროს მთარგმნელთა და სეპტუაგინტას ვერსიები გამოსცა პარალელურ კოლონებად:

პირველ კოლონაში მოათავსა ებრაული ტექსტი, თითოეულ სტრიქონზე იმდენად მცირე ერთეული, რამდენად დაყოფის შესაძლებლობასაც ებრაული იძლეოდა, მეორე სვეტში ებრაულის ტრანსკრიფცია ბერძნული ასოებით, მესამე სვეტი დაუთმო აკვილას, მეოთხე – სვიმაქოსს, მეხუთე – სეპტუაგინტას და მეექვსე – თეოდოტიონს³¹.

ჩატარებული სამუშაოს მასშტაბი რომ წარმოვიდგინოთ, ორიგენეს ჰექსაპლა (ზოგ შემთხვევაში ოქტაპლა) 6 500-მდე გვერდს ავსებდა. მაინც რა იყო ამხელა სამუშაოს შესრულების მიზეზი და მიზანი? ამ კითხვაზე პასუხს, უპირველეს ყოვლისა, თავად ორიგენე იძლევა აფრიკანუსისადმი მიწერილ წერილში. როგორც თავად ამბობს, ეს საქმე იმისთვის შეასრულა, რომ ზუსტად სცოდნოდა, რა წერია ებრაულში და რა – არა, რადგან ებრაელებთან კამათისას ისეთი ციტატა არ მოეყვანა, რომელიც ებრაულში არ იყო და მათი დასაცინი არ გამხდარიყო (Coxe 1885: 539). ორიგენე აფრიკანუსისადმი გაგზავნილ წერილში და მათეს თარგმანებაში დართულ კომენტარში კიდევ უფრო დანვრილებით აღწერს თავის გამოცემას და ამბობს, რომ რაც სეპტუაგინტას მეტი ჰქონდა ბერძნულთან შედარებით, ის ობელოსებით მონიშნა, ხოლო რაც ებრაულის მეტობის გამო დაამატა – ასტერისკებით.

ორიგენეს სიტყვების შესაბამისად, სებასტიან ბროკი პირველი მეფეთას ჰექსაპლური რეცენზიის ჩამოყალიბებისა და ტრანსმისიის პროცესში განცდილი ცვლილებების ისტორიას ასე აღწერს თავის დისერტაციაში: *The Recensions of the Septuagint Version of I Samuel*:

„1. სარეცენზიოდ აღებული ტექსტი ახლოს იყო სეპტუაგინტას ტექსტის იმ ფორმასთან, რომელიც ამჟამად ვატიკანუსში (B), 121-ე (y) და 509-ე (a₂) ხელნაწერებსა და ეთიოპიურ თარგმანშია წარმოდგენილი³².

2. ორიგენეს მიერ რეცენზირებული, ე.ი. ებრაულის მიხედვით ნასწორები, ებრაულთან დაახლოებული, ტექსტი ჰექსაპლას მეხუთე კოლონაშივე იყო წარმოდგენილი.

³¹ ზოგიერთი წიგნისათვის, მაგ., *ფსალმუნისათვის*, მეშვიდე და მერვე სვეტებიც მიამატა.

³² ამ წყაროებს ანელი ემელეუსიც პირველი მეფეთას საუკეთესო, თავდაპირველ თარგმანთან ყველაზე ახლო მდგომი, ტექსტის შემცველად მიიჩნევს. იგი უფრო შორს მიდის და ამბობს, რომ ორიგენეს პირველი მეფეთას ტექსტზე მუშაობისას ხელთ ჰქონდა B ტექსტი (ე.ი. ტექსტი, რომელიც ვატიკანის კოდექსშია წარმოდგენილი) და მას მეორე საუკუნეში პალესტინაში ჩამოყალიბებულ ტექსტის ფორმად მიიჩნევს (Aejmelaeus 2021a: 19-20).

3. ორიგენემ რეცენზირებულ ტექსტს დაამატა ის, რაც ებრაულთან მიმართებით აკლდა სეპტუაგინტას და ასტერისკებით მონიშნა, ხოლო რაც რეცენზირების საბაზისოდ აღებულ ტექსტში მეტი იყო ებრაულთან მიმართებით, არ წაუშლია, თუმცა მისი საეჭვოობის საჩვენებლად, ობელოსები გამოიყენა.“ (Brock 1996: 170).

თეორიულად ასეთი უნდა ყოფილიყო ორიგენეს რეცენზია, მაგრამ ბროკისავე აღწერით, *O* ჯგუფის ხელნაწერებში, ალექსანდრინუსში (A), 247-სა (x) და 376-ში (c), ფიქსირებული რეალობა ასეთი არაა:

„1. ორიგენესეული რეცენზია ძალიან ცუდადა შემონახული სეპტუაგინტას ხელნაწერ ტრადიციაში.

2. „ჰექსაპლურ“ ხელნაწერებს არ აქვთ მონოპოლია ჰექსაპლურ იკითხვისებზე³³. დროდადრო ორიგენეს მიერ რევიზირებულ ტექსტს მხოლოდ ცალკეული „სპორადული“ ჰექსაპლური ხელნაწერები („sporadic“ hexaplaric witnesses) წარმოადგენენ³⁴.

3. *L* ჯგუფის ხელნაწერებს ჰექსაპლური ხელნაწერებისაგან დამოუკიდებლად მრავლად აქვს ჰექსაპლას მე-5 კოლონიდან მომდინარე ხარისხობრივი (კვალიტატური) ცვლილებები.

4. სეპტუაგინტას ცალკეული ხელნაწერები სპორადულად შეიცავენ ჰექსაპლურ ვარიანტებს.

5. თარგმანთაგან, სომხური ვერსია ძლიერ ჰექსაპლურია, დანარჩენები კი სპორადულად აჩვენებენ ჰექსაპლურ ვარიანტებს.

6. ორიგენეს თავისი რეცენზიის მომზადებისას უნდა ესარგებლა სეპტუაგინტას ხელნაწერებში უკვე არსებული მანერაიზებული მატებებითაც, რომლებიც ასევე შეჰქონდა ჰექსაპლას მე-5 კოლონაში, ოღონდ მათაც ასტერისკით აღნიშნავდა³⁵.“ (Brock 1996: 170-171).

³³ “None of the „hexaplaric“ mss have a monopoly of the hexaplaric material (Brock 1996: 170)”.

³⁴ ბროკი პირველი მეფეთას ხელნაწერ ტრადიციას 5 ჯგუფად ყოფს. ამათგან ოთხი, *ODLE*, წარმოადგენს მონათესავე ხელნაწერების ჯგუფებს, რომლებიც, სხვა თავისებურებებთან ერთად, ინტენსიური ჰექსაპლური იკითხვისების ქონით (განსაკუთრებით *ODL*) ხასიათდებიან, მეხუთე ჯგუფს კი 10 ცალკეული ხელნაწერი (*MNaghijnvb₂*) ქმნის. მათ აღსანიშნავად ბროკი იყენებს *MN+* სიმბოლოს. სწორედ ამ ჯგუფში შემავალ ხელნაწერებს მოიხსენიებს სპორადულ ჰექსაპლურ წყაროებად (Brock 1996: 18*, 19–20).

³⁵ ბროკი აქვე აღნიშნავს, რომ ებრაულის მიხედვით პრეჰექსაპლური სწორების შემთხვევები ძალიან სპორადულია და პირველ მეფეთაში (ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერების მიხედვით) არაფერი

შევაფასოთ ყოველივე ზემოთქმული: *პირველი მეფეთას* ფარგლებში *L* ჯგუფის ხელნაწერთა ტექსტი *O*-ზე უფრო ჰექსაპლურია, რადგან მასში რაოდენობრივი ჰექსაპლარიზმების (მატებები და კლებები) გვერდით, მრავლადაა თვისობრივი ჰექსაპლარიზმებიც. ჰექსაპლური ვარიანტები სხვადასხვა ინტენსივობით სეპტუაგინტას მთელ ხელნაწერ ტრადიციაშია წარმოდგენილი. უფრო მეტიც, ვარიანტების ინტენსივობით, ანუ ჰექსაპლურობის ხარისხით, უშუალოდ *O* ჯგუფის ხელნაწერებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

O ჯგუფის ხელნაწერთა ტექსტის ასეთი არამდგრადი ხასიათი განსაკუთრებული სიცხადით პირველ მეფეთაში იჩენს თავს და არაერთი მცდელობაც არსებობს მისი ინტერპრეტირებისა.

ბროკის აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ მე-5 კოლონიდან გადმონერული ხელნაწერი – მე-5 კოლონის ტრანსკრიპტი – (რომლის არსებობაში მას ეჭვი არ ეპარება) არ უდევს საფუძვლად *O* ჯგუფის ხელნაწერებს, ეს უკანასკნელნი ჰექსაპლას მე-5 კოლონის მიხედვით სხვადასხვა ინტენსივობით სწორების შედეგნი არიან.

ანელი ემელეუსი ერთმანეთისაგან მიჯნავს 1. ორიგენესეულ ინტერვენციებს მე-5 კოლონის, ანუ სეპტუაგინტას, ტექსტში, რომლებსაც მან ტექსტის გასასწორებლად, განსაკუთრებლად, ტექსტის შეცდომებისაგან გასანმენდად მიმართა და 2. ჰექსაპლურ მასალას (მე-3, მე-4 და მე-6 კოლონების კითხვასხვაობებს), რომლებმაც სეპტუაგინტას მთელ ხელნაწერ ტრადიციაში უშუალოდ ჰექსაპლიდან ან მასზე დამყარებული სპეციალურად უმცროს მთარგმნელთა იკითხვისებზე ფოკუსირებული გამოცემებიდან, ან დამოუკიდებელი წყაროებიდან შეაღწია სეპტუაგინტას ხელნაწერ ტრადიციასა (თავდაპირველად მარგინალიებზე) თუ პატრისტიკულ ეგზეგეტიკურ ლიტერატურაში (Aejmelaeus 2021a: 30). ამ მიჯნის გასავლებად იგი, უპირველეს ყოვლისა, აღწერს ორიგენეს, როგორც ფილოლოგისა და ტექსტოლოგის, წარმოდგენას სეპტუაგინტას ტექსტის ისტორიაზე და, ამ წარმოდგენის შესაბამისად, ვარაუდობს, რა პრინციპით და როგორ ცვლილებებს შეიტანდა მეხუთე კოლონაში სეპტუაგინტას ტექსტის აღსადგენად (განსაკუთრებლად) და არა ებრაულთან გასათანაბრებლად.

პალესტინური ანუ კაივე რეცენზიის მსგავსი შემორჩენილი არაა (Brock 1996: 172). ანელი ემელეუსიც ეთანხმება ამავე მოსაზრებას და *პირველ მეფეთაში* კაივე ტიპის მხოლოდ ცალკეულ იკითხვისებს გამოყოფს (Aejmelaeus 2006, 2007, 2008, 2011, 2012a, 2012b, 2012c, 2015, 2016, 2017a, 2017b, 2020, Accepted/In press).

ორიგენეს ხელთ ჰქონდა სეპტუაგინტას ხელნაწერები, რომლებიც ერთმანეთისაგანაც განსხვავდებოდა და განსხვავდებოდა ებრაულისგანაც. „ბუნებრივია“ (A. A.), მას წარმოდგენა არ ჰქონდა ებრაული ტექსტის განვითარებაზე³⁶ და ყველა განსხვავება, რომლებიც სეპტუაგინტასა და ებრაულს შორის იყო, მას ან გადაწერის პროცესში წარმოქმნილ შეცდომებად მიაჩნდა ანდა კადნიერ გადამწერთა მიერ ნებსით ცვლილებებად, შესაბამისად, მისთვის ამ შეცდომებისა და ცვლილებების ერთადერთ საიდენტიფიკაციო წყაროსა და ინდიკატორს ებრაული დედანი წარმოადგენდა, მისთვის ორ განსხვავებულ იკითხვისთაგან თავდაპირველი, ორიგინალური, სწორი, ებრაულის მსგავსი იყო (Aejmelaeus 2021a: 15-16). ტექსტის „განკურნების“ ამ პროცესში ორიგენე ხშირად თავდაპირველ ვარიანტებს მეორეულ, წინარეჰექსაპლურ ებრაიზებულ იკითხვისებს ამჯობინებდა, რომლებიც კაიგე რეცენზენტთა სკოლის წყალობით ქრისტემდე პირველი საუკუნიდან მოყოლებული სხვადასხვა ინტენსივობით ჩნდებოდა სეპტუაგინტას ხელნაწერებში³⁷.

ანელი ემელეუსი ორიგენეს მიერ სეპტუაგინტას ტექსტის განსაკურნებლად განხორციელებულ შემდეგი ტიპის ცვლილებებს გამოყოფს: თვისობრივს (ანუ კვალიტატურს), ტრანსპოზიციებს, საკუთარ სახელებსა და რაოდენობრივს (ანუ კვანტიტატურს), რომლებიც მოიაზრებს სეპტუაგინტას მეტობებს (ობელიზებულ იკითხვისებს), დუბლეტებსა და ასტერიზებულ³⁸ მატებებს):

თვისობრივი ცვლილებების საჭიროება მაშინ დგება, როცა *პირველი მეფეთას* სეპტუაგინტას ვერსიის მთარგმნელის მიერ იშვიათი ებრაული სიტყვისთვის შერჩეული ვარიანტი მცდარია და იმ წყაროთაგან ერთ-ერთში მაინც, რომლებზეც ორიგენეს ხელი მიუწვდებოდა, იგი კაიგე რეცენზენტთა ვარიანტითაა ჩანაცვლებული. ანელი ემელეუსი

³⁶ სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ იდეა, რომ არსებობდა მასორეტულისაგან განსხვავებული ებრაული ტექსტის ფორმა, ყუმრანის გრაგნილების აღმოჩენამდე (მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე) ბევრ თანამედროვე ბიბლიოლოგსაც არ მიაჩნდა სარწმუნოდ.

³⁷ მაგ., *პირველ მეფეთაში* კაიგე რეცენზიული ვარიანტები ძალზე იშვიათი და სპორადულია, ე.წ. კაიგე სექციებში ძალიან ინტენსიური.

³⁸ ასტერიზებული მატებები მატებათა იმ ჯგუფს აღნიშნავს, რომლებიც სეპტუაგინტას ტექსტის მასორეტულ ვერსიასთან რაოდენობრივ გათანაბრებას ემსახურება. ამჟამად ხელნაწერ ტრადიციაში ეს იკითხვისები ყოველთვის ასტერისკებით მონიშნული არაა, რასაც ტრანსმისიის პროცესში პირობით ნიშანთაღმი გადამწერების უყურადღებო დამოკიდებულებით ხსნიან. ობელიზებიც ხშირადაა გამოტოვებული.

შესაბამისი მაგალითების მოყვანით ამტკიცებს, რომ ორიგენე უმცროს მთარგმნელთა ვარიანტებს არ იყენებდა მეხუთე კოლონის ტექსტის განსაკუთრებლად, მათი თარგმანები ორიგენესთვის ებრაულის გაშუალების შესაძლებლობა იყო, რათა უშეცდომოდ აერჩია სეპტუაგინტას ხელნაწერებში არსებულ ვარიანტულ იკითხვისთაგან სწორი, ანუ უმცროს მთარგმნელთა ვერსიებთან, ე.ი. ებრაულთან, „ჭარმონიაში მყოფი“ (შესაძლოა, ეს ვარიანტი დამთხვევად უმცროს მთარგმნელთაგან რომელიმეს ვარიანტსაც). თუკი ბერძნული ხელნაწერები ამის საფუძველს არ აძლევდა, იგი მხოლოდ უმცროს მთარგმნელთა მიხედვით, მე-5 კოლონაში თვისობრივ ცვლილებებს არ ახორციელებდა (Aejmelaeus 2021a: 21).

ემელეუსი ასეთსავე დასკვნამდე მიდის იმ იკითხვისთა განხილვისას, რომლებიც სეპტუაგინტას მეტი აქვს ებრაულთან შედარებით. ორიგენე მხოლოდ იმ შემთხვევაში აკლებს მეხუთე კოლონის ტექსტს, თუ მას სეპტუაგინტას რომელიმე ხელნაწერიც უჭერს მხარს, ყველა სხვა შემთხვევაში სეპტუაგინტას მეტობას ობელოსებით აღნიშნავს (Aejmelaeus 2021a: 24-25).

იგივე პრინციპით ეპყრობა ორიგენე პრეჰექსაპლური (ე.ი. კაიგე) რეცენზიული საქმიანობის შედეგად სეპტუაგინტას მთელ ხელნაწერ ტრადიციაში წარმოქმნილ დუბლეტებსაც³⁹: დუბლეტური წყვილის იმ ნაწილს, რომელიც არ ასახავს ებრაულის რიგს, ობელოსებით აღნიშნავს. რადგანაც კრიტერიუმი ტექნიკურია, შეიძლება, ობელოსებით თავდაპირველი თარგმანის მონიშნოს (Aejmelaeus 2021a: 27-29).

ანელი ემელეუსი ტექსტის განკურნების პროცესის ნაწილად მიიჩნევს მეხუთე კოლონაში ასტერიზებული მატებების შეტანას: ორიგენე სეპტუაგინტას ტექსტს უმცროს მთარგმნელთა ვერსიების გათვალისწინებით ავსებს (უფრო ხშირად თეოდოტიონის (Aejmelaeus 2021a: 17 და შენ. 8), რომ ებრაულს გაუთანაბროს. რადგანაც ეს მატებები სეპტუაგინტას მის ხელთ არსებულ არც ერთ ხელნაწერში არ არის, მათ ასტერისკით მონიშნავს (Aejmelaeus 2021a: 29-31).

ჩვენი აზრით, ასტერიზებული მატებების მე-5 კოლონაში შეტანა, მით უმეტეს, თუ ისინი ორიგენეს განკარგულებაში მყოფ არც ერთ ბერძნულ ხელნაწერში არაა (სწორედ ამიტომ აღინიშნებიან ასტერისკებით), აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ორიგენეს იმ სა-

³⁹ ანელი ემელეუსი დუბლეტს ასე განმარტავს: ორიგინალის ერთი და იმავე სეგმენტის (სიტყვა, ფრაზა, წინადადება, მთელი მონაკვეთი) ორი სხვადასხვა თარგმანის კომბინირებით მიღებული მიმდევრობა.

გამომცემლო პრინციპს, რომელსაც ანელი ემელეუსი ორიგენეს მიაწერს: სეპტუაგინტას ტექსტის აღადგენა ხელნაწერებში მოღწეულ ვარიანტთაგან იმის არჩევით, რომელიც ებრაულთანაა ახლოს. ორიგენე, როგორც ანელი ემელეუსი აჩვენებს, ყოველთვის მისდევს ამ პრინციპს და რატომ უნდა გადაეხვია მხოლოდ ასტერიზებული მატებების შემთხვევაში? ამ კითხვის ლეგიტიმურობას სხვა ფაქტებიც უჭერს მხარს: 1. მერკატის პალიმფსესტი და კაიროს გენიზას ფრაგმენტები მეხუთე კოლონაში პირობითი ნიშნების, მათ შორის ასტერისკების გამოყენების შემთხვევას არ ადასტურებენ (Brock 1996: 40). 2. ხელნაწერები ყველაზე დიდ სიჭრელეს სწორედ ასტერიზებული მატებების განაწილებაში აჩვენებენ (Aejmelaeus 2021a: 30), რასაც ანელი ემელეუსი ისევ იმით ხსნის, რომ ამგვარ მატებათა ნაწილი ბერძნულ ხელნაწერებსა და სხვადასხვა ტექსტუალურ ფორმებში ისევე დაისევ ჰექსაპლასთან დამოუკიდებელი წვდომის შედეგია (Aejmelaeus 2021a: 31). ხელნაწერები ერთმანეთისაგან არა მხოლოდ ასტერიზებულ მატებათა რაოდენობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ მათ ლოკაციაც სხვადასხვა აქვს, ზოგჯერ მარგინალიაზეა მოთავსებული, ზოგჯერ ტექსტშია ინტეგრირებული, თუმცა ზოგჯერ აცდენილია თავის ადგილს (Aejmelaeus 2021a: 30-31). ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ორიგენე სეპტუაგინტას ხელნაწერთა მხარდაჭერის გარეშე მეხუთე კოლონაში ასტერიზებულ მატებებს არ შეიტანდა და თუ ხელნაწერთა მხარდაჭერა ექნებოდა, მათი ასტერისკებით მონიშვნაც არ დასჭირდებოდა.

ანელი ემელეუსი ცალკე განიხილავს ე.წ. უმცროს მთარგმნელთა ვარიანტებს, რომლებიც ხელნაწერთა ერთ ნაწილში მარგინალიაზეა მოთავსებული, ნაწილში კი ტექსტშია ინტეგრირებული და ხან ტექსტუალურ ვარიანტს ენაცვლებიან, ხან კი ემატებიან და შედეგად დუბლეთურ, ხანაც ტრიპლეთურ რიგს იძლევიან. ემელეუსი მათ ცალსახად არ მიიჩნევს ორიგენეს მიერ განკურნებული ტექსტის, ანუ მეხუთე კოლონის ტექსტის, ნაწილად და, შესაბამისად, მათ ჰექსაპლურ მასალას უწოდებს და არა ჰექსაპლური რეცენზიის იკითხვისებს. მისი თქმით, უმცროს მთარგმნელთა ვარიანტებისადმი ინტერესს ეგზეგეტიკური ინტერესი განაპირობებდა და რადგანაც უმცროს მთარგმნელთა სახელს ატარებდნენ, მათ მიმართ ნდობაც დიდი იყო. ასეთი მასალა, როგორც პარატექსტული, თავდაპირველად მარგინალიაზე თავსდებოდა და ტრანსმისიის პროცესში ჯერ უმცროს მთარგმნელთა სახელებს კარგავდა, შემდეგ კი ტექსტში ინტეგრირდებოდა (Aejmelaeus 2021a: 32-35).

ანელი ემელეუსის დასკვნით, ოდნავ სხვანაირია ორიგენეს მიდგომა სიტყვათა რიგის ცვლისა და საკუთარ სახელთა გადმოტანის შემთხვევაში:

ანელი ემელეუსს **სიტყვათა რიგის** ცვლილებებიც, რომლებიც ჰექსაპლურ ხელნაწერებში მრავლადაა, არწმუნებს, რომ ორიგენე მის ხელთ არსებული ბერძნული ხელნაწერების ვარიანტებიდან იმას ირჩევს, რომელიც ებრაულთან ახლოსაა. მეორე მხრივ, მრავლადაა ისეთი შემთხვევა, როდესაც ჰექსაპლური წყაროების ტრანსპოზიციის ვარიანტებს სხვა ხელნაწერები არ იზიარებენ. ამგვარ შემთხვევებს უკან ანელი ემელეუსი პრაქტიკულ მიზეზს ხედავს, სიტყვათა რიგის ცვლა აადვილებდა ბერძნულის ებრაულთან გათანაბრებას ჰექსაპლაში (Aejmelaeus 2021a: 22-23).

საპირისპირო სურათია **საკუთარი სახელებთან**: როცა ორიგენე ერთადერთია, ვინც ებრაიზებულ საკუთარ სახელებს იყენებს, ემელეუსის დასკვნით, ასეთ დროს იგი სეპტუაგინტას ტექსტს დამოუკიდებლად ასწორებს (Aejmelaeus 2021a: 23-24).

1.2.2.2.2 პირველი მეფეთას *L* ტექსტუალური ფორმა

L ტექსტუალური ფორმა (ტრადიციულად, ე.წ. ლუკიანური რეცენზია) ხელნაწერთა ძალიან მცირერიცხოვან ჯგუფშია შემორჩენილი – b0c2e2 (19 108 82 127 93). მეფეთა წიგნებში ამ ხელნაწერებისა და ე.წ. ლუკიანური რეცენზიის მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდია, რადგან ტექსტის βγ (მე-2 მეფეთა 11,2 – მე-3 მეფეთა 2,11) და γδ (მე-3 მეფეთა 22 – მე-4 მეფეთა) სექციებში მხოლოდ ისინი შეიცავენ ორიგინალურ ბერძნულ თარგმანს, ყველა დანარჩენ წყაროში კი – ანუ სეპტუაგინტას დანარჩენ ხელნაწერ ტრადიციაში – როგორც უკვე ითქვა, *καίγε* ვერსიაა წარმოდგენილი. სავარაუდოდ, ლუკიანურ ხელნაწერებში შემორჩენილი ვერსია ადრევე გამოიყო სეპტუაგინტას ტექსტის ისტორიის მთავარ ხაზს და დამოუკიდებლად განვითარდა, რითაც გადაურჩა *καίγε*-ს გავლენას. ანუ მეფეთა წიგნების გარკვეულ მონაკვეთში ეს ხუთიოდე ხელნაწერი ძველი ბერძნული თარგმანის ერთადერთი წყაროა (Aejmelaeus 2021b: 39).

მეფეთა წიგნების ქართული ვერსიების ნათესაობა *L* ტექსტთან და *L* ჯგუფის ხელნაწერთან ჯერ კიდევ უჩა ცინდელიანმა აჩვენა: „ფენა, რომელიც *მეფეთა წიგნებში* მკვეთრად გამოიყოფა და წარმოადგენს დომინანტ ფენას, აქაც ლუკიანეს რეცენზიიდან მომდინარეობს, ამ რეცენზიის გავლენა თავს იჩენს თითქმის ყველა იმ შემთხვევაში, რომლებშიც ქართული ტექსტი სხვაობს LXX ძირითადი (ვატიკანური ნუსხის) ტექსტისა-

გან (ცინდელიანი 1967ა: 53)“. მაშასადამე ქართული თარგმანი, ამ ხუთიოდე ხელნაწერთან ერთად, სეპტუაგინტას თავდაპირველი ტექსტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა და მისი გათვალისწინება აუცილებელია არა მხოლოდ სეპტუაგინტას ტექსტის აღსადგენად, არამედ თავად *L* ტექსტის ისტორიის რეკონსტრუირებისათვისაც.

პირველი მეფეთას ტექსტში, მართალია, *καίτε* სექცია არ არის, მაგრამ *L* ტექსტულური ფორმა მაინც თავდაპირველი ბერძნული თარგმანის იკითხვისთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევა.

პირველი მეფეთას ე.წ. ლუკიანური რეცენზია, ე.წ. ჰექსაპლურის მსგავსად, სებასტიან ბროკმა შეისწავლა. იგი ლუკიანურ ტექსტში შემდეგ შრეებს გამოჰყოფს:

1. თავდაპირველი იკითხვისები და აღრეული შეცდომები.
2. მანერაიზებელი იკითხვისები, რომლებსაც ბროკი სამ კატეგორიად ჰყოფს:
 - ა. ჰექსაპლური იკითხვისები, რომლებიც ჰექსაპლის მე-5 კოლონიდან მომდინარეობენ.
 - ბ. ჰექსაპლური იკითხვისები, რომლებიც არა მე-5, არამედ სხვა, ძირითადად მე-4 (σ'), სვიმაქოსის, კოლონიდან მომდინარეობენ.
 - გ. წინარე-ჰექსაპლური მანერაიზებელი იკითხვისები, რომლებიც დაახლოებით ქრისტემდე მესამე საუკუნიდან ქრისტეს შემდეგ პირველ საუკუნემდე პერიოდით თარიღდება⁴⁰.

3. სტილისტური – როგორც გრამატიკული, ასევე ლექსიკური ცვლილებანი.

4. ცვლილებები, რომლებიც მიანიშნებენ, რომ ტექსტი ხმამაღალი კითხვისთვის იყო განკუთვნილი (Brock 1996: 297-298).

ამ ცვლილებებს ბროკი ორ ქრონოლოგიურ ეტაპად ჰყოფს: 1. ისტორიულ ლუკიანემდე განხორციელებული ცვლილებები, ამას მიეკუთვნება წინარეჰექსაპლური მანერაიზებელი იკითხვისები და 2. ისტორიული ლუკიანეს დროს განხორციელებული ცვლილებანი: ა. ჰექსაპლური ებრაიზმები და ბ. სტილისტური სწორებანი (Brock 1996: 299).

მაშასადამე, ლუკიანურ რეცენზიაში გამოიყოფა სამი სუბსტრატი:

⁴⁰ სებასტიან ბროკი იქვე აღნიშნავს, რომ *L* ტექსტულურ ფორმაში გამოვლენილი კონკრეტული მანერაიზებელი იკითხვისების დიფერენცირება ამ სამი ჯგუფის შესაბამისად ხშირად ვერ ხერხდება არასაკმარისი წყაროების გამო (Brock 1996: 297).

1) თავდაპირველი თარგმანი

2) წინარელუკიანური მანერაიზებული ცვლილებანი

3) ლუკიანური ცვლილებანი: ა. ჰექსაპლური ებრაიზმები და ბ. სტილის სწორება ბერძნულის გაუმჯობესების მიზნით.

თავდაპირველი თარგმანის ვარიანტები შეიძლება მხოლოდ ლუკიანურ ხელნაწერებში იყოს წარმოდგენილი და შეიძლება ლუკიანურ წყაროებს სხვა მინუსკულებიც უჭერდეს მხარს; მეორე ტიპში ისეთი ებრაიზმები შედის, რომლებიც ჰექსაპლურ წყაროებს არ აქვთ და *L* ტექსტის წინარეჰექსაპლურ წყაროებში (განსაკუთრებით ციტატებში) დასტურდება; მესამე ტიპს კი ისეთი მანერაიზებული ცვლილებები ექმნის, რომლებსაც ჰექსაპლური წყაროებიც იზიარებენ.

***L* ტექსტის სუბსტრატი — თავდაპირველი თარგმანი თუ 4Qsam^{a/b}-ის რეცენზია. წინარელუკიანური მანერაიზებული ცვლილებანი**

სებასტიან ბროკის მოსაზრებას, რომ *L* ტექსტის სუბსტრატი პირველი მეფეთას თავდაპირველი თარგმანია, ყუმრანის მეოთხე გამოქვაბულის ტექსტების გაშიფვრისა და გამოცემის ფონზე სრულიად სხვადასხვა მოსაზრებები შეენაცვლა და პროტოლუკიანური პრობლემის სახე მიიღო. საკითხი ასე დგას: რა ტექსტი იყო ის, რომელიც ლუკიანეს ხელთ არსებული ხელნაწერ(ებ)ი შეიცავდა და მესამე ქრონოლოგიური ეტაპის ცვლილებანი განიცადა. ამ შემთხვევაშიც მეცნიერთა აზრი იყოფა: სებასტიან ბროკი, დომინიკ ბართელემეი, ანელი ემელეუსი, ტუკა კაუჰანენი და სხვანი მიიჩნევენ, რომ ეს ტექსტი თავდაპირველ ბერძნულ თარგმანს წარმოადგენდა, რომელშიც სპორადულად და არა სისტემატურად ჩნდებოდა მანერაიზებული – ძველი თარგმანის ებრაულთან დასაახლოებლად განხორციელებული – იკითხვისები. კროსი და ულრიხი კი მიიჩნევენ, რომ არსებობდა პროტოლუკიანური რეცენზია, რომელიც თავდაპირველი თარგმანის იმ ტიპის ტექსტთან დაახლოებით შეიქმნა, რომელიც ყუმრანის გრაგნილ 4Qsam^a-შია წარმოდგენილი (Aejmelaeus 1993: 134; Tov 1999: 478).

ტუკა კაუჰანენმა თავის დისერტაციაში, *The Proto-Lucianic Problem in 1 Samuel*, გამოწვლილვით შეისწავლა პროტოლუკიანური ტექსტისა და 4Qsam^a-ის მიმართების საკითხი და, ანელი ემელეუსის სიტყვებით რომ ვთქვათ, გადაჭრა კიდევ პროტოლუკიანური პრობლემა. უპირველეს ყოვლისა, აჩვენა, რომ 4Qsam^{a/b}-ის გამომცემლები *L* ტექსტის შეფასებისას მეთოდოლოგიურად გაუმართლებელ საფუძველს ემყარებინ.

4Qsam-ის ხელნაწერები ძალიან ფრაგმენტულია და გამომცემლები (კროსი, პერი, სალი და ულრიხი) მის ცარიელ ნაწილებს L ტექსტის მიხედვით, მისი უკუთარგმანით, აღადგენენ. ამგვარი მიდგომის საფუძველი ისაა, რომ სადაც 4Qsam-ის ფრაგმენტები შემონახულია, ისინი L -ის მსგავს ტექსტს აჩვენებენ, თუმცა 4Qsam-ის გამომცემლები არ ითვალისწინებენ ამ დამთხვევათა ხასიათს. სწორედ ამ თვალსაზრისით გააანალიზა ტუკა კაუჰანენმა L -სა და 4Qsam-ს შორის არსებული მსგავსებანი.

ტუკა კაუჰანენმა საანალიზო მასალიდან უპირველეს ყოვლისა, ჰიპოთეზური შემთხვევები გამორიცხა, რომლებიც 4Qsam-ის გამომცემლებს L -ის მიხედვით აქვთ აღდგენილი. შესაბამისად ამ აღდგენილ ტექსტისა და L -ის მსგავსება არც გასაკვირია და არც საფუძველს ქმნის შემდგომი მსჯელობის დასამყარებლად. საზიარო იკითხვისთა ამ თვალსაზრისით გაცხრილვის შემდეგ 4Qsam^a-ისა და L ტექსტის საზიარო სულ სამიოდე იკითხვისი დარჩა და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც L თავდაპირველ თარგმანს წარმოადგენს. კაუჰანენი ამავე პრინციპით აანალიზებს ლუკიანემდელ წყაროებში დაცულ პირველი მეფეთას ტექსტებისა (ვეტუს ლატინას თარგმანი, იოსეფოს ფლავიოსის, იპოლიტე რომაელის, ირენეუსის, ტერტულიანეს, კვიპრიანეს, ორიგენეს ტექსტებში არსებული პირველი მეფეთას ციტატები) და L ტექსტის საზიარო იკითხვისებს და ასკვნის, რომ L -ს ე.წ. პროტოლუკიანური შრე არარეცენზიულ, თავდაპირველი თარგმანის ამსახველ, იკითხვისებს შეიცავს (Kauhanen 2012: 165–191).

ანელი ემელეუსის აზრით, *პირველი მეფეთა* ბერძნულად ნათარგმნია იმ ებრაული დედნიდან, რომელიც 4Qsam^a-შია წარმოდგენილი და რომელიც განსხვავდებოდა მასორეტულისაგან. მოგვიანებით, ბერძნული თარგმანის ებრაულთან დაახლოების საჭიროებას სწორედ იმან განაპირობა, რომ ბერძნული თარგმანის ებრაული წყარო და უკვე შემდგომში მასორეტულ წრეებში ჩამოყალიბებული და მიღებული ებრაული ტექსტი სხვაობდა. შესაბამისად, უნდა აღმოთხვრილიყო ებრაულ მასორეტულ ტექსტსა და ბერძნულ თარგმანს შორის არსებული განსხვავება. თუმცა სწორებისა და დაახლოების პროცესი თავდაპირველად არ იყო სისტემური, რის გამოც პროტოჰექსაპლური მანერა-იზებელი სწორებები, რომლებიც არა მხოლოდ L ტექსტის სუბსტრატში, არამედ სეპტუაგინტას მთელ ხელნაწერ ტრადიციაში (მათ შორის B ტექსტშიც) ჩნდება, სპორადულობის გამო რეცენზიულად ვერ ჩაითვლება (Aejmelaeus 1993, 135).

***L* ტექსტი — რეცენზია ურთიერთსაპირისპირო პრინციპებით?**

ე.ნ. ლუკიანური რეცენზიის ეკლექტიურობის მიზეზი, ერთი მხრივ, ბერძნულის სწორება გრამატიკული და სტილისტური თვალსაზრისით და, მეორე მხრივ, ებრაულთან დაახლოება, ტექსტის ურთიერთსაპირისპირო პრინციპით სწორებაა. სწორების მკვეთრად გამოხატული პრინციპი კი აუცილებელია საიმისოდ, რომ ტექსტის ფორმას რეცენზია ეწოდოს. აღნიშნული შეუსაბამობა ახსნას საჭიროებს და *L* ტექსტისა თუ პირველი მეფეთას მკვლევარნი პრობლემის სხვადასხვა კუთხიდან წარმოდგენასა და ტექსტის ისტორიის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციას ცდილობენ.

ბროკის აზრით, ლუკიანური ტექსტი ჰექსაპლური იკითხვისების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა და ჰექსაპლას მიხედვით განხორციელებულ რაოდენობრივ ცვლილებებთან ერთად, თვისობრივ ცვლილებებსაც შეიცავს. გარდა ამისა, მისი თქმით, რაოდენობრივი ცვლილებების უმრავლესობა, ჰექსაპლას მე-5 კოლონიდან მომდინარეობს. ლუკიანურ წყაროებში ამ მატებებს ჰექსაპლური წყაროებისაგან განსხვავებული ლოკაცია აქვთ, რაც, ასევე მისი თქმით, იმაზე მიანიშნებს, რომ ჰექსაპლური მატებანი ლუკიანურ წყაროებში აშეიბზე იყო განთავსებული (Brok 1996: 297)⁴¹, რაც ექსპლიციტურად ალბათ იმას ნიშნავს, რომ ეს კვანტიტატიური ცვლილებები მოგვიანებით, ეტაპობრივად, ტრანსმისიის პროცესში შედიოდა ტექსტში.

ანელი ემელეუსის დახასიათებით *L* ტექსტი ჭეშმარიტად ეკლექტიური ტექსტია (Aejmelaeus 2021b: გვ. 52). იგი *L* ტექსტის ისტორიის ბოლო ეტაპზე განხორციელებულ ცვლილებებს, ტრადიციულად, ორ ნაწილად ყოფს, ა. სტილისტურ-გრამატიკული და ბ. ებრაიზმები. უპირველეს ყოვლისა, განიხილავს გრამატიკულ ცვლილებებს (კოინეს ბერძნულისათვის დამახასიათებელი ფორმების ატიკური ფორმებით ჩანაცვლების მაგალითებს) და ნათლად აჩვენებს, თუ რამდენად მდგრადი და თანმიმდევრულია *L* ტექსტი ამ თვალსაზრისით, რაც საფუძველს აძლევს დაასკვნას, რომ ცვლილებები არაა შემ-

⁴¹ From Chapter II it emerged that *L* was one of the most important Hexaplaric witnesses, alongside *O* and *D*. In the case of quantitative approximations (probably almost all from the fifth column) the rather larger number which have been misplaced suggests that at one stage these simply stood in the margin (მეორე თავიდან მოყოლებული *L*-ი *O*-სა და *D*-სთან ერთად ჰექსაპლურ იკითხვისთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. სავარაუდოა, რომ კვანტიტატიური მასალის უმრავლესობა მე-5 კოლონიდან მომდინარეობს და მათი სხვადასხვაგვარი ლოკაცია ლუკიანურ წყაროებში იმის ნიშანია, რომ ეს მატებანი აშეიბზე იყო განთავსებული).

თხვევითი ხასიათის, განსწავლული გადამწერის მიერ მექანიკურად გასწორებული, და სწორებების ეს ხაზი ნათლად აჩვენებს წინასწარ მიზანდასახულებას (Aejmelaeus 2021b: 42-43). ამ ტიპის ცვლილებათა მეორე ჯგუფი ისეთ ცვლილებებს აერთიანებს, რომლებიც განხორციელებულია იმისათვის, რომ ტექსტის ბუნდოვანი ადგილები მსმენლისა თუ მკითხველისათვის იოლად გასაგები გახადოს, ლოგიკურად გამართოს ისეთი მონაკვეთები, რომლებსაც მთარგმნელმა ებრაულის სირთულის გამო ადეკვატურად ვერ გაართვა თავი (Aejmelaeus 2021b: 43-46).

ანელი ემელეუსის აზრით, სწორედ გასაგები ტექსტის შექმნაა ის წამყვანი პრინციპი, რომელიც რეცენზენტის ჰექსაპლური იკითხვისებით დაინტერესებას იწვევს. უკეთესი სტილის ძიება რეცენზენტს არჩევინებს სვიმაქოსის ვარიანტებს, ან უთარგმნელად დატოვებული, ტრანსკრიბირებული ლექსემების ასახსნელად ურთავს უმცროს მთარგმნელთა ალტერნატიულ თარგმანებს (Aejmelaeus 2021b: 46-50).

L ტექსტში ლექსიკური დუბლეტების არსებობასა და ასტერიზებული მატებების ტექსტში ინტეგრაციას, რაც კითხვადობის გაუმჯობესებას არ ემსახურება, ანა ხარანაულის მიერ (Kharanauli 2020: 15-52) შემოთავაზებული თეორიით ხსნის, რომ ამ ტიპის იკითხვისები თავდაპირველად აშიებზე იყო განთავსებული და მათ ტრანსმისიის პროცესში მარგინალიებიდან ტექსტში გადაინაცვლეს (Aejmelaeus 2021b: 49-50).

ანელი ემელეუსი გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ *L* ტექსტის ავტორს მისი ებრაულთან დაახლოება უნდოდა (ხშირად უმცროს მთარგმნელთა ვარიანტებიდან ისეთებს ირჩევს, რომლებიც ებრაულთან ახლოს არაა, ანდა მასორეტიულიდან მომდინარე მატებებს (მაგ., დავითისა და გოლიათის ამბავს) ცვლის და სტილისტურად აუმჯობესებს უკეთ გასაგები ტექსტის მისაღებად (Aejmelaeus 2021b: 48-50).

მაშასადამე, ანელი ემელეუსის დასკვნით, *L* ტექსტუალური ტიპის ეკლექტიურობა განპირობებულია იმით, რომ რეცენზენტი ტექსტის გაუმჯობესებას ურთიერთსაპირისპირო საშუალებებით ცდილობს, თუმცა მიზანი და სწორების პრინციპი ერთია – მაქსიმალურად გასაგები გახადოს ტექსტი, როგორც სტილისტურად, ასევე შინაარსობრივად.

ჩვენთვის მაინც რჩება კითხვა: თუ უმცროს მთარგმნელთა ვარიანტების აშიაზე განთავსების მიზანი ტექსტისეული ლექსემის განმარტება იყო, რას ემსახურებოდა ე.წ. ასტერიზებული მატებების განთავსება? როგორიც არ უნდა იყოს პასუხი, ანელი ემელეუსიც მიიჩნევს, რომ ისინი *L* ტექსტუალური ტიპისათვის მეორეული მასალაა და რეცენზიის პრინციპს ტექსტის ამ მასალით შევსება არ წარმოადგენდა.

ტექსტის ნაწილი რომ არ იყო, ამას L ჯგუფის ხელნაწერებში ჰექსაპლური მასალისა და მათ შორის ასტერიზებული მატებების არათანაბარი დიფუზია მოწმობს: ზოგიერთ ლუკიანურ ხელნაწერში ეს ჰექსაპლური იკითხვისები უფრო მრავლადაა წარმოდგენილი, ზოგიერთში – უფრო ნაკლებად, გარდა ამისა, განსხვავებულია მათი ლოკაციაც, ზოგჯერ ამა თუ იმ სიტყვის წინაა განთავსებული, ზოგჯერ მომდევნოდ და ზოგჯერ ჯერ კიდევ მარჯინალიაზე. მაშასადამე, L ჯგუფის ხელნაწერებში L ტექსტის ის ფორმაა წარმოდგენილი, რომელიც L ტექსტის რეცენზენტს არ შეუქმნია.

I.2.2.2.3 პირველი მეფეთას C ტექსტუალური ფორმა

პირველი მეფეთას C ტექსტუალური ფორმა, O და L ფორმებთან შედარებით, საკმაოდ მრავალრიცხოვან ხელნაწერ წყაროებშია წარმოდგენილი.

$$\begin{aligned}
 CI &= 98-(243)-379-731 && [j = 243] \\
 &98' = 98-379 \\
 CII &= 46-52-236-242-313-328-530 && [e = 52] \\
 &46' = 46-52 \\
 &242' = 242-328 \\
 C' &= CI + CII
 \end{aligned}$$

მისი მთავარი თავისებურება ისაა, რომ C ჯგუფის ხელნაწერები ბიბლიის კატენური კრებულებია. გარდა ამისა, C ჯგუფის ხელნაწერთა აშიები, სხვადასხვა ტიპის კომენტარებთან ერთად, დატვირთულია ჰექსაპლური მასალით – აკვილას, სვიმაქოსისა და თეოდოტიონის – ალტერნატიული ვარიანტებით. არის შემთხვევები, როდესაც ეს იკითხვისები აშიებიდან უკვე ტექსტშია ინტეგრირებული.

პირველი მეფეთას ფარგლებში, L -ის მსგავსად, C -ც უფრო ჰექსაპლურია, ვიდრე თავად O და მისი შემცველი ხელნაწერები.

I.2.2.2.3 სეპტუაგინტას პირველი მეფეთას წყაროები

საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ დავახასიათოთ სეპტუაგინტას წყაროები, მნიშვნელოვანი ხელნაწერები და ხელნაწერთა ჯგუფები, ციტატები და თარგმანები, რათა სწორად შევძლოთ ქართული მასალის ინტერპრეტირება და სხვადასხვა ქრონოლოგიურ თუ ლოკალურ ტრადიციასთან დაკავშირება.

I.2.2.2.3.1 ხელნაწერები

B-ტექსტის ხელნაწერი წყაროები

B b

b = 121-509 [y a₂]

B რომი, ვატიკანის ბიბლიოთეკა Vat. gr. 1209; IV ს. ე.წ. „codex Vaticanus“.

121 (ვენეცია, სან-მარკოს ბიბლიოთეკა, Gr. 3). პერგამენტი, X ს. შეიცავს რვანგნეულს, მეფეთა და ნეშტთა წიგნებს, 1-2 ეზრას.

509 (ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი, Add. 20002). პერგამენტი IX — X სს. შეიცავს წიგნებს შესაქმიდან ისუ ნავემდე და 1-3 მეფეთას.

კოდექს ვატიკანუსი 121-ე და 509-ე ხელნაწერებთან ერთად (ამათ უერთდება ეთიოპური თარგმანიც) შეიცავს თავდაპირველ თარგმანს.

O ტექსტუალური ფორმის ხელნაწერი წყაროები

A O = 247-376 [x c]

A ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი, Royal 1 D. VI; V ს. ე.წ. „codex Alexandrinus“.

247 (რომი, ვატიკანის ბიბლიოთეკა, Vat. gr. 1), პერგამენტი, მე-12 ს. შეიცავს მეფეთა წიგნებს

376 (ესკორიალი, სამეფო ბიბლიოთეკა, Y-II-5) ქალაღდი, მე-15 ს. შეიცავს რვანგნეულს, 1-2 მეფეთას.

კოდექს ალექსანდრინუსი, 247-ე და 376-ე ხელნაწერებთან ერთად ქმნის O ტექსტუალურ ჯგუფს. რადგანაც კოდექს ალექსანდრინუსი ამ ჯგუფში თარიღითა და იკითხვისე-ბით გამორჩეული ხელნაწერია, ანელი ემეღეუსი მას O აღნიშვნით არ ფარავს და გამოცემაში ცალკე წარმოადგენს.

L ტექსტუალური ფორმის ხელნაწერი წყაროები

L = 19-82-93-108-127 [b' o e₂ b c₂]

$$19' = 19-108$$

$$[b = b' + b]$$

- 19 (რომი, Prince Chigi, R. VI. 38) პერგამენტი, მე-12 ს. შეიცავს რვანიგნეულს, მეფეთა და ნემტა წიგნებს, 1-2 ეზრას, ესთერსა და 1-3 მაკაბელებს.
- 82 (პარიზი, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, Coislain 3), პერგამენტი, მე-12 ს. შეიცავს რვანიგნეულსა და მეფეთა წიგნებს. სავარაუდოდ, გადანერილი უნდა იყოს ნაკლული დედნიდან, რადგან პირველი მეფეთა 31:3–10 არ წარმოადგენს *L* ტექსტულურ ტიპს.
- 93 (ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი, Royal 1 D. II), ე.წ. “codex Arundelianus”. პერგამენტი, მე-13 ს. შეიცავს რუთის, მეფეთა, ნემტა წიგნებს, 1-2 ეზრას, ესთერს, 1-2 მაკაბელებსა და ესაიას.
- 108 (რომი, ვატიკანის ბიბლიოთეკა, Vat. gr. 330), ქალაქი, მე-13 ს. შეიცავს რვანიგნეულს, მეფეთა და ნემტა წიგნებს, 1-2 ეზრას, ივდიოს, ესთერს, ტობს (სხვა ხელით). მრავლად მოეპოვება ალტერნატიული მარგინალური იკითხვისები. Vercellone-ს თქმით, სწორედ ეს ხელნაწერი დაედო საფუძვლად კომპლუტენზას გამოცემას. 108 ხშირად დგას 19-ის გვერდით და უპირისპირდება დანარჩენ სამს.
- 127 (მოსკოვი, სინოდის ბიბლიოთეკა, Gr. 31), პერგამენტი, მე-10 ს. შეიცავს რვანიგნეულს, მეფეთა და ნემტა წიგნებს. თავდაპირველ ხელნაწერს აკლია დაბადება და გამოსვლათას ნაწილი და მეორე ნემტას დასასრული. ნაკლული ადგილები შევსებულია მე-15 საუკუნის ხელით ნაწერი ქალაქით (Kauhanen 2012: 29-30).
- ეს ხელნაწერები ტექსტის მიხედვით ორ ჯგუფს ემნის: $19' = 19-108$ და $L^{-19'} = 82-93-127$. $L^{-19'}$ ხშირად დგას B-სთან და უპირისპირდება $19'$ -ს. შესაბამისად მიიჩნევა, რომ $L^{-19'}$ უკეთესად ინახავს ძველ ბერძნულ ტექსტს (Kauhanen 2012: 30).

I.2.2.2.3.2 ციტატები

ციტატები ზოგადად სეპტუაგინტას და ამ შემთხვევაში პირველი მეფეთას მნიშვნელოვანი წყაროებია. სწორედ ციტატების მეშვეობითაა დადგენილი *L* ტექსტულური ფორმის ანტიოქიურობა, რადგან სწორედ ამ უკანასკნელს ციტირებენ ანტიოქიელი მამები: ევსტათე – Eustathius († ქრისტესით 337 წ.), ასტერიუსი – Asterius († 341), დიოდორე – Diodore († 394), იოანე ოქროპირი († 407), თეოდორე მოფსუესტელი († 428) და თეოდორიტი († 458) (Kauhanen 2012: 30).

ქართული ვერსიის ციტირებულ ტექსტებთან მსგავსება-განსხვავებაზე დაკვირვება მასალის ინტერპრეტირებაში დაგვეხმარება.

ავტორებისა და ტექსტების სრული ნუსხა, სადაც მოხმობილია ციტატები პირველი მეფეთაგან იხ. Kauhanen 2012: 213-220).

I.2.2.2.3.3 თარგმანები

პირველი მეფეთა აღმოსავლური ქრისტიანობის ყველა ტრადიციულ ენაზეა თარგმნილი. მოკლედ მიმოვიხილავთ თითოეულ მათგანს იმ თანმიმდევრობით, როგორც იქნება გეტინგენის გამოცემაში (ტრადიციისამებრ, ლაგდება ანბანურად) იქნება წარმოდგენილი. რადგანაც ქართულს (Ge) ქვემოთ ვახასიათებთ, აქ აღარ შევხებით.

Aeth — ეთიოპიური

ეთიოპიური ვერსია ნათარგმნი უნდა იყოს B 121 და 509 ხელნაწერებში ფიქსირებული ტექსტუალური ფორმისაგან და სპორადულად აჩვენებს ჰექსაპლურ ვარიანტებს. (Brock 1996: 23-24, 221-222).

Arm — სომხური

მეფეთა წიგნების სომხური ვერსია, ისე როგორც ყველა სხვა წიგნი, მიჩნეულია ჰექსაპლასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ტექსტად (Brock 1996: 20). ბროკი იქვე დასძენს, რომ სომხური ვერსია ასახავს ისეთ ჰექსაპლურ იკითხვისებსაც, რომლებიც ან საერთოდ არაა ბერძნულ წყაროებში, ან ფიქსირებულია ხელნაწერებში, რომლებიც *O* ჯგუფში არ შედიან. ამავდროულად, იზიარებს *L*-ის ინდივიდუალურ იკითხვისებსაც (ბროკის ახსნით, ცვლილებები წყაროსაგან დამოუკიდებლად, სომხურის ტრანსმისიის პროცესშიც შეიძლება წარმოქმნილიყო (Brock 1996: 20)).

La — ძველი ლათინური (ვეტუს ლატინა)

პირველი მეფეთას ლათინური თარგმანი, ისევე როგორც ბიბლიის მთელი კორპუსის თარგმანი, II საუკუნეში შესრულდა, თუმცა ხანგრძლივი ტრადიციის მქონე ბერძნულ-ლათინური მჭიდრო მთარგმნელობით-კულტურული კავშირიდან გამომდინარე, ბიბლიის ლათინური თარგმანი და, მათ შორის პირველი მეფეთას წიგნიც, ბერძნულთან დაახლოების მიზნით, განუწყვეტელი რეცენზირების ობიექტი იყო. სწორედ ამითაა განპი-

რობებული, რომ ლათინური ტექსტი ერთდროულად აჩვენებს როგორც თავდაპირველი ბერძნული თარგმანის, ასევე L და O ტიპის კითხვასხვაობებს (Brock 1996: 24-25).

Pal — სირო-პალესტინური

პირველი მეფეთას სირო-პალესტინური ვერსია ძალიან ფრაგმენტულადაა მოლწეული. აჩვენებს O -ს კითხვასხვაობებს, თუმცა ამ უკანასკნელის საპირისპიროდ რამდენიმე შემთხვევაში მისდევს პეშიტას (Brock 1996: 27-28).

Sa (Sa^{A B C...}) — საჰიდური

პირველი მეფეთას კოპტური თარგმანი საჰიდურ, ბოჰარულ და ფაიუმის⁴² დიალექტებზეა შემორჩენილი. ამათგან, ტექსტი სრულად მხოლოდ საჰიდურ დიალექტზეა და, შესაბამისად, ნაკვლევაც და გამოცემებში გათვალისწინებულიც ეს უკანასკნელია.

საჰიდური თარგმანი უნდა შესრულებულიყო ქრისტესით მე-3 საუკუნეში B ტექსტუალურ ფორმასთან ახლოს მდგომი ტექსტიდან. თარგმანის შემდეგ, ლათინურის მსგავსად განიცდიდა ბერძნულის მიხედვით მუდმივ სწორება-რეცენზირებას, რის გამოც მასში მოიპოვება როგორც O ასევე L ტიპის იკითხვისები. გარდა ამისა, ზოგიერთი მანერაიზებული ვარიანტის ინტერპრეტირება შესაძლებელია წინარეჰექსაპლურ ცვლილებად (Brock 1996: 21-23; Perttilä 2017: 12, 226-229).

Syh (Syh^{IM} Syh^{BarH}) — სიროჰექსაპლა

სიროჰექსაპლური ვერსია სწორედ იმიტომ ეწოდება, რომ ჰექსაპლას ტექსტუალურ ტიპს მიეკუთვნება, აქვს არისტარქეს ნიშნები (ობელოსები და ასტერისკები) და იკითხვისები, რომლებიც „ჰექსაპლურის“ კატეგორიას მიეკუთვნებიან (მასორეტულთან დაახლოების შედეგად წარმოქმნილნი). როგორც წესი, სიროჰექსაპლა ბერძნული ჰექსაპლური ხელნაწერის ასლად მიიჩნევა და მისი მეშვეობით ცდილობენ ჰექსაპლური

⁴² როგორც ელინა პერტილა აღნიშნავს, პირველი მეფეთას ფაიუმის ვერსია ძალიან ფრაგმენტულია და საჰიდურისაგან განსხვავებულ თარგმანს წარმოადგენს. პირველი მეფეთას ბოჰარულ ვერსიას არც ბროკი ახასიათებს და არც ელინა პერტილა. ეს უკანასკნელი შენიშნავს (Perttilä 2017: 23, შენ. 84), რომ მალე გამოქვეყნდება მისი სტატია, *Bohairic Column in Barberiniani Orientali and other Bohairic Manuscripts*, თუმცა ამ სტატიას მის ამჟამინდელ ბიბლიოგრაფიაში ვერ მივაკვლიეთ.

ვერსიის გაშუალებას. პირველი მეფეთას სიროჰქექსაპლური ვერსია ძალიან ფრაგმენტულადაა მოღწეული.

ბროკი (1996) მეფეთა წიგნებში შემორჩენილ სიროჰქექსაპლურ მასალას შემდეგ ჯგუფებად ყოფს: 1. მისდევს *O*-ს; 2. „ჰექსაპლური“ ვარიანტის ერთადერთი წყაროა; 3. იკითხვისის ლოკაციით მიჰყვება *L*-ს *O*-საპირისპიროდ; 4. არ მიჰყვება არაჰექსაპლურ ხელნაწერთა ჰექსაპლურ იკითხვისებს (Brock 1996: 5-8). როგორც ვხედავთ, ჰექსაპლური იკითხვისები ისევე არასისტემურადაა ასახული სიროჰქექსაპლაში, როგორც დანარჩენ ჰექსაპლურ ტრადიციაში.

Syr (Syr^l) — იაკობ ედესელის ვერსია

იაკობ ედესელმა პეშიტა შეასწორა ბერძნულის შესაბამისად. როგორც პირველი მეფეთას შემთხვევაში ჩანს, მას ხელთ უნდა ჰქონოდა როგორც *O* ჯგუფის, ასევე *L* ჯგუფის ხელნაწერები (Brock 1996: 26-27).

ქართული ვერსია ავლენს ხოლმე საერთო იკითხვისებს ეთიოპიურ და საჰიდურ თარგმანებთან (საბას ვერსიის შემთხვევაში, სომხურთანაც), შესაბამისად, სეპტუაგინტას სხვა შვილობილი ვერსიების ტექსტის ისტორიის ცოდნა დაგვეხმარება ქართულის მსგავსებანი სხვა თარგმანებთან განვიხილოთ როგორც თარგმანებისათვის დამახასიათებელი ტიპოლოგიური ცვლილებანი, ან მივაკუთვნოთ ერთი პერიოდისა და ტიპის სათარგმნ ორიგინალს.

I.2.2.2.3.4 პოლიგლოტური გამოცემები: ალდინა, სიქსტინა, კომპლუტენზა

პოლიგლოტური გამოცემები, Ald(ina) (1518 წ.), Compl(utensis) (1514-1520 წ.), Sixt(ina) (1587 წ.), ემყარებიან ხელნაწერ წყაროებს და შეიძლება ისეთ იკითხვისებს შეიცავდნენ, რომლებიც დღეს მოღწეულ წყაროებში აღარ ფიქსირდება (Salvesen & Law 2021: 54-56; Jellicoe 1993: 351). არის ისეთი შემთხვევები, როცა ქართულის მხარდამჭერი მხოლოდ პოლიგლოტური გამოცემებია, შესაძლოა ასეთმა თანხვედრებმა, ერთი მხრივ, ასეთი დაკარგული იკითხვისები ამოგვაცნობინოს, ხოლო, მეორე მხრივ, აჩვენოს, რომ ქართულის ვარიანტები წყაროდან მომდინარეობენ და მთარგმნელისეული ან შიდაქართული ტრანსმისიის პროცესში წარმოქმნილნი არ არიან.

1.2.2.2.3.5 სეპტუაგინტას პირველი მეფეთას სამეცნიერო გამოცემები

1. Holmes, R., & Parsons, J. (1818). *Vetus Testamentum Graecum cum variis lectionibus* (Vol. 2). e typographeo Clarendoniano.
2. Tischendorf, K. . (1887). *He palaiā diathēkē kata tous Hebdomōkonta: Vetus Testamentum Graece iuxta LXX interpretes*. Lipsiae: Brockhaus.
3. Swete, H. B, *The Old Testament in Greek according to the Septuagint*. I: Gen.-4 Kings, 1st ed. 1887, 4th ed. 1909; II: 1 Chron.-Tobit, 1st ed. 1890, 3rd ed. 1907; III: Hosea-4 Macc., Ps. of Sol., Enoch, Odes, 1st ed. 1894, 4th ed. 1912, Cambridge.
4. Brooke, A. E., Maclean, N., & Thackeray, H. St. J., (1927). *The Old Testament in Greek, Volume II. The Later Historical Books, Part I. I and II Samuel*. Cambridge: Univ. Press.
5. Rahlfs, A. *Septuaginta, id est Vetus Testamentum Graece iuxta LXX Interpretes*, 2 vols., Stuttgart, 1935
6. Fernández, M. N., Busto, S. J. R., & Spottorno, . D. C. M. V., (1992). *El texto antioqueno de la Biblia griega: II. (El texto antioqueno de la Biblia griega.)* Madrid: Instituto de Filología del CSIC, Departamento de Filología Bíblica y de Oriente Antiguo.

ამ გამოცემათაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბრუკ-მაკლინისა (კემბრიჯის), რალფსისა (გეტინგენის *Edicio minor*) და ფერნანდეს-ბუსტო-სიაზის გამოცემები.

ბრუკ-მაკლინ-თეკერის გამოცემა წარმოადგენს ვატიკანუსის დიპლომატურ გამოცემას სამი კრიტიკული აპარატით.

ვატიკანუსის ტექსტის ნაკლები ადგილები შევსებულია სხვა უნციალებით (ალექსანდრინუსითა და სინაიტისკუსით) და მათი კითხვასხვაობები შეტანილია პირველ კრიტიკულ აპარატში.

მეორე აპარატში, უნციალებთან ერთად დოკუმენტირებულია მინუსკულები, ციტატები და თარგმანები.

მესამე აპარატი კი ეთმობა უმცროს მთარგმნელთა ვარიანტებს. ხელნაწერები გამოცემაში აღნიშნულია ასოებით.

რალფსის გამოცემა გეტინგენის სეპტუაგინტას პროექტის ნაწილია. პროექტის მესვეურთ გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ყველა წყაროზე დამყარებული *edicio major*-ის მომზადება ხანგრძლივი პროცესი იყო და სანამ ამ პროექტის ფარგლებში ყველა წიგნის გამოცემა მომზადდებოდა, რალფსმა მოამზადა *edicio minor*-ი, რომელიც უნციალებზე

დამყარებული კრიტიკული გამოცემაა. ამ გამოცემის ძირითადი ტექსტიც ვატიკანუსია. კრიტიკულ აპარატში კი მხოლოდ უნციალების წაკითხვებია დოკუმენტირებული

ფერნანდეს-ბუსტო სიაზის გამოცემა წარმოადგენს მეფეთა წიგნების ანტიოქიური ტექსტის გამოცემას. მეფეთა წიგნებში ანტიოქიურმა (ანუ *L* ხელნაწერთა ჯგუფში წარმოდგენილმა) ტექსტმა განსაკუთრებული ყურადღება იმით დაიმსახურა, რომ, ბართელემის აზრით, არარეცენზირებულ, თავდაპირველ ბერძნულ თარგმანს შეიცავენ. მოგვიანებით ეს აზრი უარყოფილ იქნა, თუმცა *L* ჯგუფის ხელნაწერთა მნიშვნელობა არ შემცირებულა, რადგან მეფეთა წიგნების კაიგე სექციებში სწორედ ეს ხელნაწერები შეიცავენ, მართალია, რეცენზიული ნიშნების მატარებელ, მაგრამ მაინც ძველ თარგმანს.

პირველი მეფეთას edicio major-ი გეტინგენის პროექტის ფარგლებში

Septuaginta: Vetus testamentum graecum. Auctoritate Academiae scientiarum Gottingensis editum (Göttingen Vandenhoeck & Ruprecht, 1931–)

სეპტუაგინტას edicio major-ის პროექტი დღესაც მიმდინარე პროექტია, კვლავ მოსალოდნელია ისუ ნავეს, მსაჯულთა, მეფეთა, ნეშტთა პირველი და ფსალმუნთა წიგნები. პირველი მეფეთას გამოცემას ყველა წყაროს მიხედვით ამზადებს ანელი ემელეუსი. გამოცემის აპარატში შევა ქართული ვერსიების იკითხვისებიც.

ჩვენი დისერტაციაც, გარკვეული თვალსაზრისით, სწორედ ამ პროექტის ნაწილად მოიაზრება.

I.2.2.2.4 სეპტუაგინტას ხელნაწერთა ჯგუფები (© ანელი ემელეუსი)⁴³

კოდექსები: A B⁴⁴ M V

ფრაგმენტები: 842	2328 – 242; 246-8.12-13.18-20
845	1316-18.20-21; 1323 – 141.3-4; 188-25
846	2411-17; 2420 – 2520; 3112 – fin libri
867	46.9.13.15-16

ხელნაწერთა ჯგუფები:

O = 247-376 [x c]

⁴³ Anneli Aejmelaeus 5.9.2012

⁴⁴ მუქად გამოყოფილია ის ხელნაწერები, რომლებიც მე-17–მე-18 თავებში მოკლე ტექსტს შეიცავენ. იმ ხელნაწერებს, რომლებიც ბრუკ-მაკლისნის გამოცემაშიც არიან გამოყენებული, ფრჩხილებში მითითებული აქვთ შესაბამისი აღნიშვნები.

<i>L</i>	= 19-82-93-108-127	[b' o e ₂ b c ₂]
	19' = 19-108	[b = b' + b]
<i>CI</i>	= 98-(243)-379-731	[j = 243]
	98' = 98-379	
<i>CII</i>	= 46-52-236-242-313-328-530	[e = 52]
	46' = 46-52	
	242' = 242-328	
	<i>C' = CI + CII</i>	
<i>a</i>	= 119-527-799	[n = 119]
<i>b</i>	= 121-509	[y a ₂]
<i>d</i>	= 44-68-74-106-107-120-122-125-134-(370)-610	
	68' = 68-122	
	120' = 74-106-120-134-(370)	[- p q t l]
	134' = 120-134	
	107' = 44-107-125-610	[d = 107]
<i>f</i>	= 56-246	[i i]
<i>s</i>	= 64-92-130-314-381-488-489-(762)	[- m s w - - f -]
	64' = 64-381	
	488' = 488-489	

დაუჯგუფებელი ხელნაწერები:

29 55 71 158 244 245 318 (342) 460 554 707
 [b₂ h g v z a]

სეპტუაგინტას შვილობილი ვერსიები:

Aeth (Aeth^A = Dabra Bizan, Aeth^B = Borgianus, Aeth^G = A^{Dill.}, Aeth^D = S^{Dill.}, Aeth^E = E^{Dill.})

Arm

Ge

La (La¹¹⁵ La^M La^{250...})

Pal

Sa (Sa^{A B C...})

Syh (Syh^{IM} Syh^{BarH})

Syr (Syr^l)

II. თავი. პირველი მეფეთას ძველი ქართული ვერსიები

II.1. პირველი მეფეთას ძველი ქართული წყაროები

ძველი აღთქმის წიგნთა ძველი ქართული ვერსიების შემცველი ხელნაწერების რაოდენობა საკმაოდ მწირია და ხშირად ერთ ათეულსაც ვერ აღწევს ხოლმე. (ერთადერთი გამონაკლისია ფსალმუნნი). ზოგიერთი წიგნი უფრო იღბლიანია და მის წყაროთა შორის ხანმეტი პალიმფსესური ფრაგმენტებიცაა, რომელთა ქრონოლოგიაც (მე-5–მე-7 სს.) წყაროთა სიმცირის მაკომპენსირებელი ფაქტორია. სამწუხაროდ, *პირველი მეფეთა* ძველი აღქმის იმ წიგნების რიგშია, რომლებიც წყაროთა სიმცირითაც ხასიათდებიან და გვიანდელია.

II.1.1 ბიბლიის ხელნაწერები

ოშკის ბიბლია

ოშკის ბიბლია, ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული პანდექტი⁴⁵, პირველი მეფეთას ქართული ვერსიების წყაროთაგანაც უძველესია. იგი თითქმის სრულად შეიცავს პირველ მეფეთას, აკლია მე-18 თავი მთლიანად და მე-17 და მე-19 თავები ნაწილობრივ. ოშკის ბიბლიის ეს ნაწილი გადაწერილია სტეფანეს მიერ.

Ge^o *ათონი, ივირონი; Ath.-1; 978 წ. ე.წ. ოშკის ბიბლია. ტ. II, 1r-57v. აკლია: 17:39*

ὅτι οὐ πεπεραμαι – 19:2 καὶ κρίβημι.

ხელნაწერი არაერთგზისაა აღწერილი (Blake 1929: 33-56; Blake 1931: 13-16; გიგინეიშვილი... 1989: 559-572; Gippert 2020: 1-29; მეტრეველი 1996: 16-22) და ჩვენ მის პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიურ მახასიათებლებს არ განვიხილავთ. მხოლოდ ჩვენთვის ისეთ საყურადღებო დეტალებზე გავამახვილებთ ყურადღებას, როგორცაა მეფეთა წიგნების დასათაურება და წიგნთა თანმიმდევრობა.

ოშკის ბიბლიაში მეფეთა წიგნები ასეა დასათაურებული:

1. ff. 1r – 57v: პირველი თავი მეფეთად. საულისი და დავითისი და სამოელ წინაწარმეტყუელისად
2. ff. 57v – 117v: მეორე თავი მეფეთად
3. ff. 117v – 165v: წიგნი მეფეთადვე, თავი მესამე, სოლომონისი

⁴⁵ აკლია მხოლოდ ფსალმუნნი, ნეშტთა და მაკაბელთა წიგნები.

4. ff. 165v – 213v: წიგნი მეფეთაი, თავი მეოთხე

ომკის ბიბლია ჩვენამდე შემონახული უძველესი ქართული პანდექტია. ბიბლიის სრული ტექსტის შემცველი კიდევ ორი, შედარებით გვიანდელი ხელნაწერი შეიძლება დავასახელოთ, საბასა და ბაქარის ბიბლიები. შესაბამისად, ომკის ბიბლიის მეშვეობით, შესაძლებლობა უნდა გვქონდეს შევიქმნათ ნარმოდგენა, თუ როგორი იყო ბიბლიის წიგნთა ტრადიციული რიგი მე-10 საუკუნის საქართველოში. სამწუხაროდ, ომკის ბიბლია ამ საკითხზე უტყუარ წყაროდ ვერ გამოდგება, რადგან ხელნაწერს თითქმის მესამედი აკლია და კინძვის თავდაპირველ ფორმას არ უნდა ინახავდეს.

ომკის ბიბლია, რვეულებრივი სათვალავისა და გადამწერთა ანდერძების მიხედვით, ოთხ ნაწილად იყოფა (თითოეულ ნაწილს დამოუკიდებელი რვეულებრივი სათვალავი აქვს). პირველი ორი ნაწილი (56+50 რვეული = დაახლოებით 848 ფურცელს) გადამწერილია **მიქაელის** მიერ, მესამე, 28 რვეულიანი, ნაკვეთის (ე.ი. 224 ფურცლის) გადამწერია **სტეფანე**. მომცროსი მეოთხე ნაკვეთიც, მასში სულ 27 რვეული (216 ფურცელი) უნდა ყოფილიყო, თუმცა პირველი თორმეტი რვეული (96 ფურცელი) **გიორგი გელასის ძეს** გადაუწერია, დანარჩენი 15 (ე.ი. 120 ფურცელი) კი — კვლავ **მიქაელს**. მაშასადამე, თავდაპირველად ომკის ბიბლია 1288 ფურცლიანი ხელნაწერი იყო⁴⁶, ამჟამად მხოლოდ 956 ფურცელია შემორჩენილი. განსაკუთრებით ნაკლები პირველი ნაწილია, თავდაპირველი 448 ფურცლიდან 176-ლამდამდარჩენილი.

ამჟამად ომკის ბიბლია ორ ტომადაა აკინძული და წიგნების თანმიმდევრობა ასეთია:

I ტ.		II ტ.	
ნაკ. 1	ნაკ. 2	ნაკ. 3	ნაკ. 4
რვანწიგნეული იობი	ესაია იერემია ბარუქი გოდება ლოცვა-გოდებანი ლოცვა-წიგნი სამოციქულო	მეფეთა წიგნები	იგავნი სოლომონისნი ეკლესიასტე ქებათა-ქება სიბრძნე სოლო სიბრძნე ზირაქისა მცირე წინ.-ები

⁴⁶ გამოთვლისას ვვარაუდობთ, რომ დაკარგული რვეულები სტანდარტულად რვაფურცლიანი იყო.

	ეზეკიელი დანიელი ეზრა ზორ. ეზრა ზორ. სიტყ, ნაუმის ეზრა სუთიელი ესთერი ივდითი [ტობი]		
--	---	--	--

ამ თანმიმდევრობაში არა მხოლოდ მეფეთა წიგნების ადგილია მოულოდნელი, არამედ ისიც, რომ წინასწარმეტყველთა წიგნები ისტორიული და სიბრძნის წიგნებითაა გახლეჩილი. ელენე მეტრეველი მეფეთა წიგნების უცნაურ ადგილს იმით ხსნის, რომ მეფეთა წიგნების შემცველი ნაკვეთის გადაწერა დანარჩენ ნაკვეთებთან შედარებით ერთი წლით გვიან დასრულდა (ამას ასკვნის ხელნაწერის მომგებლის, იოანე-თორნიკეს, ტიტულატურის მიხედვით) და აკინძვისას იქ ჩაურთეს, „სადაც ტექნიკურად მოსახერხებელი“ იყო (მეტრეველი 1996: 20-21). წინასწარმეტყველთა წიგნების რიგი ასეთივეა წინასწარმეტყველთა წიგნების შემცველ იერუსალიმურ კრებულში (Jer 7/11).

ჩვენთვის უფრო სარწმუნოა რობერტ ბლეიკისეული ინტერპრეტაცია: მისი თქმით, ოშკის ბიბლიის შემადგენელი თითქმის 1300 ფურცელი 3 დაახლოებით თანაბარ ნაწილად იყო გაყოფილი და სამ ტომად იყო აკინძული. როცა პირველი ტომის ნახევარზე მეტი დაიკარგა, პირველი და მესამე ტომი გააერთიანეს და თავდაპირველი სამი ტომიდან ორი ტომი მიიღეს (Blake 1929: 40-53). ამგვარად, მეფეთა წიგნების ადგილიც უფრო ლოგიკურია და დანარჩენი წიგნებისა, რადგან წინასწარმეტყველთა წიგნების თანმიმდევრულობაც შენარჩუნებულია. ნაკვეთების ინდივიდუალური რვეულებრივი სათვალავიც კარგ საფუძველს ქმნის საიმისოდ, რომ მონაკვეთები გადაადგილებულიყო.

I ტ.	II ტ.		III ტ.
ნაკ. 1	ნაკ. 3	ნაკ. 4	ნაკ. 2
რვაწიგნეული	მეფეთა წიგნები	ივანე სოლომონისნი	ესაია

იობი		ეკლესიასტე ქებათა-ქება სიბრძნე სოლ სიბრძნე ზირაქისა მცირე წინ.-ები	იერემია ბარუქი გოდება ლოცვა-გოდებანი ლოცვა-წიგნი სამოციქულო ეზეკიელი დანიელი ეზრა ზორ. ეზრა ზორ. სიტყ, ნაუმის ეზრა სუთიელი ესთერი ივლითი [ტობი]
------	--	--	---

იერუსალიმური ბიბლია

ქრონოლოგიურად შემდეგია იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში 113-ე ნომრით დაცული ხელნაწერი, რომელიც მე-13–მე-14 საუკუნეებითაა დათარიღებული. (ხელნაწერის აღწერილობა იხ. (Blake 1924: 425; გიგინეიშვილი... 1989: 593-595; Цагарели 1888: 153) მასში პირველი მეფეთას ტექსტი საკმაოდ ნაკლები სახითაა წარმოდგენილი, აკლია დასაწყისიდან მე-9 თავის მე-19 მუხლამდე და ასევე საკმაოდ ვრცელი ლაკუნები აქვს მთელი ტექსტის მანძილზეც.

Ge¹ *იერუსალიმი, ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკა; Jer-113; XIII – XIV სს. გვ. 1–74. აკლია: Init. – 9:19 ἀπάγγειλον δὴ ποῖος; 10:12 – 10:26 καὶ ἐπορεύθησαν σίσι; 19:17 οὕτως παρελογίσα με – 20:3 ὅτι καθὼς εἶπον ἐμπέπλησται; 20:25 καὶ ἐκάθισεν Αβεννηρ – 23:8 συνέχειν τὸν Δαυιδ; 24:9 Δαυιδ ἐπὶ πρόσωπον αὐτοῦ – 26:17.*

ხელნაწერი მეფეთა ოთხი წიგნის გარდა ეკლესიასტეს ფრაგმენტებს შეიცავს. მეფეთა წიგნები ასეა დასათაურებული:

1. 1 – 74⁴⁷: [დასაწყისი აკლია]
2. 74 – 181: წიგნი მეფეთად თავი ბ
3. 181 – 290: წიგნი მეფეთად თავი გ
4. 290 – 402: წიგნი მეფეთად თავი მეოთხე

ჯანაშვილისეული ბიბლია

პირველი მეფეთას ნაკლულ ტექსტს შეიცავს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერი A-646, რომელიც ჯანაშვილისეული ხელნაწერის სახელითაცაა ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ იგი მე-15–მე-16 საუკუნეებითაა დათარიღებული და ბიბლიის ქართული ნუსხების იმ იშვიათ ხელნაწერთა შორისაა, რომლებიც მხედრულითაა გადაწერილი, ტექსტთა საკმაოდ ძველ ვერსიებს შეიცავს ხოლმე⁴⁸ (დანვრილებითი აღწერილობა იხ. გიგინეიშვილი 1989: 597-601; Жордания 1902). სამწუხაროდ, ლაკუნა აქაც დიდია და მოიცავს ტექსტს პირველიდან მე-5 თავის მე-11 მუხლამდე და კიდევ მე-14 თავის ათიოდე მუხლს. უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერი საკმაოდ გვიანდელია და მხედრულითაა გადაწერილი, კარგ ტექსტებს შეიცავს ხოლმე, ასეა პირველი მეფეთას შემთხვევაშიც.

Ge^F თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-646; XV–XVI სს. ე.წ. ჯანაშვილისეული ხელნაწერი; 1r–63v. აკლია: *Init – 5:11 και συνάγουσιν; 14:29 τοῦ μέλιτος τούτου – 14:39 γέγονεν ἡ ἁμαρτία.*

ხელნაწერი მხოლოდ ისტორიულ წიგნებს შეიცავს. მეფეთა წიგნები ასეა დასათაურებული:

1. ff. 1r – 63v: [დასაწყისი აკლია]
2. ff. 63v – 119v: მეორე თავი მეფეთა
3. ff. 119v – 186r: წიგნი მეფეთა თავი მესამე
4. ff. 186r – 252r: წიგნი მეფეთა თავი მეოთხე

⁴⁷ რადგან აღწერილია ფოტოს მიხედვით, მითითებული გვერდების ნომრები ფოტოპირის მიხედვით.

⁴⁸ ზუსტად ასეთივე კრებული უნდა ყოფილიყო ბიბლიის ისტორიულ წიგნთა შემცველი მე-13 საუკუნის ხელნაწერი, რომლის ფრაგმენტებაც ამჟამად მატენადარანის ქართულ ხელნაწერთა შორისაა. ფოლიონების ნაწილი კვლავ სომხურ ხელნაწერებშია ჩაკინძული საცავ ფურცლებად, ნაწილი კი ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტების კოლექციაშია. ხელნაწერის აღწერილობა დანვრილებით იხ., მიროტაძე 2018: 211-222

მეფეთა წიგნებს მოსდევს ნეშტთა, ესთერი და ივდიითი, არაკანონიკური და კანონიკური ეზრა და სიტყუანი ნაუმისნი.

საბას ბიბლია

პირველი მეფეთას წყაროთა შორის, რა თქმა უნდა, არის მე-17–მე-18 საუკუნეებით დათარიღებული საბას ბიბლიაც, რომელიც პირველი მეფეთას ტექსტს სრულად შეიცავს, თუმცა არც საბას ხელთ არსებული წყაროები უნდა ყოფილიყო სრული და მას ტექსტი სხვადასხვა წყაროდან აქვს შევსებული (ხელნაწერის აღწერილობა იხ. გიგინეიშვილი 1989: 609-619; Жордания 1903: 40-41)

Ge^S თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-51; XVII–XVIII სს. ე.წ. საბას ბიბლია, მცხეთური ბიბლია, მცხეთური ხელნაწერი; 151r–167r.

საბას ბიბლიაში მეფეთა წიგნები რვანგნეულსა და ნეშტთას წიგნებს შორისაა მოქცეული და ასეა დასათაურებული:

1. ff. 151r – 167r: წიგნი პირველი სამოელისი, რომელსა პირველსა მეფეთასა უწოდთ.
თავი ა
2. ff. 167r – 180r: წიგნი მეორე სამოელისა, რომელი ჩუენ მიერ მეორე მეფეთად იწოდების
3. ff. 180r – 195r: წიგნი მესამე მეფეთა, ებრაელთა შორის პირველი მალაქიმ, თავი ა.
4. ff. 195r – 209v: წიგნი მეოთხე მეფეთა, ებრაელებრ მალაქიმ, რომელ არს მეორე.
თავი ა

როგორც ვხედავთ, საბა არა მხოლოდ ტექსტს ასწორებს ლათინური და სომხური ბიბლიების გამოცემათა მიხედვით, არამედ სათაურებსაც.

ბაქარის ბიბლია

პირველი მეფეთას ტექსტს შეიცავს ქართული ბიბლიის პანდექტაგან ყველაზე გვიანდელი – 1743 წელს მოსკოვში გამოცემული ე.წ. ბაქარის ბიბლია (ხელნაწერის დანვრილებითი აღწერილობა იხ. გიგინეიშვილი et al 1989: 627-635).

Ge^B ბაქარის ნაბეჭდი ბიბლია, 1743 წ. ე.წ. ბაქარის ბიბლია; მოსკოვის ბიბლია; გვ. 205–231.

ბაქარის ნაბეჭდ ბიბლიაში მეფეთა წიგნები რვანგნეულსა და ნეშტთა წიგნებს შორისაა მოქცეული და ასეა დასათაურებული:

1. 205 – 231: წიგნი პირველი მეფეთა.
2. 231 – 252: წიგნი მეორე მეფეთა
3. 252 – 271: წიგნი მესამე მეფეთა
4. 271 – 302: წიგნი მეოთხე მეფეთა

II.1.2 ლექციონარის ხელნაწერები

უშუალოდ ბიბლიური ხელნაწერების გარდა, პირველი მეფეთას ტექსტს ლიტურგიკული საკითხავების სახით შეიცავს ლექციონარებიც. საკითხავები ყველაზე სრულად მე-10 საუკუნით დათარიღებულ პარიზის ლექციონარშია წარმოდგენილი. საკითხავების უმრავლესობას შეიცავს კიდევ ორი სრული ხელნაწერი – კალისა და ლატალის ლექციონარები. პირველი მეფეთას თითო საკითხავია წარმოდგენილი ასევე ოთხ ფრაგმენტულ ხელნაწერში, რომელთაგან ორი – $Ge^{A-1695-1}$ და $Ge^{A-1390-2}$ – პალიმფსესტებია. ეს უკანასკნელნი ცოტა ხნის წინ გამოვლინდა. ჯერ-ჯერობით იდენტიფიცირებულია პირველი მეფეთას მე-16 თავის მე-2–მე-8 მუხლები (ქაჯაია... 2017: 53) და მე-17 თავის 26-ე–35-ე მუხლები (ქაჯაია... 2017: 50-51, 342-343).

ლატალის ლექციონარი

Ge^L მესტია, საქართველოს ეროვნული მუზეუმი 635 (სილოგავას ნომერი M-51): IX-X სს. ე.წ. ლატალის ლექციონარი. საკითხავები⁴⁹: 367 – 1:1–2:11; 373 – 2:11–3:21; (382) – 4:15–6:18; 1070 – 6:19–7:2⁵⁰; 410 – 16:1-23; 488 – 17:1–18:9; 554 – 23:25–24:25.

ხელნაწერი მე-IX-X საუკუნეებითაა დათარიღებული, საკმაოდ ნაკლები, გვერდები ნესტისაგან დაზიანებული (ხელნაწერი დანვრილებითი აღწერილობა იხ. Кекелидзе 1912: 1-40; სილოგავა 1986: 55-57; თაყაიშვილი 1937: 300-303; ჭუმბურიძე 1984: 97-98; Tarnischvili 1959: VIII-X). ხელნაწერის კალენდარულ ნაწილს მე-VII–მე-VIII საუკუნეებით ათარიღებენ.

⁴⁹ საკითხავები დანომრილია თარხნიშვილის გამოცემის მიხედვით (თარხნიშვილი 1959-1960).

⁵⁰ 1070-ე საკითხავის ტექსტის (1 მეფ. 6:19 – 7:2) ლატალის ხელნაწერში მიეკუთვნება პირველი მეფეთას ომკურ ტექსტუალურ ტიპს.

კალის (ლაგურკის) ლექციონარი

Ge^K თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Q-1653, IX-X სს. ე.წ. კალის (ლაგურკის) ლექციონარი. საკითხავები: 367 – 1:1 – 2:11; 373 – 2:11 – 3:21; 382 – 4:1 – 6:18; 410 – 16:1-23; 488 – 17:1 – 18:9; 554 – 23:25 – 24:25.

ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს პალესტინაში (იერუსალიმში ან საბას მონასტერში (ლილი ხევსურიანი და მანანა დოლაქიძე სინას მთას გამორიცხავენ)) X საუკუნის შუა წლებში, იმავე წრესა და პირთა მიერ, რომლებმაც გადაწერეს წვრილის იადგარი. მათი თქმით, ეს ორი ხელნაწერი — წვრილის იადგარი და კალის ლექციონარი — პალესტინიდან სვანეთში ერთი გზით უნდა მოხვედრილიყო. სამწუხაროდ, კალას ლექციონარი ამჟამად ძალიან ნაკლებია და შესაძლებელია მხოლოდ ტრიოდული ნაწილის ამოკითხვა, თუმცა როგორც ლილი ხევსურიანი და მანანა დოლაქიძე მიუთითებენ მთელი წლის კალენდარს წარმოადგენდა. (Кекелидзе 1912: 4-6; Tarnischvili 1959: X-XI; ლორთქიფანიძე 1956: 109-111; ჩხენკელი 1959: 249-258; განს., დოლაქიძე-ხევსურიანი 1995: 64-80.)

პარიზის ლექციონარი

Ge^P პარიზი, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, Géorgien 3; X ს. ე.წ. პარიზის ლექციონარი. საკითხავები: 367 – 1:1 – 2:11; 373 – 2:11 – 3:21; (382) – 5:9 – 6:18; 1070 – 6:19 – 7:2; 445 – 7:3-13; 410 – 16:1-23; 488 – 17:1 – 18:9; 554 – 23:25 – 24:25; 303 – 28, 29, 31.

პარიზის ლექციონარი ჩვენამდე მოღწეულ ქართულ ლექციონართა შორის ყველაზე გვიანდელი და ყველაზე სრულია. სისრულე რამდენიმე ასპექტითაა განპირობებული: 1. კალენდრის გვიანდელობით; 2. გადაწერის თარიღითაც ყველაზე გვიანდელია; 3. მიუხედავად იმისა, რომ აკლია სულ ცოტა 69 ფურცელი, მაინც ყველაზე სრული ფორმით გადაურჩა დროს. პარიზის ლექციონარის გადაწერის ადგილად ტაო-კლარჯეთი ივარაუდება, რადგან კალენდარში ქართველ წმინდანთა მოსახსენებლებთან ერთად შეტანილია სომეხ წმინდანთა მოსახსენებლებიც. (Tarnischvili 1959: VI-VII; კარანაძე... 2018: 205; თაყაიშვილი 1933: 24-30; დანელია 1987: 473-487; <https://archivesetmanuscrits.bnf.fr/ark:/12148/cc137102>)

იერუსალიმური ფრაგმენტი

Ge^f იერუსალიმი, სომხური საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, № 207. **საკითხავი: (488)**
– 17:1-16.

სამწუხაროდ, ამ ფრაგმენტის დაწვრილებითი კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული აღწერილობა არ არსებობს, ჩვენ არც ფრაგმენტის ფოტო გვინახავს, ტექსტისათვის ვისარგებლეთ ლილი ხევსურიანის, მანანა დოლაქიძისა და ლალი ჯღამაიას კოლაციონირების რვეულებით. მოგვიანებით ფრაგმენტის ტექსტი ბერნარ უტიემ გამოაქვეყნა (უტიე 2019: 175-185). გამოცემაში ბერნარ უტიე ხელნაწერის ნომერს არ უთითებს. ბერნარ უტიეს აზრით, იერუსალიმის სომხური საპატრიარქოს ფრაგმენტი იმავე ხელნაწერისაა, რომლის ფურცლებიც გამოყენებულია ბზომმარის 561 და 429 ხელნაწერების საცავ ფურცლებად. პირველი მათგანი 1701 წელსაა გადაწერილი, ხოლო მეორე — 1704-1706 წლებში პოლოსის მიერ ტიგრანაკერტში. ლექციონარის ამავე ხელნაწერის ნაწილებად მიიჩნევს მატენადარანის 1335 ხელნაწერის საცავ ფურცლებად გამოყენებულ ლექციონარის ფრაგმენტსა და მატენადარანის ქართული ფრაგმენტების 48-ე ხელნაწერს. მაშასადამე, ქართული ხელნაწერი ტიგრანაკერტში ინახებოდა, რომელსაც სომხური ხელნაწერების კინძვისას საცავ ფურცლებად იყენებდნენ და მათთან ერთად მიმოიფანტა მსოფლიოს სხვადასხვა ბიბლიოთეკაში (უტიე 2019: 175-176).

კემბრიჯის ფრაგმენტი

Ge^c კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, MS. Add. 1890.1 (GEORGIAN MS. 3)
საკითხავი: (554) – 23:26-24:11.

ნაწერია ორ სვეტად, ბლექის შეფასებით, სინურ-პალესტინური წვრილი ასომთავრულით ეტრატზე, რომელიც გაყავისფრებული და დალაქავებულია, თავდაპირველად კი თეთრი ფერისა უნდა ყოფილიყო. (ბლექი 1932: 213). ამჟამად, შემორჩენილია 15 სტრიქონი, თუმცა ნაკლები ტექსტის გათვალისწინებით 5-6 სტრიქონი უნდა აკლდეს. ხელნაწერი მე-10 საუკუნითაა დათარიღებული (კარანაძე... 2018: 49). ხელნაწერის სრული კოდიკოლოგიურ პალეოგრაფიული აღწერილობა იხ.: ბლექი 1932: 213-214; კარანაძე... 2018: 49-50.

პალიმფსესტური ფრაგმენტები

Ge^{A-1695-1} თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, პალიმფსესტი A-1695-1, X ს. **საკითხავი: (410)** – 16:2-8

Ge^{A-1390-2} თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, პალიმფსესტი A-1390-2 X ს. **საკითხავი: (488)** – 17:26-35

ორივე ფრაგმენტი სრული ფორმატის ორი სხვადასხვა ლექციონარის ნაწილები არიან, რომლებიც პალიმფსესტთა ქვედა ფენაშია შემონახული. ამჟამად მხოლოდ მცირე მონაკვეთებია გაშიფრული. ხელნაწერის უკეთ წასაკითხად აუცილებელია სპეციალურად დამუშავებული ფოტოპირის მომზადება, რათა ქვედა ფენა გამოაშკარავდეს (ფრაგმენტების გამონვლილვითი პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა იხ. ქაჯაია... 2017: 53, 50-51, 342-343).

ლექციონარი საკითხავთა ბიბლიოგრაფიული მონაცემები

წარმოდგენთ პირველი მეფეთას საკითხავების ნუსხას ქართული და სომხური ლექციონარების მიხედვით. ქართულში საკითხავის თავისა და მუხლის გარდა, ვუთითებთ ხელნაწერებს გვერდებითურთ, სადაც ეს საკითხავები დასტურდება. ასევე ვუთითებთ, ამ საკითხავთა შესაბამისი ტექსტი პირველი მეფეთას ბიბლიის ხელნაწერ წყაროთაგან რომლებშია და რომელ გვერდებზე.

სომხური ლექციონარისათვის ვისარგებლეთ სომხური ლექციონარის შარლ (ათანასე) რენუს გამოცემებით: Le codex arménien Jérusalem 121. 1. Introduction. Aux origines de la liturgie hiérosolymitaine. Lumières nouvelles, PO 35/1 (1969); 2. Édition comparée du texte et de deux autres manuscrits, introduction, textes, traduction et notes, PO 36/2 (1971). Le lectionnaire de Jérusalem en Arménie. Le čaşoc‘. 1. Introduction et liste des manuscrits, PO 44/4(1989); 2. Édition synoptique des plus anciens témoins, PO 48/2 (1999); 3. Le plus ancien lectionnaire cilicien: le Erevan 832, PO 49/5 (2004). გამოცემებში ასახულია სომხური ლექციონარის განვითარების სხვადასხვა საფეხურის ტექსტები. რენუს აზრით, უძველესი ფორმა Arm-Jer-21-თან ერთად დაცულია Arm.-Par.-44-სა და Arm.Erev.-985-ში. სომხური ლექციონარის ამ ფორმას რენუ დისკუსიაში LA-თი აღნიშნავს (წარმოდგენს ფრანგული Le „*Lectionnaire arménien*“-ის აბრევიატურას), ჩვენც ამ აღნიშვნას გამოვიყენებთ. მეორე ტიპის, შედარებით გვიანდელი, ტექსტია ჭაშოცი (ճաշոց), რომელსაც ჩვენ პირობითად Arm⁶-ით აღვნიშნავთ, მესამეს კი, რომელსაც რენუ ჭაშოცის კილიკურ ვერსიად მიიჩნევს, ჩვენ Arm^{6C}-ით შევამოკლებთ. გამოცემებში საკითხავები ხელნაწერთა გვერდ-

ბის მიხედვით დაზუსტებული არ არის, აქედან გამომდინარე, ვუთითებთ მხოლოდ შესაბამისი გამოცემის გვერდს.

გარდა ამისა, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხურ ხელნაწერთა კოლექციაში ნომრით Arm-8 დაცულია ლექციონარი, რომელიც ხათუნა გაფრინდაშვილმა აღწერა და ხელნაწერში არსებული პირველი მეფეთას საკითხავთა ნუსხაც (დასაწყის-დასასრულისა და გვერდების მითითებით) მოგვანოდა. როგორც პირველი მეფეთას მიხედვით ჩანს, მასში შეერთებული უნდა იყოს LA-სა და Armⁿ-ს კალენდრები. ხელნაწერს Arm^T-თი აღვნიშნავთ და მასში შესულ პირველი მეფეთას საკითხავებს გვერდების მითითებით წარმოვადგენთ ცხრილში.

ქართული ლექციონარი	სომხური ლექციონარი
1:1–2:11a (№ 367): დიდმარხვის მეორე კვირის ორშაბათი P (1:1–2:11a): 58rb-60rb L (1:1–2:11a): 81/42ra-86/44va K (1:1–2:11a): 2ra-3vb	1:1-23a: დიდმარხვის მეორე კვირის ორშაბათი LA (1:1-23a): გვ. 240-241/[102-103] Arm ⁿ – (1:1-23a): გვ. 166/[80] Arm ^{dc} ————— Arm ^T (1:1-23a): 51v-54r
2:11b–3:21 (№ 373): დიდმარხვის მეორე კვირის სამშაბათი P (2:11b–3:21): 62vrb-64rb L (2:11b–3:10): 109/56ra-112/57vb; 273/137ra-274/137va K (2:11b–3:21): 4rb-6rb	1:23b-2:26: დიდმარხვის მეორე კვირის სამშაბათი LA (1:23b-2:26): გვ. 242-243/[104-105] Arm ⁿ (1:23b-2:26): გვ. 166/[80] Arm ^{dc} ————— Arm ^T (1:23b-2:26): 54r-57r
4:1–6:18 (№ 382): დიდმარხვის მეორე კვირის ხუთშაბათი ⁵¹ P (5:9–6:18): 70ra-71rb L (4:15–6:18): 287/144ra-288/144vb; 113/58ra-114/58vb; 89/46ra-90/46va K (4:1–6:18): 9ra-11vb	3:21c-4:18: დიდმარხვის მეორე კვირის ხუთშაბათი LA (3:21c-4:18): გვ. 244-245/[106-107] Arm ⁿ (3:21c-4:18): გვ. 167/[81] Arm ^{dc} ————— Arm ^T (3:21c-4:18): 58v-61v

⁵¹ პარიზისა და ლატალის ლექციონარები ხარვეზიანია და კალენდარულ მითითებას მხოლოდ კალის ხელნაწერი შეიცავს.

ქართული ლექციონარი	სომხური ლექციონარი
<p>6:19–7:2a (№ 1070): 2 ივლისი, შჯულის კილობნის დღესასწაული⁵²</p> <p>P (6:19–7:2a): 260vb-261ra</p> <p>L (6:19–7:2a): 484/244vb-485/245rb</p> <p>K (6:19–7:2a): lac</p>	<p>6:19–7:2: 2 ივლისი, შჯულის კილობნის დღესასწაული</p> <p>LA (6:19–7:2): გვ. (348-349/[210-211])</p> <p>Arm^ა (6:19–7:2): გვ. 216/[130]</p> <p>Arm^აC (6:19–7:2): გვ. 620/[102]</p> <p>Arm^აT (6:19–7:2): 320v-321v</p>
<p>7:2b–13 (№ 445): დიდმარხვის მეოთხე კვირის სამშაბათი</p> <p>P (7:2b–13): 102vb -103va</p> <p>L: om</p> <p>K: lac</p>	
	<p>15:34-35, 25:1: 10 იანვარი, ძველი ალთქმის პატრიარქთა ხსენება⁵³</p> <p>LA —————</p> <p>Arm^ა —————</p> <p>Arm^აC (15:34-35, 25:1): გვ. 589/[71]</p> <p>Arm^აT (15:34-35, 25:1): 344r-348r</p>
<p>16:1–23 (№ 410): დიდმარხვის მესამე კვირის სამშაბათი</p> <p>P (16:1–23): 81vb-82vb</p> <p>L (16:1–23): 324v⁵⁴ ; 115/59ra-116/59vb</p> <p>K (16:1–23): 18va-19va</p> <p>A-1695-1# (16:2–8): 114r</p>	
<p>17:1–18:9 (№ 488): დიდმარხვის მეხუთე კვირის სამშაბათი</p> <p>P (17:1–18:9): 120va-124ra</p>	

⁵² შჯულის კილობნის დღესასწაული 2 ივლისისა და დებულები სინა 34-ის კალენდრითაც (Garitte 1958: 30, 76, 267).

⁵³ სინა 34-ის მიხედვით, ქართულ ტრადიციით, აღნიშნებოდა 24 დეკემბერს (Garitte 1958: 112).

⁵⁴ ფურცელი დეფექტურია და კალენდარული მითითება ჩამოხეულია.

ქართული ლექციონარი	სომხური ლექციონარი
L (17:1–18:9): 167/84ra-174/87va K (17:1–18:9): 35ra-38rb f# (204): 17:1-16 A-1390-2#: 61v/col.a: 17:26-28; 60r/col. b: 17:33-35	
23:25–24:23 (№ 554): დიდმარხვის მეექვსე კვირის ხუთშაბათი P (23:25–24:23): 149rb-150va L (23:25–24:23): 211/106ra-213/107 rb K (23:25–24:23): 54ra-55rb c#: r/col. a: 23:26-24:1; r/col. b: 24:3-4 v/col. a: 24:6-8 v/col. b: 24:9-11	
28:1- 29:11; 31:1-13 (№ 303): ყველიერის კვირის პარასკევი P (28:1- 29:11; 31:1-13): 25va-28ra L: lac K: lac	

როგორც ვხედავთ, ქართული ლექციონარები საკითხავთა რაოდენობითა და მოცულობით საგრძნობლად აღემატება სომხურს. ამასთანავე, ქართულ ლექციონართა შორისაც ამ თვალსაზრისით, პარიზის ლექციონარი გამოირჩევა.

ქართული ლექციონარის ბიბლიური საკითხავების კვლევა ყოველთვის გულისხმობდა იმის გარკვევას, ლექციონარში შესული ბიბლიური საკითხავები დამოუკიდებელი თარგმანია, თუ უკვე არსებული თარგმან(ებ)იდან შეჰქონდათ შესაბამისი დღის განგებისათვის განწესებული ძველი აღთქმის შინაარსობრივად მორგებული მონაკვეთები. ჩვენი აზრით, ამ საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანნილადაა დაკავშირებული ლექციონარის შრეების იდენტიფიკაციასთან, რადგან სხვადასხვა პერიოდის საკითხავები, შესაძლოა სხვადასხვა სურათს იძლეოდნენ.

ლექციონარის თავდაპირველი და გვიანდელი ფენების იდენტიფიკაციისთვის შემუშავებულია გარკვეული კრიტერიუმები:

1. ე.წ. Lectio Continua, როდესაც რომელიმე წიგნი, ან მისი მონაკვეთი უწყვეტადაა შესული ლექციონარში⁵⁵.

2. ლექციონარის სხვადასხვა რედაქციების შედარება და საერთო და განსხვავებული მასალის გამოყოფა.

ამ ასპექტთა გათვალისწინება არა მხოლოდ ქართული მასალის შეფასებაში დაგვეხმარება, არამედ გარკვეულწილად ბერძნული ლექციონარის ისტორიისთვისაც მნიშვნელოვანია: შესაძლოა სხვადასხვა პერიოდის საკითხავები ბიბლიის წიგნთა სხვადასხვა ტექსტულურ ფორმას ან მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურს ინახავდეს.

სავარაუდო უძველესი ქრონოლოგიური შრე

იერუსალიმური ლექციონარის ბერძნულ ტექსტულურ ფორმებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ქრისტიანული ღვთისმსახურების ამ უპირველეს ძეგლსა და მისი ფორმირება-განვითარების პროცესზე თვალის მიდევნება შესაძლებელია ეგერიას მოგზაურობისა და ლექციონარის სომხური და ქართული თარგმანების მეშვეობით. ამ წყაროებისათვის საერთო ტექსტულური თუ კალენდარული მასალა მიიჩნევა უძველეს ფენად.

რენუს მითითებით, სომხური ლექციონარის მარხვის პერიოდში განგებების თვალსაზრისით გამორჩეულია მეორე და დიდი კვირა. მხოლოდ ამ ორი კვირის ყველა დღეს აქვს განგება, დიდმარხვის დანარჩენი 5 კვირის განმავლობაში სადავ დღეებში განგებები დადებულია მხოლოდ ოთხშაბათობითა და პარასკევობით. ამასთან, ოთხშაბათობით ძირითადად იკითხება გამოსვლათას, მეორე სჯულისა და იოელის, ხოლო პარასკევობით – მეორე სჯულის, იობისა და ესაიას საკითხავები. დიდმარხვის მხოლოდ მეორე კვირის ორშაბათ-სამშაბათ-ხუთშაბათია გამორჩეული, როცა სრულდება მეფეთას, იგავთას და იერემიას წინასწარმეტყველების საკითხავები Lectio Continua-ს პრინციპით.

დიდმარხვის მეორე კვირის ასეთ გამორჩეულობას იმით ხსნიან, რომ იგი იმ პერიოდის გადმონაშთია, როდესაც აღდგომის მარხვა აღდგომამდე ზუსტად 40 დღით ადრე იწყებოდა, სავარაუდოდ, ნიკეის კრების შემდგომ, უკვე ეგერიას მოგზაურობისას (381-384 წწ.) დიდმარხვა რვაკვირიან პერიოდს მოიცავდა, სომხური ლექციონარის მიხედვით,

⁵⁵ „Lectio Continua-ში ეკლესიის უძველესი ტრადიცია უნდა ვიგულისხმოდ“ (თარხნიშვილი 1994: 159).

რომელიც მე-5 საუკუნის დასაწყისით ათარიღებენ⁵⁶, დიდმარხვა შვიდკვირიანია, ხოლო დაახლოებით ორი საუკუნის შემდეგ კვლავ რვაკვირიანი ხდება (ამას უკვე ქართული ლექციონარი მოწმობს, ასევე იოანე ბოლნელის ქადაგება (თარხნიშვილი 1994: 168-170)).

გარდა იმისა, რომ სომხური ლექციონარის კალენდრის ეს ფორმა მეხუთე საუკუნის დასაწყისითაა დათარიღებული⁵⁷, რენუს თქმით, ერთი ასპექტი კიდევ უფრო ძველ ვითარებას ასახავს: პირველი მეფეთასა და იერემიას წინასწარმეტყველების Lectio Continua-ში სამშაბათსა და ხუთშაბათს შორის არის წყვეტა: პირველი მეფეთას საკითხავი სამშაბათს 2:26-ით სრულდება და ხუთშაბათს 3:21-ით გრძელდება. რენუ ფრთხილ ვარაუდს გამოთქვამს, რომ ეს წყვეტა მას შემდეგ წარმოიქმნა, რაც ზუსტად 40-დღიანი მარხვა კვირების პრინციპზე გაეწყო, მარხვის დასაწყისი კი რიგით კვირად იქცა და ოთხშაბათი და პარასკევი სამსაკითხავიანი სისტემით დანარჩენი კვირების ოთხშაბათებსა და პარასკევს დაუკავშირდა (Renoux 1971: 183-186).

მიუხედავად იმისა, სიმართლეს შეესაბამება თუ არა, ამგვარი დათარიღება და ინტერპრეტაცია⁵⁸, სომხურისა და ქართული ლექციონარების თანხვედრა ამ საკითხავთა წარმოდგენის თვალსაზრისით, უკვე მათ სიძველეზე მიუთითებს. ოღონდ, ქართულში ამ სამი დღის განმავლობაში პირველი მეფეთას უფრო დიდი მონაკვეთი 1:1-დან 6:18-ის ჩათვლით იკითხება უწყვეტად, რომელიც სამივე შედარებით სრულ ქართულ ლექციონარშია წარმოდგენილი (კლებები განპირობებულია ხელნაწერთა ლაკუნებით).

სტრუქტურული და საკითხავის შინაარსის თვალსაზრისით სომხური და ქართული ლექციონარები *პირველი მეფეთას* ფარგლებში კიდევ ერთ დღეს, 2 ივლისს — კილობნის დაბრუნების დღესასწაულზე, ემთხვევიან ერთმანეთს, როცა იკითხება პირველი მეფეთა 6:19-7:2 მონაკვეთი. მაშასადამე, ეს საკითხავი ველარ აკმაყოფილებს უწყვეტი კითხვის კრიტერიუმს, თუმცა კვლავ დაცულია საერთოობის კრიტერიუმი. ქართულ-სომხურ

⁵⁶ თარხნიშვილი შესაძლებლად მიიჩნევს სომხური ლექციონარის დათარიღებას მე-6 საუკუნის პირველი ნახევრით (თარხნიშვილი 1994: 160-161).

⁵⁷ თარხნიშვილი მე-5 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს უთითებს (თარხნიშვილი 1994: 160).

⁵⁸ შესაძლოა, ეგერიას მოგზაურობაში და ქართულსა და სომხურ ლექციონარებში ლექციონარის არა ქრონოლოგიური, არამედ ლოკალური ვარიანტები იყოს ასახული. ამგვარი ვარაუდი მოვისმინეთ 2019 წელს ბონში ანა ხარანაულს, თინათინ ქრონცსა და Heinzgerd Brakmann-ს შორის გამართული დისკუსიისას.

რი ლექციონარების თანხვედრა იმას უნდა ნიშნავდეს, რომ 2 ივლისის საკითხავი ლექციონარში იუდეური კალენდრიდან გადმოღებულ დღესასწაულთან დაკავშირებით შეტანილი ერთ-ერთი უძველესი საკითხავია.

თუკი ამ ყოველივეს და, განსაკუთრებით, Lectio Continua-ს პრინციპს მივიღებთ მხედველობაში, 367-ე, 373-ე, 382-ე და 1070 საკითხავები, რომლებიც პირველ მეფეთას შეიცავენ დასაწყისიდან მეშვიდე თავის მე-2 მუხლის ჩათვლით, ლექციონარის უძველეს შრეს უნდა წარმოადგენდნენ.

გარდა ლექციონარის უძველესი შრის საკითხავებისა, დისერტაციის ფარგლებში შევისწავლეთ კიდევ ერთი 445-ე საკითხავი, რომელიც დიდმარხვის მეოთხე კვირის სამშაბათს იკითხება და მეშვიდე თავის მეორე მუხლს სწორედ იქიდან აგრძელებს, სადაც 2 ივლისის საკითხავი წყდება. საკითხავი შედარებით მოკლეა და ამავე თავის მე-13 მუხლით სრულდება. ამ საკითხავის საკვლევ მასალაში ჩართვა იმან გადაგვანწყვეტინა, რომ ლექციონარის სომხურ და ქართულ წყაროთაგან მხოლოდ ყველაზე გვიანდელში, პარიზის ლექციონარშია, წარმოდგენილი. ლატალის ლექციონარს ეს საკითხავი არ აქვს, კალისა კი ნაკლებია და განგების რაობაზე ვერაფერს ვიტყვით. ამკარაა, რომ იგი ლექციონარის შედარებით გვიანდელ შრეს მიეკუთვნება. ამან განსაზღვრა კიდევ მისდამი ჩვენი ინტერესი: ამგვარად შესაძლებლობა გვექნება სხვადასხვა ქრონოლოგიური შრის საკითხავების ტექსტების შეპირისპირებითი ანალიზით ლექციონარის შედგენის ისტორიას მივადევნოთ თვალი.

შესაბამისად, ამჯერად ჩვენ მხოლოდ ამ 5 საკითხავზე შევაჩერებთ ჩვენს ყურადღებას.

ქვემოთ თითოეულ საკითხავზე საუბრისას ცალ-ცალკე განვიხილავთ, როგორია ქართულ ლექციონარებში იმ დღის განგება, როცა პირველი მეფეთას საკითხავები იკითხება, რაც შესაძლოა ლექციონარის უძველესი და გვიანდელი პლასტების გასარჩევად ერთ-ერთ არგუმენტად გამოდგეს.

II.1.3 პირველი მეფეთას ქართული ვერსიების გამოცემები

პირველი მეფეთას ტექსტები, როგორც ბიბლიის ასევე ლექციონარის ვერსიები არაერთგზისაა გამოცემული როგორც ნაბეჭდი ასევე ელექტრონული სახით.

II.1.3.1 ბიბლიის გამოცემები

ბეჭდური გამოცემები

1. ელ. დოჩანაშვილი, მცხეთური ხელნაწერი (მეფეთა I, II, III, IV, ნემტა I, II, ეზრას I, II, III წიგნები), თბილისი: მეცნიერება, 1982 წ.

პირველი მეფეთას საბასეული ვერსიის დიპლომატური გამოცემა, მოამზადა ელენე დოჩანაშვილმა. გამომცემელი, დიპლომატური გამოცემის პრინციპების შესაბამისად, გამოცემულ ტექსტში ასწორებს მხოლოდ ორთოგრაფიულ შეცდომებს, რომელთაც კრიტიკულ აპარატში აფიქსირებს. გამოცემას ერთვის ტექსტის დახასიათება და საკუთარ სახელთა საძიებელი თითოეულ ფორმასთან შესაბამისი წიგნის თავისა და მუხლის მიითითებით.

2. ბიბლია: ძველი აღთქმა, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ტ. 1-2, თბილისი, 2017 წ.

გამოცემა საბოლოო პროდუქტია იმ პროექტისა, რომელიც ილია აბულაძის ხელმძღვანელობით დაიწყო. ამ პროექტის ფარგლებში მომზადდა ბიბლიის ხელნაწერთა აღწერილობა და პერიოდულად გამოიცა რვანგნეული, იერემიას, ეგვიპტის, აპოკრიფული წიგნების, ფსალმუნის გამოცემები.

ამავე პროექტის ფარგლებში მეფეთა წიგნების ტექსტზე მუშაობდა უჩა ცინდელიანი, რომელმაც მეფეთა წიგნების ქართული ვერსიების ისტორია შეისწავლა სადოქტორო დისერტაციის (ცინდელიანი 1967ა) ფარგლებში და წლების მანძილზე არაერთი სტატია მიუძღვნა მეფეთა წიგნების ტექსტის ისტორიისა თუ ენობრივ-სტილისტური საკითხების კვლევას: ცინდელიანი 1967ბ, 1971, 1973ა, 1973ბ, 1975ა, 1975ბ, 1976, 1980ა, 1980ბ, 1981, 1983, 1985, 1986, 1989, 1999, 2001). უჩა ცინდელიანის მთავარი დამსახურება იყო თარგმანის კვლევისას დედნის ისტორიის ადეკვატური გათვალისწინება. იგი მეფეთა წიგნების ტექსტზე მუშაობისას იყენებდა ბიბლიის ბრუკ-მაკლინის გამოცემას. თავის დისერტაციაში, პირველი და მეორე მეფეთას ქართულ ვერსიების წყაროთა ძიებისას, ხაზგასმით საუბრობს ბრუკ-მაკლინის გამოცემის უმთავრეს ღირსებაზე – მის კრიტიკულ აპარატზე: „ჩვენს ხელთაა უმდიდრესი აპარატურის (ე.ი. კრიტიკული აპარატი ნ.მ.) მქონე კემბრიჯული გამოცემა ბიბლიისა, რომელიც ითვალისწინებს სეპტანტის ყველა ცნობილ რედაქციასა თუ ნუსხას, ასევე, გარდა არაბულ-სლავურ-ქართული თარგმანებისა, მის

ყველა ცნობილ თარგმანს: სომხურს, სირიულს, კოპტურს, ეთიოპიურს და ბოლოს „ეკლესიის მამების“ წაკითხვებსაც კი ბიბლიურ ტექსტებიდან“ (ცინდელიანი 1967: 106). სწორედ, ამ კრიტიკული აპარატის წყალობით ცდილობდა *პირველი მეფეთას* ქართული ვერსიების ისეთი კითხვასხვაობების წარმომავლობის დადგენას, რომლებიც რალოფსის მიერ გამოცემულ *edicio major*-ში ვერ პოულობდა პარალელს.

გარდა იმისა, რომ უჩა ცინდელიანი იყენებდა ბრუკ-მაკლინის გამოცემას, მისი კვლევითი მუშაობის კიდევ ერთი მეთოდოლოგიური სიახლე იყო ტექსტის პლასტების იდენტიფიცირება მთარგმნელთა სტილისტური თავისებურებების გათვალისწინებით (ცინდელიანი 1975ა: 171-184).

სამწუხაროდ, უჩა ცინდელიანმა თავისი კვლევის დასრულება მეფეთა წიგნების გამოცემის სახით ვერ მოასწრო, თუმცა ბიბლიის სრული კორპუსის გამოცემაში სწორედ მის მიერ დადგენილი ტექსტებია შეტანილი (აბულაძე 2017: 797-1313). გამოცემას მაინც ეტყობა, რომ ბოლომდე არაა გათვალისწინებული გამომცემლის ნება და იგი გამოცემის საერთო პრინციპებსაა დამორჩილებული.

შესაბამისად, ბიბლიის 2017 წლის გამოცემაში *პირველი მეფეთას* ტექსტი დაბეჭდილია ოთხ სვეტად: I – FO, II – S, III – B, IV – Ja. თითოეულ სვეტს ერთვის თავისი კრიტიკული აპარატი. უჩა ცინდელიანის კვლევებიდან გამომდინარე, ტექსტის გამოცემა სხვაგვარ დაყოფას საჭიროებდა.

უჩა ცინდელიანი *პირველი მეფეთას* ტექსტის ისტორიის კვლევისას აჩვენებს FOSJa ვერსიების სიახლოვეს, რომელთაც A რედაქციაში აერთიანებს. A რედაქციას ორ ვრცელ (FOS) და მოკლე (Ja) ქვერედაქციად, ყოფს. მაგალითების დემონსტრირებისასაც FOS ხელნაწერთა ტექსტებს ერთად, ერთ სვეტში წარმოადგენს, ხოლო Ja-ს – მეორეში, საბოლოოდ კი ასკვნის: „მიუხედავად იმისა, რომ იერუსალიმური და ოშკური ტექსტები ამჟამად რედაქციულად სხვაობს, მათ გააჩნიათ ისეთი საერთო ნიშნებიც, რომლებიც ამ რედაქციების ერთი საერთო დედნიდან მომდინარეობაზე მიგვანიშნებს (ცინდელიანი 1967: 45)“ (ცინდელიანი 1967: 12-45). შესაბამისად, ჩვენი აზრით, FOSJa-ს ერთ ტექსტად თუ არ აღადგენდა, FOS-ს მაინც არ გაყოფდა ორ სვეტად.

ელექტრონული გამოცემები

1. <http://www.bible.ge/Manuscript/2win.htm>

გამოცემა ემყარება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა მიერ მომზადებულ სრული ქართული ბიბლიის პუბლიკაციის წინასწარ ტექსტს.

პირველი მეფეთას ტექსტი გამოცემულია ყველა ხელნაწერის მიხედვით. ერთვის კრიტიკული აპარატიც. გამოქვეყნებულია *პირველი მეფეთას* ოთხი ვერსია: FO, S, B და J.

2. წარმოადგენს მცხეთის ბიბლიის ელექტრონული გამოცემის ნაწილს

[http://titus.fkidg1.uni-](http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/at/mcat/mcat.htm?mcat238.htm#VT_Reg.I_(Sam.I)_1)

[frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/at/mcat/mcat.htm?mcat238.htm#VT_Reg.I_\(Sam.I\)_1](http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/at/mcat/mcat.htm?mcat238.htm#VT_Reg.I_(Sam.I)_1)

e Biblia Mxetica, The Old Georgian Old Testament According to The Mxeta Manuscript (On the basis of the edition by Elene Dočanašvili, Mxeturi xelnaçeri, Tbilisi 1981-1986), edited by Jost Gippert with contributions by Ana Kharanauli, Ketevan Datukishvili, Nana Loladze, Darejan Tvaltvaðze, Sopiko and Zurab Sarjveladze Frankfurt a/M, 1988-2005; TITUS version by Jost Gippert, Frankfurt a/M, 18.10.1998 / 1.6.2000 / 15.12.2002 / 15.10.2005 / 15.9.2007

თითოეულ მუხლთან ბმულითაა დაკავშირებული სეპტუაგინტას შესაბამისი მუხლები რალფსის გამოცემის მიხედვით.

3. წარმოადგენს ბაქარის ბიბლიის ელექტრონული გამოცემის ნაწილს

[http://titus.fkidg1.uni-](http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcg/cauc/ageo/bakar/bakar.htm?bakar016.htm#VT_Reg.I_(Sam.I))

[frankfurt.de/texte/etcg/cauc/ageo/bakar/bakar.htm?bakar016.htm#VT_Reg.I_\(Sam.I\)](http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcg/cauc/ageo/bakar/bakar.htm?bakar016.htm#VT_Reg.I_(Sam.I))

Biblia iberica Bacarii (The Bakar Bible), electronically prepared by Marika Abuladze, Nino Aptsiauri, Maguli Gambashidze, Irakli Garibashvili, Nestan Gudushauri, Cicino Guledani, Tinatin Jikurashvili, Nino Keburia, Eka Kvirkvelia, Ledi Kitsmarishvili, Tatia Labadze, Maia Maduashvili, Ketevan Mirzikashvili, Sopia Papiashvili, Zurab Sarjveladze, Sopia Shamugia, Mari Simonishvili, and Tamar Tushishvili, Tbilisi 1999 - 2015; TITUS version by Jost Gippert, Frankfurt a/M, 20.12.1999 / 1.6.2000 / 15.12.2002 / 20.3.2007 / 10.1.2016

II.1.3.2 ლექციონარის გამოცემები

ქართულ ლექციონარს, როგორც უმნიშვნელოვანეს კულტურულ ძეგლს, შესწავლისა და გამოცემის ხანგრძლივი ისტორია აქვს. არსებობს მისი არაერთი ბეჭდური თუ ელექტრონული გამოცემა.

ბეჭდური გამოცემები

ქართული ლექციონარის პირველი გამომცემლები იყვნენ კორნელი კეკელიძე და აკაკი შანიძე:

Кекелидзе 1912: Кекелидзе, К.С., Иерусалимский канонарь VII века : (Грузин. версия) / Прот. Корн. С. Кекелидзе. Тифлис: изд. архим. Назария, 1912 (скоропечатня С.М. Лосаберидзе). გამოცემა მხოლოდ კალენდარულ-ლიტურგიკულ ნაწილს ეთმობა ბიბლიური საკითხავები მხოლოდ მითითებულია.

აკაკი შანიძეს გამოცემული აქვს ქართული ლექციონარის ხანმეტი და ჰაემეტი ფრაგმენტები:

1. შანიძე, ა., ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპირი რეპროდუქცია / გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ. ძველი ქართული ენის ძეგლები; I თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1944;

2. შანიძე, ა., ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, თბილისი, 1923., გვ. 354-388.

უნდა დავასახელოთ ლექციონარის კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოცემა:

1. H. Goussen (ed.), *Über georg. Drucke und Handschriften die Festordnung und den Heiligenkalender des altchristlichen Jerusalems betreffend* (München-Gladbach: Kühlen, 1923).

გამოცემულია პარიზის ლექციონარის კალენდარული ნაწილი.

2. M. Tarkhnishvili (ed.), *Corpus scriptorum Christianorum orientaliū*; 188-189, 204-205: *Scriptores Iberici*; t. 9-10, 13-14. *Le grand lectionnaire de l'Église de Jérusalem (Ve-VIIIe siècle)*. Louvain: Secrétariat du Corpus SCO, 1959-1960.

გამოცემა ემყარება ქართული ლექციონარის ყველა მნიშვნელოვან (პარიზის, სინის, ლატალის, კალის, ხანმეტ და ჰაემეტ ლექციონარებს) ხელნაწერს, ოლონდ, კეკელიძის გამოცემის მსგავსად, აქაც სტრუქტურული ნაწილია გამოცემული ლათინური თარგმანით. თავად საკითხავების მხოლოდ დასაწყისი და დასასრულია მითითებული. გამოცემას ერთვის საკითხავების ინდექსი.

3. კ. დანელია, სტ. ჩხენკელი და ბ. შავიშვილი, ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. 1. ნაწ. 1. 1987 წ.; ტ. 1. ნაწ. 2. – 1997 წ.

ეს გამოცემა ლექციონარის გამოცემა მხოლოდ პირობითადაა, რადგან მასში დაბეჭდილია ძველი და ახალი აღთქმის საკითხავთა ტექსტი გაბმულად, სტრუქტურული ნაწილის გარეშე. ემყარება პარიზულ ხელნაწერს, თუმცა იშვიათად კალისა და ლატალის ლექციონართა ვარიანტებიც მითითებულია ხოლმე. თუ კალისა და ლატალის ლექციონარები საკითხავებით აღემატება პარიზის ლექციონარს, ან ამა თუ იმ საკითხავის ტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდება პარიზულისაგან, ისინი ცალკე, დანართ ნაწილშია გამოქვეყნებული. გამოცემას ერთვის ტექსტის ტექსტუალურ-ენობრივი ანალიზი ლექსიკონითურთ.

გამოცემულია ქართული ლექციონარის არაერთი ფრაგმენტი. ჩვენ მხოლოდ იმათ დავასახელებთ, რომლებიც პირველი მეფეთას ამა თუ იმ მონაკვეთს წარმოადგენენ:

1. კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ფრაგმენტის – MS. Add. 1890.1 (GEORGIAN MS. 3) – აღწერილობა, ტრანსკრიბირებული ტექსტი და რექტო გვერდის შავ-თეთრი ფოტო (Plate 5) გამოცემული აქვს რობერტ ბლეიკს კემბრიჯის ქართული ხელნაწერების აღწერილობაში:

Blake, R. P., *Catalogue of the Georgian Manuscripts in the Cambridge University Library. The Harvard Theological Review*, 25(3), Cambridge University Press: 1932, pp. 213-214, Plate 5.

2. ჩვენთვის საინტერესოა ლექციონარის ფრაგმენტების კიდევ ერთი გამოცემა:

ბერნარ უტიე, ძველი ქართული ლექციონარის ერთი ახალი ფრაგმენტი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები 5, თბილისი 2019, გვ. 175-185.

სტატიაში გამოქვეყნებულია არქეოგრაფიული ცნობები ქართული ლექციონარის გვიან აღმოჩენილი რამდენიმე ფრაგმენტის შესახებ ტექსტებითურთ. ჩვენთვის საყურადღებოა იერუსალიმის სომხური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში ერთ-ერთი სომხური ხელნაწერის საცავ ფურცლებად გამოყენებული ფრაგმენტი, რომელიც 488-ე საკითხავს შეიცავს. სამწუხაროდ, პუბლიკაციაში არ არის მითითებული არც ხელნაწერის ნომერი,

არც პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური აღწერილობა, თუმცა ფრაგმენტის მიხედვით გამოცემულია პირველი მეფეთას 17:1-16 მონაკვეთი.

ლილი ხევსურიანის, ლალი ჯღამაიასა და მანანა დოლაქიძის მიერ მომზადებულ კოლაციონირების რვეულებში ფრაგმენტი იერუსალიმის სომხური საპატრიარქოს № 207 ხელნაწერადაა შეტანილი, თუმცა ცხადი არაა, ეს უშუალოდ ამ ფრაგმენტის ნომერია, თუ სომხური ხელნაწერისა, რომლის საცავ ფურცლადაც ეს უკანასკნელია გამოყენებული.

3-4. პირველი მეფეთას კიდევ ორი ფრაგმენტია გამოქვეყნებული 2017 წელს გამოცემულ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პალიმფესტების კატალოგში: ქაჯაია, გაფრინდაშვილი, გულედანი, მიროტაძე, ჩიტუნაშვილი, ხოსიტაშვილი 2017: ქაჯაია ლ., გაფრინდაშვილი ხ., გულედანი ც., მიროტაძე ნ., ჩიტუნაშვილი დ., ხოსიტაშვილი ი., *ქართული პალიმფესტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – კატალოგი, ტექსტები, ალბომი*, თბილისი 2017.

Ge^{A-1695-1} შეიცავს 410-ე საკითხავის 16:2-8 მონაკვეთს (A-1695-1[#] (16:2–8): 114r), ხოლო Ge^{A-1390-2} – 488-ე საკითხავის 17:26-35 ფრაგმენტს (61v/col. a: 17:26-28; 60r/col. b: 17:33-35). საკითხავები გაშიფრულია ხათუნა გაფრინდაშვილის მიერ. ორივე ხელნაწერი ლექციონარის სრულ ხელნაწერებს შეიცავს, თუმცა ტექსტის გაშიფვრა და გამოცემა მხოლოდ შესაბამისად დამუშავებული ფოტოპირების მომზადების შემდეგ თუ იქნება შესაძლებელი.

ელექტრონული გამოცემები

ტიტუსის ბაზაზე ლექციონარის (მათ შორის პირველი მეფეთას) ორი ვერსიაა გამოცემული⁵⁹:

1. გამეორებულია დანელიას გამოცემა, ოღონდ ის, რაც დანელიას გამოცემაში დანართის სახით იყო მეორე ტომის ბოლოში გატანილი, აქ თავ-თავის ადგილზეა ჩასმული, ოღონდ ეს დამატებითი ნაწილები განსხვავებული ფერიტაა გამოყოფილი. მკით-

⁵⁹ ასევეა გამოცემული ახალი აღთქმაც, მაგრამ რადგან მას მეფეთა წიგნებთან კავშირი არ აქვს დანვრლებით აღარ წარმოვადგენთ. გამოცემა იხ. ბმულზე:

http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/lekt/perikop2/perik.htm?perik001.htm#Lect.Par._NT

ხველმა, სურვილისამებრ, შეიძლება ნახოს თითოეულ მუხლის ბერძნული ტექსტი რალფსის გამოცემის მიხედვით და საბას ვერსიის ტექსტი, რომლის ელექტრონული ვარიანტი დოჩანაშვილის გამოცემას ემყარება.

Lectionarium Hierosolymitanum Magnum Versioe georgica e codice Parisiensi (The Old Georgian Lectionary as contained in the Paris, Kal (Lagurka), Latal and Sinai (37) manuscripts, Pericopes from the Old Testament On the basis of the edition by K. Danelia, St. Čxenkeli and B. Šavišvili, *Kartuli lekcionaris parizuli xelnaçeri / Parižskaja rukopis' gruzinskogo lekcionarija*, tomi I, naçili 1, Tbilisi 1987 and tomi I, naçili 2, Tbilisi 1997 electronically edited by Jost Gippert, Berlin / Bamberg / Frankfurt a/M, 1988-2005; ARMAZI version by Jost Gippert, Frankfurt a/M, 21.2.2004 / 1.11.2005 / 21.3.2007)

გამოცემა იხ. ბმულზე:

[http://titus.fkidg1.uni-](http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/lekt/perikop1/perik.htm?perik041.htm#Lect.Par._VT_Ex._2_23)

[frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/lekt/perikop1/perik.htm?perik041.htm#Lect.Par._VT_Ex._2_23](http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/lekt/perikop1/perik.htm?perik041.htm#Lect.Par._VT_Ex._2_23)

2. გამოცემა წარმოადგენს თარხნიშვილისა და დანელიას გამოცემების კომბინირებულ ფორმას. უპირველეს ყოვლისა, გამოცემულია თარხნიშვილის კალენდარი, რომელიც მითითებების ნაცვლად შევსებულია დანელიას გამოცემიდან აღებული საკითხავებით. გამომცემელი ინარჩუნებს საკითხავთა თარხნიშვილისეულ ნომრებს. თუკი ლექციონარში არის მხოლოდ მითითება ამა თუ იმ ტექსტზე (განსაკუთრებით დსალმუნებზე და საგალობლებზე, საკითხავის შესაბამისი ტექსტის მხოლოდ ბმულია მითითებული, თუკი ლექციონარში კალენდარულ მითითებასთან ერთად ტექსტიც არის, შესაბამისი მონაკვეთი მოტანილია დანელიას გამოცემიდან და ბმულებით მითითებულია ქართულ ტექსტთა ის პარალელური ვერსიები, რომლებიც ამ საკითხავისთვის არსებობს და ძველი ბერძნული პარალელური ტექსტი რალფსის გამოცემის შესაბამისად.

Lectionarium Hierosolymitanum Magnum Versio georgica e codice Parisiensi (The Old Georgian Lectionary as contained in the Paris, Kal, Latal, and Sinai manuscripts On the basis of the edition by M. Tarnischvili, *Le grand lectionnaire de l'église de Jérusalem* (Ve - VIIIe siècle). Tome I-II, Louvain 1959 (Corpus scriptorum christianorum orientalium, 188 + 204 / Scriptores iberici, 9 + 13) with pericopes inserted from the editions by K. Danelia, St. Čxenkeli and B. Šavišvili, *Kartuli lekcionaris parizuli xelnaçeri / Parižskaja rukopis' gruzinskogo lekcionarija*, tomi I, naçili 1, Tbilisi 1987; tomi I, naçili 2, Tbilisi 1997 and (for the Kala = Lagurka ms.) K. Lortkipanize, *ᲘatoliᲔ epistoleta kartuli versiebi X-XIV sauᲕuneta xelnaçerebis mixedvit*, Tbilisi 1956, 15-31. electronically edited by Jost Gippert,

Berlin / Bamberg / Frankfurt a/M, 1988-2005; TITUS version by Jost Gippert, Frankfurt a/M, 21.2.2004 / 1.11.2005 / 21.3.2007 / 15.12.2013 / 19.6.2014 / 1.1.2021)

გამოცემა იხ. ბმულზე:

<http://titus.fkidg1.uni->

[frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/lekt/lektpar/lektp.htm?lektp001.htm#Lect.Par](http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/lekt/lektpar/lektp.htm?lektp001.htm#Lect.Par).

II.2. პირველი მეფეთას ძველ ქართულ ვერსიათა ტექსტუალური ტიპები

წყაროთა სიმცირის ფონზე, საკვირველიც კია ტექსტუალურ ფორმათა სიმრავლე, რაც პირველი მეფეთას შემთვევაში გვაქვს: ხუთი ბიბლიური ხელნაწერი სამ ჯგუფად იყოფა მათში შესული ტექსტების მიხედვით. დამოუკიდებელ ტექსტუალურ ჯგუფს ქმნის ლექციონარის ვერსიაც:

II.2.1 Ge^O – ოშკური ტიპი⁶⁰

ტექსტის მიხედვით OFS ხელნაწერები ერთ ჯგუფად ერთიანდება, რომელსაც დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, ოშკური ტიპის ტექსტი ვუწოდეთ. მკვეთრი ლუკიანური შტრიხების მატარებელია (მაგ., ლუკიანური მატებები 1:22; 17:2; 17:22; 17:38).

ამასთანავე, აქვს უმცროს მთარგმნელთა ალტერნატიული ვარიანტები, რომლებიც სხვადასხვა ჯგუფის (მათ შორის L -ის) ხელნაწერებშიცაა (108, 82, 731...) წარმოდგენილი:

2:3 και μη λαλειτε ὑψηλά (B V CII^{46c} 52 53⁰ a b 134 56 64 29 Bas Asc 2,247] *magnalia* Aeth; *excelsa* La¹¹⁵ La^{250 300 400ff 460}; *magnam orationem* Sa; *elata* Cyp Test 3,4; + εις υπερβολην 731 Ge ↓; + *in superbia* La^{410 419}; + ✕ *in magnitudine* Syh; + *in elatione* Syr^l; + εις σπεροχην (σπερρ.158) rel Diod Frag Reg 160: cf MT |]) ნუცა იტყვო მაღალსა გარდარეულად (↓) Ge

II App εις υπερβολην 731^{txt}] θ' εις σπεροχην 731^{mg} ↑ | σπεροχην] σ' ὑπερβολην 108 92 ↑ |

4:15 και οι ὀφθαλμοὶ αὐτοῦ ἐπανέστησαν (εβארსθησαν M^{mg} L 158 318 554^c Ge^L Sa; *intenti* La¹¹⁵]) თუალნი მისნი დადგომილ (↓) იყვნეს Ge^O ; და თუალნი მისნი დამძიმებულ (+ იყვნეს K) Ge^L

II App ἐπανέστησαν] σ' ἀπεστάθησαν 731(s nom) 92; ἐπεστάθησαν 108(s nom) ⁶¹

6:6 και ἵνα τί βαρύνετε τὰς καρδίας ὑμῶν და რაღსათუს დაიმძიმებო გულთა თქუენთა Ge^L] რაღსათუს განჰვიცხნებით (↓) Ge^{OF} ; რაღსათუს განათვიცხნებო (↓) გულთა Ge^S

⁶⁰ რადგანაც ტექსტის ეს ფორმა, ჯანაშვილისა (F) და საბას (S) ბიბლიებთან ერთად, ოშკის (O) ბიბლიაშიცაა წარმოდგენილი, ტექსტის ტიპმაც სახელწოდება ამ უკანასკნელის მიხედვით მიიღო. უშუალოდ ოშკის ბიბლიის ტექსტს აღვნიშნავთ Ge^O -თი, ხოლო ტექსტის ტიპს – Ge^O -თი.

⁶¹ ამ ეტაპზე ქართულ თარგმანში ვერ გავარჩევთ *ἀπεστάθησαν* და *ἐπεστάθησαν* ფორმებს.

დროდადრო Ge^O უმცროს მთარგმნელთა ვარიანტების ერთადერთი წყაროა. იმის საჩვენებლად, რომ მათემატიკური შიდაქართული არ არის და დედნიდან მომდინარეობენ, ვამოწმებთ პარალელური ადგილით, სადაც იგივე ქართული სიტყვაა გამოყენებული, ოღონდ ამჯერად მას მხარს ბერძნულ ხელნაწერებში დადასტურებული უმცროს მთარგმნელთა ვარიანტი უჭერს:

17:37 Πορεύου, και ἔσται Κύριος μετὰ σοῦ] გუაღე, განვედ მისა (> O) და უფალი იყავნ შენ თანა Ge^O ; განვედ მშულობით და უფალი იყავნ შენ თანა Ge^J ; განვედ და უფალი იყავნ შენ თანა Ge^L

cf

1:17 Πορεύου (βᾶδιζε 731(s nom)) εἰς εἰρήνην] ნარვედ მშულობით Ge^L ; გუაღე, ვილოდე მშულობით Ge^{OS} ; lac Ge^{FJ}

2:12 και οἱ υἱοὶ Ἠλὶ τοῦ ἱερέως υἱοὶ ლიმოი] და ძენი იგი (> O) ელისნი, ნაშობნი უძღებნი და უსჯულონი Ge^{OS} ; ხოლო ძენი ელისნი იყვნეს ბილწ Ge^L ; lac Ge^{FJ}

ლექსიკური წყვილიდან – უძღებნი და უსჯულონი – პირველი ლიმოი-ს თარგმანია, უსჯულონი-ს ეკვივალენტი კი 2:12-ის ბერძნულ ხელნაწერებში არსებულ უმცროს მთარგმნელთა ვარიანტებს შორის არ ფიქსირდება: 2:12 ლიმოი] α' ἀποστασίας σ' ἀνυπότακτοι 554^{comm}; σ' ἀποστασίας ἀνυπότακτοι 731 |

10:27-ის მარგინალური ვარიანტი – παρανομίας, რომელიც თეოდოტიონს მიენერება, ადასტურებს უსჯულო-უმჯულოებისანი ნაკითხვას. ოღონდ თუ მარგინალია 2:12-ში ტექსტში ინტეგრირების შემდეგ დუბლეტს ქმნის, 10:27-ში ტექსტუალურ ვარიანტს ენაცვლება:

10:27 και υἱοὶ λοιμοὶ εἶπαν] შვილნი უმჯულოებისანი (↓) შეურაცხ-ჰყოფდეს საულს და თქუეს Ge^O ; შეურაცხ-ჰყოფდეს საულს, იტყოდეს Ge^J

II app 10₂₇ ლიმოი] θ' παρανομίας 92 108; ἀποστασίας· ἀνυπότακτοι· παρανομίας 731(s nom)

უნდა აღინიშნოს, რომ ეს იკითხვისები არც სხვა ქართულ ვერსიებში დასტურდება და პარალელი არც სომხურში აქვთ.

Ge⁰-ს შიდაქართული კონტამინაციაც უნდა განეცადა. ამას მოწმობს მთელი რიგი დუბლეტებისა, რომლებსაც ერთი ბერძნული ლექსემის ორი სხვადასხვა ქართული თარგმანი ქმნის. დუბლეტური წყვილის წევრები ხან ერთმანეთს ენაცვლებიან (ხანდახან ერთსა და იმავე მუხლში ან მეზობელ მუხლებშიც კი), ხან კი ორივე ერთადაა გამოყენებული, რაც დუბლეტს ქმნის:

ἡμέρα, ავ, ἡ: უამი – დღე

1:4 *καὶ ἐγενήθη ἡμέρα*] და ვითარცა მოვიდა **უ[ამი] და დღე** Ge⁰; და ვითარცა მოვიდა **დღე** Ge^S; lac Ge^F|

25:8 *ὅτι ἐφ' ἡμέραν ἀγαθὴν ἤκομεν*] რამეთუ **უამსა (+ და FS) დღესა** კეთილსა მომთხუეულ (მი- S) ვართ Ge⁰|

ψάλλω: სახიობა – გალობა

16:16 *εἰδὸτα ψάλλειν (+ τω (pr en 318) κυρια L 158 318 554 La^M Ge^O) ἐν κινύρα*] რომელმან ივლიის **სახიობად გალობათად** უფლისათად ქნართა Ge^O

16:18 *καὶ αὐτὸν εἰδὸτα ψαλμὸν (ψαλλειν A V 247 L a b d^{F106} 554 707: cf MT; ψαλειν 106; + bene Sa^B Ge^O)*] რომელი კეთილად **გალობდა სახიობასა** უფლისასა მეცნიერებით Ge^O

πόλεμος, ὁ: ლუანლი – ბრძოლა

17:(13) *καὶ ἐπορευθήσαν ... εἰς τὸν πόλεμον*] და წარვიდეს ... **ლუანლსა მას ბრძოლისასა** Ge^O

17:(28) *ὅτι ἐνεκεν τοῦ ἰδεῖν τὸν πόλεμον κατεβήs*] მოხუედ (მოსრულ ხარ S) აქა ხილვად **ლუანლსა ბრძოლისასა** Ge^O

29:9 *Ὅχι ἤξει μεθ' ἡμῶν εἰς πόλεμον.*] ნუ მოვალნ დავით ჩუენ თანა **ლუანლსა ამას ბრძოლისასა** Ge^O

Ge^S ის ტექსტი მე-17–მე-18 საუკუნეების მიჯნაზე სომხური და ლათინური ტექსტების ნაბეჭდი გამოცემების მიხედვით გაასწორა სულხან-საბა ორბელიანმა.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, თუ რამდენად რთული ისტორიის მქონე ტექსტია წარმოდგენილი ამ ხელნაწერებში, რომელიც ერთი მხრივ სხვადასხვა უცხოური წყაროს გავლენასაც მოწმობს და, მეორე მხრივ, შიდაქართულ კონტამინაციასაც.

II.2.2 Ge^L – იერუსალიმური ტიპი

ტექსტი, რომელიც ერთ იერუსალიმურ ხელნაწერში – Jer-113-შია – წარმოდგენილი, გაცილებით მოკლეა, ვიდრე სხვა ქართულ ვერსიებსა თუ ბერძნულ წყაროებში დაცული პირველი მეფეთას ტექსტები. გამოვყოთ ამ ტექსტუალური ფორმის რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი:

1. პარალელები აქვს ოშკური ტიპის ტექსტთან:

17:4 ἀνήρ] + unus Hipp Dav 7,4 Ge^{OJ} | δυνατὸς] > Ge^L; μεσάζων Ge^L (↓) | ἐκ] + παντος (> Ge^O) του λαου L 245^s Ge^O (sed hab Compl) | παρατάξεως] > Aeth Ge^{OJ} |

II app δυνατὸς] ἀμεσσαῖος 93(s nom); α' (ὁ 243-731) μεσάζων 108 243(ind ad 3 αυλων)-731(s nom; ind ad 3 αυλων) 92 | – καὶ ἐξήλθεν ἀνὴρ δυνατὸς ἐκ τῆς παρατάξεως τῶν ἀλλοφύλων]

და გამოვიდა კაცი ერთი ერისა მისგან უცხოთესლთაჲსა, კაცი **მჳნქ** (πολεμιστής) და ძლიერი (δυνατὸς) და ქველი (εὐπορος) Ge^O; და გამოვიდა კაცი ერთი შორის უცხოთესლთა მათ **მჳნე** (πολεμιστής), ძლიერი (δυνατὸς) და ქველი (εὐπορος) Ge^L; და გამოვიდა კაცი განწყობილისაგან უცხოთესლთაჲსა Ge^L

ეს შემთხვევა სრულყოფილად წარმოაჩენს Ge^O-სა და Ge^L-ს შორის არსებულ მიმართებას. ერთი მხრივ თითოეულ მათგანს აქვს საზიარო იკითხვისები სხვადასხვა ტექსტუალური ტიპის ბერძნულ წყაროებთან (δυνατὸς] > Ge^L; μεσάζων Ge^L (↓) | ἐκ] + παντος (> Ge^O) του λαου L 245^s Ge^O (sed hab Compl)), მეორე მხრივ, კი საზიარო სამმაგი ეპითეტით (**მჳნქ** (πολεμιστής) და ძლიერი (δυνατὸς) და ქველი (εὐπορος)) აღწერს გოლიათს, რაც მათ შიდაქართულ ურთიერთგავლენაზე მეტყველებს.

2. ტექსტს აქვს ისეთი ბერძნული წყაროებიდან მომდინარე იკითხვისები, რომლებიც დანარჩენ ქართულ ვერსიებში არ ფიქსირდება ან განსხვავებულად არიან ნათარგმნი, რაც გამორიცხავს შიდაქართულ გავლენას:

18:1 και 1° – ὡς] + εισηλθε (ηλθε 554) Δαυιδ προς Σαουλ και L f 55 158 554^{mg} (≠MT) Ge^{IL} | – και εγενετο ὡς და ვითარცა Ge^O] ვითარცა შევიდა დავით საულისსა Ge^L; და შევიდა დავით წინაშე საულისსა და Ge^L |

18:6 χορεύουσαι] + και (> 318 Chr; + αι 82) αδουσαι L 158 318 554 Ge^{IL} Chr Dav 1,2 – καὶ ἐξήλθον αἱ χορεύουσαι εἰς συνάντησιν Δαυὶδ და გამოეგებვოდა მათ მძნობარი შემთხუევად Ge^O] გამოეგებვოდა მათ მძნობარი და შემღერი შემთხუევად Ge^L; და გამოვიდოდა მძნობრები და მაქებელები მიგებებად Ge^L |

3. იერუსალიმური ტიპის ტექსტის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია გამეორებული სიტყვებისა და ფრაზების გამოტოვების ტენდენცია:

მაგალითად, 17:(19) და 17:(21) მუხლები Ge^J -ში გამოტოვებულია, რადგან იმავე ინფორმაციას გადმოსცემენ, რაც 17:2-3-შია მოთხრობილი:

17:(19) και Σαουλ αυτος και πας ανηρ Ισραηλ εν τη κοιλαδι της δρυος πολεμουντες μετα των αλλοφυλων] > Ge^J

17:(21) και παρεταξαντο Ισραηλ και οι αλλοφυλοι παραταξιν εξ εναντιας παραταξεως] > Ge^J
cf

17:2 και Σαουλ και οι άνδρες Ἰσραήλ συνάγονται και παρεμβάλλουσιν ἐν τῇ κοιλάδι· οὗτοι και παρατάσσονται εἰς πόλεμον ἐξ ἐναντίας ἀλλοφύλων.

17:3 και ἀλλόφυλοι ἴστανται ἐπὶ τοῦ ὄρους ἐνταῦθα, και Ἰσραήλ ἴσταται ἐπὶ τοῦ ὄρους ἐνταῦθα, και ὁ ἀπλὼν ἀνὰ μέσον αὐτῶν.

როგორც ჩანს, Ge^J -ის ტექსტის რედაქტორი, იმისათვის, რომ ტექსტი უფრო მოქნილი გახადოს, აკლებს გამეორებულ მონაკვეთებს.

როგორ შეიძლება ამ ყოველივეს ინტერპრეტირება? რადგანაც Ge^O -სა და Ge^J -ს აქვს საზიარო იკითხვისები, ისინი საერთო წყაროდან უნდა მომდინარეობდნენ. Ge^J -ს ავტორი ტექსტის შემოკლებისას და გამართვისას იყენებდა ბერძნულ წყაროს, შესაძლოა, ტექსტის შემოკლების ინსპირაცია ამ ბერძნული წყაროს გავლენაც იყოს. *პირველი მეფეთას* იერუსალიმურ ტექსტუალურ ტიპსაც აქვს L ტრადიციის იკითხვისები.

II.2.3 Ge^B – ბაქარის ბიბლია

ტექსტუალური ტრადიციის თვალსაზრისით, არც *პირველი მეფეთას* ბაქარისეული ვერსია წარმოადგენს გამონაკლისს, ისიც ლუკიანურ ტრადიციას მიეკუთვნება, მაგრამ, ქართული ბიბლიის ისტორიის მკვლევართათვის კარგად ცნობილი ფაქტია, რომ ბაქარის ბიბლიაში დაცული ტექსტი შესწორებულია სლავურის მიხედვით და ზოგიერთი წიგნი (მაგ., *ესთერი*, *მაკაბელოთა წიგნები* და ა.შ.) სულაც ხელახლაა თარგმნილი სლავურიდან. მისი ღირებულება სეპტუაგინტას ტექსტის ისტორიისათვის არც თუ განსაკუთრებულია (ქერციკიძე 2010: 34-41).

II.2.4 Ge^L – ლექციონარის ვერსია⁶²

გაცილებით მარტივი სურათი გვაქვს ლექციონარში წარმოდგენილი საკითხავების შემთხვევაში. ლექციონარის ტექსტი განსხვავდება ზემოჩამოთვლილ ტექსტუალურ ფორმათაგან და დამოუკიდებელ თარგმანს წარმოადგენს. ამავეს ასკვნის უჩა ცინდელიანიც თავის საკანდიდატო დისერტაციაში, რომელიც პირველ და მეორე მეფეთა ნიგნებს შეეხება (ცინდელიანი 1967: 47). იგი არ ავლენს რეცენზირებისა და უცხოენოვან წყაროთა მიმართ გადამუშავების ნიშნებს. ბერძნულთან შედარებამ აჩვენა, რომ პირველი მეფეთას ლექციონარში შესული საკითხავები ლუკიანური ტექსტის თარგმანს წარმოადგენს.

⁶² Ge^L აღნიშნავს ლექციონარის ტექსტუალურ ტიპს, ხოლო Ge^L – ამ ჯგუფის ერთ-ერთ ხელნაწერს – ლატალის ლექციონარს.

II.3 პირველი მეფეთას ძველი ქართული ვერსიების როლი სემპტუაგინტას ტექსტის ისტორიისათვის

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერ კიდევ 1967 წელს თავის დისერტაციაში უჩა ცინდელიანმა დაასკვნა, რომ პირველი მეფეთას ქართული ვერსიები შეიცავენ ბერძნულიდან მომდინარე ლუკიანური რეცენზიის ფენას: „ამრიგად, ბერძნული და ქართული პარალელური ტექსტების შედარებამ ცხადყო ქართულში ლუკიანეს რეცენზიისეული ფენის არსებობა. ნათელი გახდა აგრეთვე ისიც, რომ ქართულ რედაქციებში წარმოდგენილი ლუკიანეს რეცენზიისეული ფენა და მასში დადასტურებული ბერძნიზმების უმრავლესობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რაც, თავის მხრივ, ერთხელ კიდევ ამტკიცებს ამ ნაწილში ქართული ტექსტის უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარეობას (ცინდელიანი 1967ა: 99).

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, იმის დადგენა, თუ *L* ტექსტის ისტორიის რომელ საფეხურს წარმოადგენენ პირველი მეფეთას ლექციონარში შესული საკითხავები, რამდენად ინტენსიურად წარმოადგენენ ჰექსაპლურ მასალას თუ ლუკიანური ტექსტის სხვადასხვა ქრონოლოგიური სუბსტრატის ვარიანტებს.

თუ გავითვალისწინებთ იმ ვარაუდს, რომ *L* ტექსტის ჰექსაპლარიზაცია ეტაპობრივად ხდებოდა და საბოლოო ფორმა მე-4 საუკუნის ბოლოს მიიღო, ჩვენთვის საინტერესოა, ჰექსაპლარიზაციის რომელი ეტაპია ასახული ქართულში და არის თუ არა ქართულ ვერსიებში წინარეჰექსაპლური ებრაიზმები. ამგვარად გამოჩნდება, რა ადგილი ეკავა ქართული თარგმანის ბერძნულ დედანს პირველი მეფეთას ტექსტის ისტორიაში და რამდენადაა შესაძლებელი ქართული თარგმანის მეშვეობით თავდაპირველი თარგმანის აღდგენა.

როგორც არ უნდა იყოს შედეგი, ქართული თარგმანი და ლექციონარის ვერსია არის *L* ტექსტის ერთ-ერთი ფორმის ფიქსაცია, რომელმაც შესაძლოა ახალი არგუმენტები გააჩინოს ლუკიანური ტექსტის ინტერპრეტაციის პროცესში.

III. თავი. პირველი მეფეთას ქართულ ლექციონარებში შესული საკითხავების მიმართება ბერძნულ წყაროებთან

ჩვენი კვლევის ფარგლებში

1. შევეცადეთ პასუხი გაგვეცა კითხვებზე: ლექციონარის საკითხავები დამოუკიდებლად შესრულებული თარგმანებია თუ და ბიბლიის უკვე არსებული თარგმანიდანაა ამოღებული.

2. ძირითადი მაინც იმის დადგენა იყო, თუ რა მიმართება აქვთ პირველი მეფეთას ლექციონარის საკითხავთა ქართულ ვერსიებს მეფეთა წიგნების ბერძნულ ტრადიციასთან, რომელ ტექსტუალურ ტიპთან თუ ხელნაწერთა ოჯახთან ავლენს მეტ სიახლოვეს.

3. ამ თვალსაზრისით ყველა საკითხავი ერთნაირია, თუ განსხვავებულია სხვადასხვა პერიოდის საკითხავები.

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას 1:1-7:13-ის მიხედვით შევეცადეთ (367: 1 მეფ. 1:1-2:11a; 373: 1 მეფ. 2:11b-3:21; 382: 1 მეფ. 4:1-6:18; 1070: 1 მეფ. 6:19-7:2a; 445: 1 მეფ. 7:2b-7:13). ჩვენი არჩევანი, იმითაა განპირობებული, რომ *პირველი მეფეთას* ლექციონარის ხუთ საკითხავად გადანაწილებული ეს გაბმული მონაკვეთი, Lectio Continua-სა და საერთოობის კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ლექციონარის უძველესი შრის საკითხავებსაც შეიცავს (1:1-7:2a) და შედარებით გვიანდელსაც (7:2b-13), რაც სხვადასხვა ქრონოლოგიური შრეების სხვადასხვა კრიტერიუმებით (საკითხავთა ტექსტუალური ტიპი, წარმომავლობა, თარგმანის ტექნიკა და სტილი...) შედარება-შეპირისპირების საშუალებას მოგვცემს.

III.1. პირველი მეფეთას ვარიანტული იკითხვისების ხასიათი (*manuscripta ponderantur non numerantur* – ვარიანტები უნდა აიწონოს და არა დაითვალოს)

ზემოთ ჩამოთვლილ საკითხთაგან უმთავრესი მაინც ლექციონარის საკითხავების ბერძნულთან მიმართების დადგენა და ჩვენება იყო. პირველი მეფეთას ყველა ძველი ქართული ვერსია, მათ შორის ლექციონარის საკითხავებიც, ყველაზე მეტ სიახლოვეს *L*

ჯგუფის ხელნაწერებთან ავლენს, ოღონდ სხვადასხვა ხარისხით⁶³. ჩვენი მიზანი ყველაზე რელევანტური მასალის ანალიზით ამ სიახლოვის დემონსტრირებაა.

თარგმანის წარმომავლობაზე დასკვნა თარგმანისა და დედნის საზიარო და საპირისპირო ვარიანტების სანდო სტატისტიკურ ანალიზს უნდა დაემყაროს. ანალიზის სანდოობას კი ნამდვილად ღირებული ვარიანტების გამორჩევა განაპირობებს.

ჩვენც, ტექსტოლოგიაში გავრცელებული პრინციპის შესაბამისად⁶⁴, ვარიანტებს კი არ დავითვლით, არამედ ავწონით.

საკუთარი სახელები

საკუთარ სახელებს *L* ჯგუფის ხელნაწერებში განსხვავებული დანერილობა აქვთ. ვარიანტთა სიმრავლე განსაკუთრებით თვალშისაცემია ხმოვნების, როგორც მარტივის, ასევე დიფთონგების დანერილობის შემთხვევაში. ახასიათებს იტაციზმები. თუმცა ერთიან სურათს არც ამ ჯგუფის ხელნაწერები აჩვენებენ და ხშირად სხვადასხვანაირ წაკითხვას გვთავაზობენ. მიმართებაზე მსჯელობა ამ კრიტერიუმის მიხედვით არც თუ სანდოა, რადგან ქართული ტექსტის ტრანსმისიის პროცესში უპირველეს ყოვლისა სწორედ უცხო და იშვიათი საკუთარი სახელები იცვლება ხოლმე. ასე ვთქვათ, ხდება მათი გაქართულება, რაც მაგ., გამოიხატება გემინირებული თანხმოვნების ერთი თანხმოვნით ჩანაცვლებაში, ხმოვანთკომპლექსების გამარტივებაში, ხშირია ამოკითხვის შეცდომებიც. თავის მხრივ, საკუთარი სახელები არც ქართული თარგმანის შესრულების დროიდან საკმაოდ დაშორებულ მე-10 და შემდგომი საუკუნეების ბერძნულ ხელნაწერებშია უცვლელად შემორჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ და *L* ჯგუფის ხელნაწერთა შორის გარკვეული მსგავსების დანახვა ახლაც შეიძლება, ამ ეტაპზე საკუთარ სახელებს წარმომავლობაზე მსჯელობისას არ გავითვალისწინებთ.

⁶³ იმავეს ასკვნის უჩა ცინდელიანიც თავის დისერტაციაში: „დასკვნა: ამრიგად, ბერძნული და ქართული პარალელური ტექსტების შედარებამ ცხადყო ქართულში ლუკიანეს რეცენზიისეული ფენის არსებობა. ნათელი გახდა აგრეთვე ისიც, რომ ქართულ რედაქციებში წარმოდგენილი ლუკიანეს რეცენზიისეული ფენა და მასში დადასტურებული ბერძნობების უმრავლესობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რაც, თავის მხრივ, ერთხელ კიდევ ამტკიცებს ამ ნაწილში ქართული ტექსტის უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარეობას (ცინდელიანი 1967: 99).“

⁶⁴ *manuscripta ponderantur non numerantur* – ხელნაწერები უნდა აიწონოს და არა დაითვალოს (West 1973: 49)

გრამატიკა

გრამატიკული ცვლილებები ძალიან ფართო სპექტრს მოიცავს: არტიკლის კლება-მატება; სახელთა ბრუნვის, რიცხვისა და სქესის ცვლილება; ზმნების დროის, კილოს, გვარის, პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებული ფორმები. ზმნის პირიანი და უპირო კონსტრუქციების შენაცვლება. თუმცა გრამატიკული მსგავსება-განსხვავებები ტიპოლოგიურად ისეთ განსხვავებულ ენებზე შესრულებულ სათარგმნ და თარგმნილ ტექსტებში, როგორცაა ბერძნული და ქართული, ხშირად არც თუ საიმედო კრიტერიუმია ქართული თარგმანის მომდინარეობაზე მსჯელობისას. გრამატიკულ მახასიათებელთა გადმოტანაზე დასაკვირვებლად აუცილებლად გასათვალისწინებელია თარგმანის ტექნიკა.

არტიკლის კლება-მატება

ქართველოლოგთა შორის დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა ქართულს არტიკლის კატეგორია. ძველი ქართული ენის ნაწევარი არტიკლადაც რომ ჩაითვალოს, ბერძნული არტიკლი და ქართული ნაწევარი მაინც განსხვავებული ოდენობებია და ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ქართული, ასე ვთქვათ, თვითნებურად, ბერძნულისაგან დამოუკიდებლად აკლებს ან ამატებს ნაწევარს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში არც ნაწევრის კლება-მატების ამოცნობაა შეუძლებელი, როდესაც მაგ., სწორედ არტიკლის მეშვეობით ამოიცნობა მიზნის ინფინიტივი. თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, არტიკლის კლება-მატებათა უდიდეს ნაწილში, შეუძლებელია იმის განსაზღვრა, რა იყო ქართულის დედანში.

სქესი

შეიძლება ითქვას, ამ კატეგორიაზე არც ღირს შეჩერება, რადგან ქართულს სქესის კატეგორია არასოდეს ჰქონია.⁶⁵ ერთადერთი გზა გრამატიკული სქესის გადმოსაცემადაც კი ქართულში არის ლექსიკა (მაგ., მონა ~ მხევალი), თუმცა ესეც ძალიან შეზღუდულ ლექსიკური ერთეულების ფარგლებში. განსაკუთრებით ძნელად გასაგები ტექ-

⁶⁵ ქართული თარგმანის ელინოფილურ ეტაპზე იყო სქესის გრამატიკულად გამოხატვის მცდელობა, რაც დედნის ადეკვატურად ასახვის სურვილით იყო ნაკარნახევი. თუმცა ეს გრამატიკული კაზუსი ერთი მთარგმნელობითი სკოლის ფარგლებს ვერ გასცდა. სქესს ვერც ანტონ კათალიკოსისა და მისი სკოლის მცდელობამ დაუმკვიდრა ადგილი ქართულის გრამატიკულ სისტემაში.

სტის გასამართლებლად შესაძლოა მთარგმნელმა ბერძნულ ნაცვალსახელს საკუთარი სახელი შეუნაცვლოს და ამან მიგვახვედროს ქართულის დედანში მამრობითი სქესის ნაცვალსახელი იყო, თუ მდედრობითისა. თუმცა ასეთი თავისებურება ლექციონარის ვერსიას არ ახასიათებს.

ბრუნვა

ბრუნვის კატეგორიის გადმოტანაზე დაკვირვებაც ხშირ შემთხვევაში არ იძლევა ხელშესახებ შედეგს, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ თავად ბერძნულშიც არაა ხშირი მოვლენა და ცალკეული ხელნაწერის შეცდომასთან უფრო გვაქვს ხოლმე საქმე. დაზუსტება არც იმას სჭირდება, რომ ბერძნული და ქართული ბრუნვის სისტემისა თუ ბრუნვათა ფუნქციების თვალსაზრისითაც არ არიან იდენტურნი. განსაკუთრებით, სირთულეს ქმნის ხოლმე ქართულისათვის უცხო მნიშვნელობის მქონე წინდებულები, რომლებიც რამდენიმე ბრუნვას მართავენ. რადგანაც ქართულს მისთვის უცხო შინაარსის მქონე წინდებულის სხვადასხვა ნიუანსის გადმოსაცემად ჯერ ეკვივალენტი დადგენილი და მიგნებული არ აქვს, ბერძნულში წინდებულთან შეწყობილი სახელის ბრუნვის ცვლილება ქართულში ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად არ აისახება.

რიცხვი

გენეტიკურ კავშირზე მსჯელობისას ასეთივე არასანდო კრიტერიუმია რიცხვიც, რადგან ხშირად ესა თუ ის სახელი მხოლოდ ფორმალურადაა რომელიმე რიცხვის ფორმა, რეალურად კი დაცლილია რიცხვის გაგებისაგან და, ასე ვთქვათ, ზოგადი რიცხვის მნიშვნელობისაა. ბერძნულსა და ქართულს შორის ფორმალური შესატყვისობა დარღვეულია ხოლმე მაშინაც, როდესაც სახელის სიმრავლე ფორმასთან ერთად რიცხვითი სახელითაცაა გამოხატული, ქართული ასეთ შემთხვევაში მხოლოდობით ფორმას ანიჭებს უპირატესობას. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სახელის გრამატიკული შინაარსიც, აბსტრაქტულ თუ კრებით სახელებს რიცხვის კატეგორია არ აქვთ და ფორმის ცვლილება გრამატიკულ შინაარსს არ ცვლის.

ზმნური კატეგორიები

უფრო სისტემურია ზმნური კატეგორიების ცვლილება, მედიალური და პასიური ფორმების შენაცვლება; ბრძანებითის, კავშირებითისა და ნატვრითი კილოს ფორმათა

შენაცვლება; ისტორიული ანმეოსა და აორისტის თუ იმპერფექტისა და აორისტის ფორმათა მონაცვლეობა. ქართულში განსაკუთრებით რთულია ბერძნული კავშირებითის, ნატვრითისა და ბრძანებითის გარჩევა, რადგან ეს ფორმები ხან ერთი და იმავე კავშირებითის მწკრივებით გადმოიცემა, ხან კი საქმე გვაქვს გრამატიკულ ომონიმიასთან. ქართულს, რა თქმა უნდა, აქვს მედიუმისა და პასივის, თუ იმპერფექტისა და აორისტის გარჩევის საშუალებანი, თუმცა, უპირველეს ყოვლისა, თარგმანში მათი კანონზომიერი შესატყვისები უნდა დადგინდეს, თანაც თითოეული ზმნის ფორმანარმოების შესაძლებლობათა გათვალისწინებით (მაგ., არსებობს პირნაკლი, მწკრივნაკლი ზმნები, რიცხვში მონაცვლე ზმნები და ა.შ. ზოგიერთი ზმნას აქვს უღლების არასრული სისტემა და ა.შ.), თუმცა არც ამის შემდეგ გაადვილდება ბერძნული ნატვრითი, ბრძანებითი და კავშირებითი კილოს გარჩევა ქართულში. ასეა თუ ისე, ხშირად ზმნურ ფორმათა მიმართება ქართულსა და ბერძნულს შორის არაა ცალსახა.

ზმნური ფორმების პირი და რიცხვი, რა თქმა უნდა, უფრო ადვილი გასარჩევია თარგმანში, მაგრამ მათი ცვლილებაც ზმნასთან დაკავშირებული სახელის რიცხვისა და პირის ფორმაზეა დამოკიდებული, რასაც ისევ სახელებში ზოგადი მრავლობითისა და მხოლობითის პრობლემასთან მივყავართ. გარდა ამისა, რიცხვის ცვლილება კონტექსტითაც შეიძლება იყოს განპირობებული. მაგ., *პირველი მეფეთას* პირველი თავის დასაწყისში საუბარია იმაზე, რომ ელკანა თავის ოჯახთან – **ცოლებთან და შვილებთან** – ერთად ყოველ წელს მიდიოდა არმათემიდან სელომში მსხვერპლის შესაწირად. და ახლაც აღვიდა და შესწირა მსხვერპლი და ჭამა და ა.შ. აქ ზმნების რიცხვი შესაძლოა დედნისგან დამოუკიდებლადაც, გადაწერის პროცესშიც, შეიცვალოს, რადგან ცხადია, რომ ყველა ამ მოქმედებას ელკანასთან ერთად მისი ჯალაბობაც ასრულებს.

ზმნურ ფორმებთან დაკავშირებულია გრამატიკული შენაცვლების კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც *L* ტიპის ტექსტის მახასიათებლადაა მიჩნეული: როდესაც პარატაქსი – ბერძნულისათვის ებრაულის გავლენით თავსმოხვეული სინტაქსური სტრუქტურა – დაძლეულია ბერძნულისათვის უფრო ბუნებრივი, მიმღეობური კონსტრუქციებით. ამ შემთხვევაშიც ხშირად შეუძლებელია ხოლმე იმის გადაჭრით თქმა, რა იყო ქართულის დედანში, რადგან უპირო კონსტრუქციები ქართული ენისათვის უცხოა და მათი გადმოტანა მთარგმნელისათვის გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, ბერძნულსა და ქართულს შორის უპირო კონსტრუქციების გადმოტანა ცალსახად უპირო კონსტრუქციებითვე არ ხდება და ბერძნულისათვის ბუნებრივ მიმღეობებს ქარ-

თულში ბიბლიის სტილით ნაკარნახევი, ქართულისათვის უფრო იოლად დასაძლევად, პარატაქსული კონსტრუქციები ენაცვლება ხოლმე. რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა ქართულის დედანში იყო L ტიპის ტექსტისათვის დამახასიათებელი სტილისტური ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი უპირო კონსტრუქცია, მაგრამ ქართულმა გადაუხვია თავისი დედნის ჩვენებას და პარატაქსით გადმოიტანა, რითაც თავისდაუნებურად აღადგინა L ტიპის ტექსტის ავტორის მიერ დაწუნებული პარატაქსული კონსტრუქცია.

გარდა ამისა, ისტორიული ანმყო, რომელიც პირველი მეფეთას სეპტუაგინტას ტექსტის მახასიათებელს წარმოადგენს, L -ში წარსული დროის ფორმებითაა ჩანაცვლებული. წარსულის მწკრივებია ქართულშიც, თუმცა ამგვარი ცვლილება მთარგმნელს დედნისაგან დამოუკიდებლადაც შეიძლება განეხორციელებინა, მიუხედავად იმისა, რომ ქართულშიც თხრობისას, განსაკუთრებით ზღაპრებში, გარკვეული სტილისტური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ანმყოს მწკრივის ფორმები წარსულის მოვლენების აღსაწერად გამოიყენება.

ტრანსპოზიცია

სეგმენტთა რიგის ცვლაც არაა L ჯგუფის ხელნაწერთათვის ხელშესახები მახასიათებელი და უმეტეს შემთხვევაში ან ცალკეულ ხელნაწერებში ვლინდება ხოლმე ან სტილითაა ნაკარნახევი (მაგ., შემასმენლისა და ქვემდებარის დაახლოება).

ლექსიკური შენაცვლება და მატება

პირველი მეფეთას ლექციონარის საკითხავების წარმომავლობის კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ შენაცვლებებსა და მატებებს, განსაკუთრებით კი მანერაიზებელთ, ენიჭება, რომლებიც ტიპოლოგიურად ერთ ჯგუფს ქმნიან და ამა თუ იმ ტექსტუალური ტიპის (OLC) ტრანსმისიის საწყის ეტაპზე ალტერნატიული თარგმანების ვარიანტებად უნდა ყოფილიყვნენ განფენილი ხელნაწერთა მარგინალიებზე. დროთა განმავლობაში გადანერისას ეს ალტერნატიული მარგინალური ვარიანტები ტექსტში ინტეგრირდებიან. ტექსტის თავდაპირველ ხელნაწერ გამოცემა(ებ)ში ეს მარგინალური ვარიანტები ტექსტის კრიტიკული აპარატის ფუნქციას ასრულებდა, რომელშიც დოკუმენტირებული იყო ალტერნატიული თარგმანები და პარალელური ვარიანტები და რომელთაც, შესაძლოა, ტექსტის ეგზეგეზის ფუნქციაც ჰქონოდა. დროთა განმავლობაში მარგინალური ვარიანტები გადამწერთა მიერ გააზრებულ იქნა ტექსტის სწორებად. ოლ-

ონდ, სხვადასხვა გადამწერი ამ სწორებებს სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევდა და მათი ხელიდან გამოსული ტექსტებიც სულ სხვადასხვაგვარად გამოიყურებოდა. შედეგად:

1. ტექსტისეული ვარიანტი შეიძლება ჩანაცვლებული იყოს მარგინალურით;
2. შესაძლოა ტექსტისეულ და მარგინალურ ვარიანტებს ადგილები ჰქონდეთ შენაცვლებული;
3. შესაძლოა, მარგინალური ვარიანტი წყაროთა ნაწილში კვლავ მარგინალიაზე იყოს განთავსებული, ნაწილში კი დაიკარგოს ან ტექსტში მატებად იყოს შესული. ლოკაციის მიხედვით მარგინალური ვარიანტი შეიძლება ჩასმული იყოს ლემის (ე.ი. ტექსტური იკითხვისის) წინ ან მომდევნოდ ან აცდენილი იყოს მას და ახლომახლო მსგავს სიტყვას ემატებოდეს ან ანაცვლებდეს.

ყველა ეს შესაძლებლობა გამოვლენილია ხოლმე ბერძნულ ხელნაწერებში. ამავე სურათს აჩვენებს ქართულიც და ზოგჯერ რომელიმე ერთს მიჰყვება, ზოგჯერ კი ტექსტური და მარგინალური ვარიანტის ურთიერთგავლენის კიდევ ერთ დამატებით შემთხვევას ავლენს.

რადგანაც მარგინალური იკითხვისები ტექსტში თანდათანობით ინტეგრირდება და ყოველი მომდევნო გადამწერა ტექსტის მეტ დაზიანებას ნიშნავს, უნდა ვივარაუდოთ, რომ რაც უფრო ახლოსაა ტექსტუალური ფორმა ტრადიციის სათავესთან, მით ნაკლებია მასში ამგვარი მარგინალური წარმოშობის შენაცვლება-მატებანი.

ჩვენი კვლევის მიზანი, ერთი მხრივ, იმის განსაზღვრაა, რომელი ტექსტუალური ტრადიციის ტექსტის თარგმანია ლექციონარში შესული პირველი მეფეთას ვარიანტები, ხოლო, მეორე მხრივ, იმის დადგენაც, რა ადგილი ეჭირა ქართულის წყაროს ამ ტრადიციაში, ბერძნული ტრადიციის სათავესთან უფრო ახლოს იდგა, თუ ტექსტის განვითარების (და შესაბამისად დაზიანების) ბოლო საფეხურს წარმოადგენდა.

ვარიანტთა შეფასებისას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია გასათვალისწინებელი. შემთხვევათა ერთ ნაწილში ერთმანეთს ლექსიკური სინონიმები ენაცვლება, რომლებიც ქართულში ერთი და იმავე ეკვივალენტებით ითარგმნება ხოლმე. ასეთი შემთხვევები, რა თქმა უნდა, ტექსტის წარმომავლობის გასარკვევად არარელევანტურია. შემთხვევათა მეორე ნაწილში შენაცვლებულია არა სინონიმური, არამედ ერთი სემანტიკური ველის ან მეტ-ნაკლებად მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები, რომელთა გარჩევაც თარგმანში შესაძლებელია. ზოგ შემთხვევაში ასეთი სინონიმურ-ალტერნატიული ლექ-

სიკური ერთეულები L ჯგუფის ხელნაწერთა ერთ ნაწილში მარგინალიზებზე განთავსებული, ხან კი ტექსტურ დუბლეტებს ქმნის.

III.2. პირველი მეფეთას ლექციონარში შესული საკითხავების ტექსტოლოგიური დახასიათება

III.2.1. გამოცემის სამეცნიერო აპარატი

სტრუქტურა

როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, თითოეული საკითხავი დამოუკიდებელი ტექსტუალური ერთეულია, რომელსაც შესაძლოა თავისი წარმოშობა და ტექსტის ისტორია ჰქონდეს. ამიტომ თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე თავში განვიხილავთ ქვემოთ წარმოდგენილი სქემის შესაბამისად.

1. საკითხავის ადგილი ლექციონარებში

საკითხავის ლექციონარში შესვლის დრო შესაძლოა განსაზღვრავდეს ამ საკითხავის ტექსტუალურ ტიპს, საკითხავის ლექციონარში შესვლის ქრონოლოგია კი ლექციონართა სტრუქტურების ურთიერთშეპირისპირების გზით ვლინდება, ამიტომ თითოეულ ქვეთავში პირველი მეფეთას საკითხავის ადგილს სხვადასხვა წყაროში შესაბამისი ადგილი ეთმობა.

2. ტექსტი და კომენტარები

თითოეული ქვეთავის ნაწილია ლექციონარის ხელნაწერებში საკითხავების სახით შესული პირველი მეფეთას მონაკვეთების შესაბამისად კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, რომელიც ტექსტის იმ უძველეს ფორმას წარმოადგენს, რომლის დადგენის შესაძლებლობასაც წყაროები იძლევა. ტექსტს ერთვის ორი კრიტიკული აპარატი და ფილოლოგიურ-ტექსტუალური კომენტარები.

ტექსტის დადგენის პრინციპები

ტექსტის დადგენის ძირითადი პრინციპია **ბერძნულ დედანთან სიახლოვე**. შესაბამისად, კითხვასხვაობათაგან ტექსტისათვის ვარჩევთ იმას, რომელსაც მხარს უჭერს ბერძნული, განსაკუთრებით კი პირველი მეფეთას ლექციონარის ვერსიასთან გენეტიკურად დაკავშირებული ტექსტუალური ჯგუფის ხელნაწერები.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია *როთული იკითხვის* წესი. ამ პრინციპით ჯერ კიდევ გალენი ხელმძღვანელობდა, როდესაც ჰიპოკრატეს ტექსტებს გამოსცემდა. *lectio difficilior* როთული, გაუგებარი, ერთი შეხედვით მცდარი იკითხვისია, რომელიც უბიძგებს გადამწერებს ტექსტის გასწორებისაკენ, რათა ის უფრო გასაგები გახადონ. შესაბამისად, ამ პრინციპიდან გამომდინარე, *lectio difficilior* წყაროებში დაცულ კითხვასხვაობათაგან ხშირად თავდაპირველი, ანდა უფრო ძველი, იკითხვისია ხოლმე.

კითხვასხვაობათაგან შევარჩევთ იმას, რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს სხვა ვარიანტების წყაროდ.

ტექსტის ენობრივი და ორთოგრაფიული გამართვისას მივმართავთ ჰარმონიზაციას პარადოსის პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს ხელნაწერებში დადასტურებული ფორმებიდან ძველი ქართული სალიტერატურო ნორმების შესაბამისის შერჩევას და ამ ფორმის აღდგენას იმ შემთხვევებში, როცა წყაროებში აღარ დასტურდება:

- ა) დიფთონგების მოშლის ასახვა ბრუნვის ფორმებში
- ბ) ქ გამოყენება უფროობითი ხარისხის ფორმებში
- გ) ორმაგი ს იმ შემთხვევაში, როდესაც ეს არაა განპირობებული მორფოლოგიურად
- დ) საკუთარ სახელთა გემინირებულთანხმოვნისანი ფორმები
- ე) სჯული-შჯული; სჭამ > შჭამ და მისთ. ასიმილაციის შემთხვევები.

არ მივმართავთ ჰარმონიზაციას ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ამსახველი ფორმების შემთხვევაში და ვეყრდნობით მხოლოდ პარადოსისს, ანუ თუ ყველა ხელნაწერი უჩვენებს შედარებით ახალ ფორმას, არ მივმართავთ ემენდაციას და არ აღვადგენთ ძველს.

- ა) ზმნისწინების ძველი და ახალი ფორმების მონაცვლეობა;
- ბ) თანდებულების პარალელური ვარიანტები (მდე/მდის; შინა/შიდა ...)
- გ) როდესაც ერთი ხელნაწერი მაინც ინახავს შედარებით არქაულ ფორმას, მას ვირჩევთ ძირითად წაკითხვად.

პარალელურ იკითხვისთაგან ვარჩევთ სარწმუნო/უძველეს წყაროში დადასტურებულს, თუკი ის არ ეწინააღმდეგება ზემოდასახელებულ პრინციპებს.

კრიტიკული აპარატი

გამოცემას ერთვის ორი კრიტიკული აპარატი.

I.

პირველ კრიტიკულ აპარატში დოკუმენტირებულია პირველი მეფეთას ლექციონარის ვერსიის ხელნაწერებში დადასტურებული იკითხვისები, რომლებიც, ტექსტის დადგენის სახელმძღვანელო წესებიდან გამომდინარე, მეორეულად იქნა მიჩნეული.

იმის სადემონსტრაციოდ, რომ ტექსტის წაკითხვად იკითხვისი ბერძნულ წყაროებთან სიახლოვის საფუძველზე შეირჩა, ბერძნულთან სიახლოვის საჩვენებლად მივმართავთ ორ გზას:

1) ლემატური ვარიანტის გვერდით ლემის შიგნითვე ვწერთ შესაბამის ბერძნულს.

ა) თუ იკითხვისს სახესხვაობები არ აქვს და მხოლოდ ტექსტური ფორმითაა მოცემული ბერძნული იკითხვისის გვერდით ვწერთ მითითებას Gr.

ბ) თუ ხელნაწერთა იკითხვისები განსხვავდება ერთმანეთისაგან და ქართული მიჰყვება რომელიმე მათგანს, მაშინ ლემაში ვწერთ მხოლოდ მას წყაროთა მითითებით;

გ) თუ ხელნაწერთა კითხვასხვაობებს ქართულთან საერთო არ აქვთ და ისინი ცალსახად მცდარი ან ორთოგრაფიული ვარიანტებია, მაშინ, რათა თავიდან ავირიდოთ აპარატის გადატვირთვა და გაბუნდოვანება, ვწერთ ტექსტის იკითხვისს მითითებით: Gr^{txt}

2) თუ ვარიანტი ჩვენი გამოცემის მეორე აპარატშიცაა შესული, გამეორების თავიდან ასაცილებლად და ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, ვიყენებთ ქვემოთ მიმართულ ისარს, რათა მკითხველმა მიაქციოს ყურადღება და საჭიროების შემთხვევაში თავად მოძებნოს შესაბამისი ჩანაწერი მეორე აპარატში.

ქართულ წყაროთა ვარიანტები დალაგებულია ლემასთან სიახლოვის თვალსაზრისით, პირველ რიგში მოთავსებულია ის, რომელიც უფრო მეტად ჰგავს ლემას.

კრიტიკული აპარატის ეკონომიურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის შესაბამისად, ვარიანტებს, საჭიროების შემთხვევაში, ახლავს მოკლე ანოტაცია, რომელიც მიუთითებს ვარიანტის წარმოქმნის მიზეზს: პარალელური ადგილის თუ ტექსტის სხვა ქართული ვერსიების გავლენა, გადამწერის მექანიკური შეცდომა (გამოტოვება მსგავსი კიდურ-

წერილობის გამო), იკითხვისი პირვანდელია, თუ კორექტურა, ხელნაწერის ფიზიკური მდგომარეობა...

ამგვარი კრიტიკული აპარატი არა მხოლოდ ხელნაწერთა იკითხვისების დოკუმენტაციაა, არამედ ნათლად და არგუმენტირებულად აჩვენებს ტექსტის ისტორიასაც.

II.

მეორე კრიტიკული აპარატი ასახავს ლექციონარის ვერსიასა და მასთან გენეტიკურად დაკავშირებული ჯგუფის ხელნაწერებში წარმოდგენილ ტექსტუალურ ფორმას შორის არსებულ განსხვავებებს. როცა ქართული ენინააღმდეგება არა მხოლოდ მონათესავე ჯგუფის ხელნაწერებში დადასტურებულ იკითხვისს, არამედ მიიღეს ბერძნულს (განსაკუთრებით ეს შეეხება მექანიკურ კლებებს, ან თარგმანის ტექნიკითა თუ ქართული ენის თავისებურებით გამოწვეულ მატებებს, მაგ., კოპულის აღდგენას...), ასეთ შემთხვევაში ვწერთ არა შესაბამისი ჯგუფის აღმნიშვნელ ლიტერს (*OLC*), არამედ – Gr-ს.

გამოყენებული პირობითი აღნიშვნები

[] – აღდგენილი

] – ლემის ნიშანი

| – ლემის დასრულება

> – კლება

+ – მატება

∩ – კლება სიტყვიდან სიტყვამდე

° – მუხლში ერთი ფორმის სიტყვათა რაოდენობის აღმნიშვნელი

* – ხელნაწერის თავდაპირველი იკითხვისი

o' – სეპტუაგინტა

r – რექტო

v – ვერსო

a – I სვეტი

b – II სვეტი

ante – წინ

app – apparatus – აპარატი

° – ხელნაწერის ვარიანტი კორექტურაა

cf – confer – შეადარე

codd – codcodex – ხელნაწერი

coni – coniecit – კონიექტურა

corr. – correxit, correctum – შეასწორა

cum – თან, ერთად

Da – ლექციონარის დანელიას გამოცემის იკითხვისები

ditt – dittographia – გაორმაგება

ex praec – მითითებულია წინა ადგილი

ex sq – მითითებულია მომდევნო ადგილი

fin – ბოლო

Gr – ყველა ბერძნული ხელნაწერი ერთნაირ იკითხვისს შეიცავს

homoiar – homoiarcton – მსგავსი (თავ)კიდურწერილობა

homoiot – homoioteleuton – მსგავსი (ბოლო)კიდურწერილობა

init – თავი

MT – მასორეტული ტექსტი

mg – margo/in margine – აშია/აშიაზე

om – omisit – გამოტოვა

omnes – ყველა

p. – pagina – გვერდი

post – შემდეგ

pr – praemittit – დამატება წინ

Ra – რალფსის გამოცემის იკითხვისები

rel – reliqui დანარჩენები (ხელნაწერები)

s.s. – supra scriptum – ზემოდან დაწერილი

tr(ansponit), tr(ansponunt) – გადაადგილებულია, გადაადგილებულნი არიან

vid – ut videtur – ყურადღება მიაქციე

ubique – ყველგან

პირველი მეფეთას ხელნაწერი წყაროები და ტექსტუალური ჯგუფები

ებრაული

4QSam^a – პირველი-მეორე მეფეთა წიგნების შემცველი ფრაგმენტული ხელნაწერი (4Q51), რომელიც ყუმრანშია აღმოჩენილი

ბერძნული

ე.წ. ჰექსაპლური ტექსტუალური ფორმის ხელნაწერები

$$O = 247-376$$

L ჯგუფის / *L* ტექსტუალური ფორმის (ე.წ. ლუკიანური) ხელნაწერები:

$$L = 19-82-93-108-127$$

$$19' = 19-108$$

C (კატენური) ჯგუფის ხელნაწერები:

$$CI = 98-(243)-379-731$$

$$98' = 98-379$$

$$CII = 46-52-236-242-313-328-530$$

$$46' = 46-52$$

$$242' = 242-328$$

$$C' = CI + CII$$

ქართული

ტექსტუალური ფორმები და ხელნაწერები

Ge^o — ოშკური ვერსია

Ge^o / O – Ath.-1; 978 წ. ე.წ. ოშკის ბიბლია

Ge^F / F – თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-646; XV–XVI სს.

Ge^S / S – თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-51; XVII–XVIII სს. ე.წ. საბას ბიბლია, მცხეთის ბიბლია, მცხეთური ხელნაწერი

Ge^J — იერუსალიმური ვერსია

Ge^{Ja} / Ja – იერუსალიმი, ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, Jer-113; XIII – XIV სს.

Ge^L — ლექციონარის ვერსია

Ge^{Lp} / P – პარიზი, საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა, Géorgien 3; X ს. ე.წ. პარიზის ლექციონარი.

Ge^{Ll} / L – მესტია, საქართველოს ეროვნული მუზეუმი # 621 (ძველი M-51); IX-X სს. ე.წ. ლატალის ლექციონარი.

Ge^{Lk} / K – თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Q-1653, IX-X სს. ე.წ. კალას ლექციონარი.

ალტერნატიული ბერძნული თარგმანები

ა' – აკვილა

σ' – სვიმაქოსი

θ' – თეოდოტიონი

თარგმანები

Arm — სომხური

Ge (Ge^O + Ge^L) — ქართული

Gr — ბერძნული

La (La^M + La¹¹⁵) — ძველი ლათინური

Sa (Sa^M + Sa^A) — საპიდური

Syh — სიროპქესაპლა

ESV (English Standard Version) — სტანდარტული ინგლისური ვერსია

NETS (New English Translation of the Septuagint) — სექტუაგინტას ახალი ინგლისური თარგმანი

მეორეული წყაროები

Chr *Matth* – John Chrysostom, *Homiliae in Matthaem*

Ruf *Or Num* – Rufinus, *Origenis in Numeros homiliae*

გამოცემები

Ald(ina)

BH – Biblia Hebraica

Compl(utensa)

ფილოლოგიურ-ტექსტუალური კომენტარები

ტექსტუალური თვალსაზრისით რთულ და განსაკუთრებით საინტერესო შემთხვევებს, რომლებიც ტექსტის წარმომავლობაზე მეტყველებენ, ვურთავთ კომენტარებს, რომლებშიც ვხსნით თუ როგორია ამა თუ იმ ვარიანტის ტექსტუალური ღირებულება, რა ინფორმაციას შეიცავს დედნისა და თარგმანის ურთიერთმიმართებაზე და რა სირთულეები შეიძლება შეექმნა მთარგმნელისათვის თარგმანის პროცესში.

3. მატება-შენაცვლების შემთხვევათა სტატისტიკური ანალიზი

სულ ბოლოს წარმოდგენილია ლექციონარის მონათესავე ტექსტუალური ფორმისათვის (ხშირ შემთხვევაში L) დამახასიათებელი მატება-შენაცვლების ყველა მაგალითი იმის მითითებით, თუ როგორაა ასახული ლექციონარის ვერსიაში.

ჯერ წარმოდგენილი გვაქვს არამაებრაიზებელი შიდაბერძნული, სტილისტურ-ეგზეგეტიკური ვარიანტები, ჯერ ისინი, რომლებიც მხოლოდ ქართულის მონათესავე ტექსტუალურ ჯგუფსა და მის სატელიტ მინუსკულებს აქვთ, შემდეგ კი ისინი, რომელთაც *პირველი მეფეთას* სხვა ტექსტუალური ფორმებიც იზიარებენ.

შემდეგ წარმოვადგენთ მაებრაიზებელ მატება-შენაცვლებებს, რომლებიც განსაზღვრავენ L ტექსტის ხასიათს, რომელიც შესაძლოა სიტყვიერად ასე აღვწეროთ: სპონტანურად დაახლოებული მასორეტულ ტექსტთან, რადგან მასში მაებრაიზებელი ვარიანტები არათანაბრად და არათანმიმდევრულადაა ინტეგრირებული.

რადგანაც ტექსტუალური შინაარსის კომენტარები ტექსტს ერთვის, სტატისტიკაში მხოლოდ მაგალითებია წარმოდგენილი, რომელთა სტატისტიკური ანალიზის საფუძველზეც თითოეული საკითხავის ტექსტუალურ ხასიათს განვსაზღვრავთ.

III.2.2. ტექსტი. კომენტარები. კვლევა.

1:1–2:11a (№ 367)

1. საკითხავის ადგილი ლექციონარებში

თარხნიშვილის ნუმერაციით 367-ე საკითხავი, რომელიც პირველი მეფეთას პირველ თავს სრულად და მეორე თავის პირველ თერთმეტ მუხლს შეიცავს, დიდმარხვის მეორე (პირველი L) ორშაბათის პირველი საკითხავია პარიზის, ლატალიისა და კალის ლექციონარებში. პარიზის ლექციონარი საკითხავებით უფრო დატვირთულია. ლატალიისა და კალის ლექციონარებში, საკითხავს პირველ მეფეთადან მოჰყვება იერემიას წინასწარმეტყველების საკითხავი, პარიზის ლექციონარში კი მათ შორის სამი საკითხავია იობის, იგავთა და ესაიას წინასწარმეტყველების წიგნებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ლექციონარებში აღნიშნული დღის განგება საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, სამივე მათგანი შეიცავს პირველი მეფეთას საკითხავს რაც ამ უკანასკნელის სიძველეს აღასტურებს:

	P	L	K
366	დღესა ორშაბათსა ბ~ წმიდათა მარხვათა. კრებად ანასტასიას. და ესე კანონი აღესრუ- ლოს	დღესა ორშაბათსა ა, მწუხრი კრებად ანასტა- სიას	მეორისა კვირიაკისა დღესა ორშაბათსა მწუხრი.
	ოხითად. ჳმად ბ~: ცოდ- ვილსა ამას მი...	ოხითად. ჳმად ბ~, გუერ- დი: ვცოდე, უფალო, მამა...	ოხითად: ვცოდეთ, უფ- ალო, მამათა ჩნ...
367	პირველი საკითხავი მეფეთად: კაცი ვინმე იყო არმათემელი...	ა~ საკითხავი მეფეთად თავი [ა]: კაცი ვინმე იყო არმათიმელნი...	პირველი საკითხავი დაბადებისად (mend): კაცი ვინმე იყო არმა- თემით...
368	ბ~ საკითხავი იობისი		
369	გ~ საკითხავი იგავთად		

370	დ~ საკითხავი ესაია წინაღწარმეტყუელისად		
371	ე~ საკითხავი იერემია წინაღწარმეტყუელისად: სიტყუად ღმრთისად რომელი იყო...	ბ საკითხავი იერემია წინაღწარმეტყუელისად: სიტყუად ღმრთისად რომელი იყო	მე-ბ საკითხავი იერემია წინაღწარმეტყუელისად: სიტყუად უფლისად რომელი იყო
	ფსალმუნი: იყვნენ ყურნი შენნი...	ფსალმუნი რკთ: ბ~ გუერდი: იყვნენ ყურნი შენნი...	ფსალმუნი: იყუნედ ყურნი შენი...
	დასადებელი: ღრმით ამოვლალადებთ შენდა...	დასადებელი: [ღრ]მით ამოვლალადებ შენდა...	დასადებელი: ღრმით ამოვლალადებ...

1¹ [P 58rb; L 81/42ra; K 2ra] კაცი ვინმე იყო არმათემით სეფადსადთ მთისაგან ეფრემისა. და სახელი მისი ელკანა, ძქ იერემელისი, ძისა ელისი, ძისა თოფსი, ძისა სოფისი არმათემით. ² ამას ესხნეს ორ ცოლ. სახელი ერთისად მის ანნა და სახელი მეორისად მის ფენნა. და ესხნეს ფენნას ყრმა, ხოლო ანნას არა ესუა ყრმა.

Inscriptio პირველი] ა L | მეფეთად] დაბადებისად K; + თავი ა L

1 1 არმათემით 1° *ἔξ Ἀρμαθαίμ Gr^{txt}*] -ემელი P Da; -ემელნი L | სეფადსადთ] სეფადსად P Da; სითოსად L; > K | ↓ მთისაგან *ἔξ ὄρους Gr^{txt}*] -ისად L; -ითვან K | ეფრემისა *εφρεμ 376 242 158; εφραιμ rel*] -ისი P Da; -ისად L; -ისით K | ძქ] ძეგ K | იერემელისი] იერიმელისი L | ↓ ელისი ძისა *υἱοῦ Ἡλὶ Gr^{txt}*] > PK Da: homoiot | თოფსი] თოვისი PL Da | ↓ ძისა სოფისი *υἱοῦ σωφ (ωφ 82; σειφ 93) L⁽⁻¹²⁷⁾*] ძისა იოსიფისი K; lac L | არმათემით 2°] არმათ + lac ca 4 litt L |

2 ესხნეს ორ ცოლ] ესხნ + lac ca 6 litt L | ერთისად მის] ე + lac ca 7 litt L | ანნა] ანა P Da | ↓ ანნა et ფენნა] tr K | სახელი] სახელ + lac ca 1 litt L | მეორისად] სად pr lac ca 5 litt L | ფენნა : cf *L⁻⁸²⁻¹²⁷*] ფენანა P | ↓ ფენნას : cf *L⁻⁸²⁻¹²⁷*] ფენანას P Da | ↓ ყრმა 1°] ყრმანი K Da cf OS | ↓ ანნას] ანას PLK Da | ↓ ყრმა 2°] ყრმად K |

1 1 კაცი ვინმე იყო *ανθρωπος τις ην M 799 d⁻⁶⁸ 246 s 55° 71 158 554*] *και ανθρωπος ην L⁻¹⁹*; *και ην ανθρωπος 19* | სეფადსად *σηφα V 489 71 Aeth^{AG}*] *σιφα L⁻⁹³ Chr Joann 3,2 Ruf Or I Reg 2; σειφα 93* | იერემელისი *ιερεμηλ 93*] *ιερεμηλ L^{-82 93} 242 509 d⁻⁶⁸ 106*(vid) 610 71 318 554 Sa Eus Quaest Steph 2,2; იერემიელ 82* | თოვისი *θου O = MT; θου A Eus Quaest Steph 2,2; θε L^(-82 127)*] > 82 127 | არმათემით 2° *ἔξ αρμαθαίμ Ald*] *ἔξ ορους εφραιμ L⁻¹²⁷; εφραιμ 127; + εφραιμ Ald et all* |

2 ამას] pr *και Gr* | ესხნეს 1°] > Gr | ფენნა] *φεννα L⁻⁸²⁻¹²⁷; φεννα 82-127* | ფენნას] *φεννα L⁻⁸²⁻¹²⁷; φεννα 82-127* | ყრმა 1° *παιδιον O 121 68' Sa*] *παιδια L et all* | ხოლო *δε A L^{-127 242' 554}*] *και 127 et all* | ანნას *αννα 93 127 et all*] *ανη O L^{-93 127 242' 106 s⁻⁶⁴ 92 554}* |

1:1 init 5001 Ge^L] pr και A^s O L 530 b 68' Aeth^{BA} Ge^O = MT | — ლექციონარის ვერსია ემიჯნება L-ის პირველივე მანერაიზებელ მატებას, რომელიც ბერძნულის წყაროთა უმრავლესობაში, მათ შორის O და b ჯგუფის ხელნაწერებშიცაა.

1:1 ἐν Νασιβ Arm] pr υιοσ σαφ ἐξ ορουσ 158; ἐξ αρμαθαιμ 121 68'; υιοσ σουφ (-π A; -y Eus) A O Eus *Quaest Steph* 2,2 = MT; υιοσ σαφ (αφ 82; σειφ 93) L⁽⁻¹²⁷⁾ Ge^L; filii naseb Aeth^{BAE} Ge^S; + filii suph Aeth^E; + **ἐξ αρμαθαιμ Ge^L Ald** | — ἐν Νασιβ ბერძნულში ებრაულის მცდარი თარგმანია: სეპტუაგინტას მთარგმნელებს კონსონანტური ტექსტის სეგმენტაცია არასწორად (სხვაგვარად) მოუხდენიათ (ანელი ემელეუსი). როგორც ჩანს, მცდარი თარგმანი მოგვიანებით გასწორდა. შესაძლოა, თავდაპირველად სწორი ვარიანტი მარგინალიაზე მოათავსეს, რომელმაც ზოგიერთ წყაროში ჩანაცვლა ტექსტისეული იკითხვისი (A O L), ზოგიერთში კი დაემატა მას (158, Aeth^E). ლექციონარის ვერსიაშიც, ბერძნულ წყაროთა უმრავლესობის მსგავსად, ჩანაცვლება გვაქვს. საკუთარი სახელის ფორმა ქართულს L-ს აახლოებს. გარდა ამ ჩანაცვლებისა, ლექციონარის ვერსია, აღდინას მსგავსად, ამატებს **არმათემით**-ს, რომელიც შენაცვლების სახით 121 და 68' ხელნაწერებშიც ჩნდება.

1:1 Ἐφράμ 2°] pr ἐξ (>Sa) ορουσ L⁻¹²⁷ 121 68' Ge^O Sa; εφρεμ 158 Aeth^{ABA}; εφραθαιος A Aeth^{ABA} = MT; εφραταιος Eus *Quaest Steph* 2,2; εφραθαιος O | — მუხლში ორჯერაა Ἐφράμ ტონიმი, ამათგან პირველს ახლავს სუბსტანტიური მსაზღვრელი ἐξ ὄρουσ, რომელიც წყაროთა ნაწილში, მათ შორის L-ში, პარალელიზმის გამო მეორე Ἐφράμ-საც ემატება. ლექციონარის ვერსიას მეორე Ἐφράμ-იც აკლია და, შესაბამისად, მისი მსაზღვრელიც.

³ და აღვიდის კაცი იგი ქალაქით თვსით, არმათემით, უამითი უამად თაყუანის-
ცემად და მსხუერპლისა შენირვად უფლისა ღმრთისა სელომს. და მუნ იყვნეს ორნი იგი
ძენი ელისნი, ოფნი და ფინეებ, მლდელნი უფლისანი.

⁴ და მოინია დღე იგი და შენირა ელკანა [K 2rb] და მისცა ფენნას [P 58va] ცოლსა
თვსსა და ყოველთა ყრმათა მისთა ნაწილები, ძეთა და ასულთა. ⁵ ხოლო ანნას მისცა
ნაწილი ერთი, რამეთუ არა ესუა მას ყრმად, გარნა რამეთუ უყუარდა ელკანას ანნა უფ-
როდს ფენნადსა. [L 82/42va] და უფალმან დაუჭმა საშოდ მისი ⁶ და არა სცა მას შვილი. და

3 არმათემით $\xi\xi$ 'Αρμαθίμ Gr^{txt}] არმათემით L | მსხუერპლისა შენირვად] tr L | უფლისა
ღმრთისა] om ღმრთისა L; > P Da | ↓ სელომს] სელომდ K | მუნ] post იყვნეს tr L; > P
Da | ორნი] ორნივე K; > L | იგი] post ძენი tr L; > K | ფინეებ φινεες Gr^{txt}] ფინიებ P; ფინებ
L Da | მლდელნი უფლისანი] > K |

4 ელკანა] + მსხუერპლი P; მსხუერპლი უფლისა K : ex par 1:3 | ფენნას] ფენანას P Da | ↓
ფენნას – მისთა] post ნაწილები tr K | მისთა] თვსთა K | ნაწილები] ნაწილებ L; ნაწილი
K; post ასულთა tr L | ძეთა და ასულთა] თითოეულად K |

5 ხოლო] > K | ანნას] ანას PL Da | ↓ ყრმად] ყრმა P Da; შვილი K = OS | რამეთუ] > PK |
ანნა] ანა PL Da↓; pr ელკანას tr L | უფროდს] -ოის L | ფენნადსა] ფენნადსსა L;
ფენანადსა P Da; ფენადსა K | ↓ და უფალმან დაუჭმა] ა + lac ca 10 litt L | საშოდ] საშოი
L | მისი] lac ca 4 litt L |

3 კაცი იგი δ ἄνθρωπος 127 et all] + $\epsilon\chi\epsilon\iota\sigma$ A L⁻⁸² 127 318 Aeth La^M Ruf Or I Reg 2 (ille) = MT; +
